ISSN 0132-5981

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

178/1987/3

1987

6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი	Главный редактор
ლერი თალაკვაძე	**Талаквадзе Л. Г.**
სარედაქციო კოლეგია:	Редакционная коллегия:
ლევან ალექსიძე	**Алексидзе Л. А.**
ანგი არსენაშვილი	**Арсенашвили А. Г.**
(ნეცნიერ-რედაქტორი)	(научный редактор)
გელა ბერძენიშვილი	**Бердзенишвили Г. Д.**
(პასუხისმგებელი მდივანი)	(ответственный секретарь)
ანზორ გაგიანი	**Габиани А. А.**
შოთა გორგოძე	**Горгодзе Ш. В.**
აკაკი კარანაძე	**Джорбенадзе С. М.**
დურმიშხან ლორია	**Каранадзе А. Г.**
ვახტანგ რაზმაძე	**Лория Д. А.**
გრიგოლ როინიშვილი	**Размадзе В. А.**
თამაზ შავგულიძე	**Роинишивли Г. В.**
ვიქტორ შარაშენიძე	**Чиковани И. П.**
ირაკლი ჩიქოვანი	**Шавгулидзе Т. Г.**
სერგო ჯორგენაძე	**Шарашенидзе В. А.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 6

ნოემბერი
დეკემბერი

1987 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

18856

შ ი ნ ა ა რ ს ი

მარად ცოცხალი ოქტომბერი 3

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ა. ლუკიანოვი — გარდაქმნა, დემოკრატია და კანონიერება განუყოფელია . . . 5

საბჭოთა მილიცია 70 წლისაა!

ვ. შადური — ყოველთვის მზადყოფნაში 14
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 20
საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე 21

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

რ. ღიბრაძე — სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთმიმართების მარქსისტული გადაწყვეტისათვის 22

სასამართლო პრაქტიკის განზოგადება

გ. დევდარიანი — საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების ზოგიერთი საკითხი 26

კანონის კომენტარი

ა. ფალიაშვილი — სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში 32
რ. რთველიაშვილი — მიწის კანონმდებლობის დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა 38

დისკუსია

ნ. ნებიერიძე — ფიქრები იურიდიულ სამსახურზე 44

ჩვენი პროფესიის მოწინავენი

გ. ბერძენიშვილი — ანგარიშს აბარებს გამომძიებელი 48
შ. ვანიშვილი — დაბალი ინსტანციის სასამართლოს რეორგანიზაცია საქართველოში XIX-XX სს. მიჯნაზე. 52
ა. არსენაშვილი — დაგვიანებული სამართალი 57

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ს. ალექსეევი — დიდი მეცნიერის ნაშრომი 59
ა. მიხაილოვი, ა. ლევი — სასარგებლო წიგნი 61
ზ. მესენგისერი — სიმართლე ამერიკის იმპერიალიზმზე 62
ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“ 63
ინფორმაცია 70

კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები 75
ნეკროლოგი 80

СОДЕРЖАНИЕ

Вечно живой Октябрь 3

Решения XXVII съезда — в жизнь

А. Лукьянов — Перестройка, демократия и законность нераздельны . 5

Советской милиции — 70 лет

В. Шадури — Всегда начеку 14
В Президиуме Верховного Совета Грузинской ССР 20
На коллегии Прокуратуры Грузинской ССР 21

Первые шаги в науке

Р. Гибрадзе — Марксистское решение вопроса о соотношении справедливости и права 22

Обобщение судебной практики

Г. Девдариани — Некоторые вопросы собственности на жилой дом . 26

Комментарий закона

А. Палиашвили — Применение мер принуждения медицинского характера в уголовном процессе 32
Р. Ртвелиашвили — Соблюдение земельного законодательства — дело государственной важности 38

Дискусия

Н. Небиеридзе — Мысли о юридической службе 44

Передовики нашей профессии

Г. Бердзенишвили — Отчитывается следователь 48
Ш. Ванишвили — Реорганизация судов низшей инстанции в Грузии на стыке XIX—XX вв. 52
А. Арсенашвили — Запоздалое правосудие 57

Критика и библиография

С. Алексеев — Труд большого ученого 59
А. Михайлов, А. Лев — Полезная книга 61
З. Месенгисери — Правда об американском империализме . . 62
Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 63
Информация 70

Из истории криминалистики

Известные уголовные дела 75
Некролог 80

© „საბჭოთა სამართალი“, 1987 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, ალექსანოვის პრ. 103, ტ. 95-88-49, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 17.11.87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.12.87 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. 2688 ტირაჟი 35 400 უე 04900

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარად ცოცხალი ოქტომბერი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კაცობრიობის ჭეშმარიტად ახალ ისტორიას, სამოცდაათი წლისაა. მართალია, ეს დრო მცირეა მსოფლიო ცივილიზაციისათვის, მაგრამ ამ პერიოდშიც ნათლად გამოჩნდა გამარჯვებათა ის დიდი მასშტაბები, რაც დაუვიწყარმა 1917 წელმა მოგვიტანა.

ოქტომბრის რევოლუცია ხალხის რევოლუცია იყო. იგი უპირველესად მშრომელი ადამიანების ინტერესებს იცავდა, რადგან მთელი თავისი არსით მხოლოდ ხალხს ეკუთვნოდა და მსოფლიოს ჩაგრულთა ბედზე ზრუნვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა. დიახ, სწორედ არჩეულმა გზამ, სამართლიანმა ბრძოლამ, წარმოუდგენელმა თავგანწირვამ, ენთუზიაზმმა და რევოლუციური იდეალებისადმი ერთგულებამ ააშენა მანამდე არნახული, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც აგერ უკვე შვიდი ათეული წელია არსებობს, ძლიერდება, მხრებს შლის და იმარჯვებს.

ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ ვ. ი. ლენინმა მძლავრ ძალად გააერთიანა მილიონობით ადამიანის საუკუნეობრივი ინტერესი და იმედები, მუშების, გლეხების, ჯარისკაცებისა და მატროსების უშრეტი სწრაფვა თავისუფლებისადმი. რევოლუციის პერიოდში ძალუმად გამოვლინდა პროლეტარიატის დიდი ბელადის პოლიტიკური ხელოვნება, მისი რევოლუციური აზროვნება და ზუსტი მოქმედების, საკითხების სწრაფი გადაწყვეტის, შექმნილი სიტუაციის მართებული ორიენტირების, ხალხის დარაზმვისა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მათი გაყოლიების უნარი.

ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, მაგრამ საჭირო იყო ამ მონაპოვარის დაცვა-შენარჩუნება და ისტორიამაც მკაცრი გამოცდა მოუწყო ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას. როდესაც პრაქტიკულად დადგა სოციალიზმის ყოფნა-არყოფნის საკითხი, კვლავ იმარჯვა ვ. ი. ლენინის აზროვნებამ და გენიამ. ბელადმა მტკიცედ შეაკავშირა პარტიის რიგები და ხალხი ერთსულოვნად დარაზმა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, იმის დასაცავად, რაც ბარიკადებზე დაღვრილი სისხლის ფასად იყო მოპოვებული.

საბჭოთა ადამიანების, ლენინური პოლიტიკის კიდევ ერთი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. ფაშიზმთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში ჩვენმა ქვეყანამ მანამდე არნახული გმირობის მაგალითები გვიჩვენა და საბოლოოდ გაფანტა მითი იმის შესახებ, რომ ოქტომბრის რევოლუციით შობილი წყობილება ვერ გაუძლებდა გერმანელთა შემოტევას. მტერი საკუთარ ბუნაგში გავანადგურეთ და ამით არა მარტო სამხედრო გამარჯვებას მივაღწიეთ, არამედ დავამტკიცეთ, რომ სოციალიზმი და ოქტომბერი განუყოფელია, მსოფლიოში არ მოიძებნება ძალა, რომელიც ამ ერთიანობას დაარღვევს.

დიდი სამამულო ომი საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ სოციალიზმის მტრები იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ. ისინი ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ დანგრეული, ეკონომიკურად განადგურებული ქვეყანა ვერ აღდგებოდა, ხალხი ვერ მოითმენდა ამდენ გაჭირვებას და დაემხობოდა სოციალისტური წყობილება. მაგრამ ამაო იყო მათი იმედი. ლენინური პარტიის ერთგული საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ და მათი თავდადებული შრომის შედეგად ნაცარტუტად ქცეულ სოფლებსა და ქალაქებში სულ მოკლე დროში აშენდა და შეიქმნა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, საცხოვრებელი სახლები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები. ეს გამარჯვებები განაპირობა სოციალისტური წყობილების უპირატესობამ. პარტიისა და ხალხის ერთიანობამ, ოქტომბრის მონაპოვრის ერთგულებამ.

ომის შემდგომმა პერიოდმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ლენინის მიერ შექმნილი სახელმწიფოს უძლეველობა, კომუნისტური პარტიის სიმტკიცე, სოციალისტური წყობილების უპირატესობა. ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მიღწევები მეცნიერებაში, პოლიტიკაში, საერთაშორისო ურთიერთობასა თუ საშინაო ცხოვრებაში იმის უტყუარი დასტურია, რომ პარტია ნაცადი და მართალი გზით მიდის, უამრავ სიძნელეთა მიუხედავად წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას, თანმიმდევრულად იღვწის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ყველაფერი ეს კი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ მოგვიტანა, რომელმაც ვ. ი.

ლენინის უკვდავი იდეებით შეაიარაღა მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფო. სამოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, უამრავ გამარჯვებათა სამოცდაათი წელი. ლენინური პარტიის ცხოველმყოფელობამ ამ ხნის მანძილზე თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა, რევოლუციურმა აზროვნებამ სხვა კონტინენტებსა და სახელმწიფოებსაც მიაღწია. დიახ, რუსეთის რევოლუცია მსოფლიო რევოლუციად იქცა და იგი დღესაც გრძელდება, შიშის ზარს სცემს იმპერიალიზმსა და კაპიტალიზმს.

დიდი ოქტომბრის საყოველთაო მნიშვნელობაზე კარგად მეტყველებს ის, რომ მისი იუბილე, დაბადების სამოცდაათი წელი, საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნეს მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა. მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ საზეიმო სხდომაზე, სადაც მოწვეული იყვნენ სტუმრები დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან, ვრცელი და საინტერესო მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

თავის მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა იუბილეს სიამაყის, ხსოვნის, განსჯის მომენტი უწოდა და აქვე დასძინა — იუბილე მომავლის ჭვრეტაც არისო. ჭეშმარიტად ბრძნული სიტყვებია. ჩვენი ქვეყნის ისტორიის სამოცდაათი წლის გადმოსახედიდან, მართლაც, ბევრი რამის დანახვა შეიძლება. აქ არის გრანდიოზული წარმატებები, უმაგალითო მიღწევები და გამარჯვებები, მგრამ გვქონდა იმედის გაცრუებაც, ზოგჯერ შეცდომებიც და გულგატეხილობაც. თუმცა, ჩვენი ცხოვრების ძირითადი მაგისტრალი მაინც ყოველთვის სწორი იყო, რადგან იგი უკვდავ მოძღვრებას, ლენინურ მოძღვრებას ეყრდნობოდა მხოლოდ. ამ მიმართულებიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არასოდეს გადაუხვევია და არც არასოდეს გადაუხვევს.

როცა მომავალს ვჭვრეტთ, გრანდიოზულ ამოცანებსაც ვისახავთ. ამის შესახებ ვრცლად იყო სუბარი მოხსენებაში, სადაც ანალიზი გაუკეთდა თანამედროვეობას, იმ რთულ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანების წინაშე დგას დიდი გარდატეხის ეპოქაში. გარდაქმნის სულისკვეთება, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმიდან და სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს, გულისხმობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მან ძირფესვიანად უნდა შეცვალოს საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები, განავითაროს ნამდვილი დემოკრატია. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებმაც თავიანთი აქტიური მოქმედებით ხელი უნდა შეუწყონ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას.

„ახალი პროცესები, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, — რომლებიც ქვეყანაში ვითარდება, ახლებურად აყენებს ზოგადი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის საკითხებს, მე ვიტყოდი, სოციალისტური დემოკრატიზმის კულტურის საკითხებს. სწორედ ამ კულტურის ნაკლებობასთან არის დიდად დაკავშირებული ისეთი მანკიერებანი, როგორიც ბიუროკრატიზმი და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ჩინმოთნეობა, უყაირათობა და უპასუხისმგებლობაა. სოციალისტური დემოკრატიზმის ნამდვილი კულტურა ვერ ჰგუობს ვერც მბრძანებლობით, „ძალდატანებითს“ სტილს, ვერც ორგანიზაციულ ბუნდოვანებას, ლაყბობით საქმის შეცვლას. ერთიც და მეორეც უცხოა სოციალიზმისათვის. ეჭვგარეშეა სხვა რამეც — რაც უფრო ფართო და ღრმაა დემოკრატია, მით უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, მით უფრო მეტად გვჭირდება ორგანიზებულობა და შეგნებული დისციპლინა“[1].

კარგადაა ნათქვამი. ამ ნათქვამს კი ახლა ცხოვრებაში გატარება უნდა. მართალ სიტყვას თუ სული არ შთავბერეთ, საქმედ არ ვაქციეთ, იგი თავის ძალასა და ცხოველმყოფელობას სულ მალევე დაჰკარგავს.

დიდი ოქტომბრის სახელოვანი იუბილე საბჭოთა ადამიანებს ახლებური შრომისა და აზროვნებისაკენ მოუწოდებს. ეს სიახლეა მეტი დემოკრატია, კანონიერება, პატიოსნება და ერთგულება ლენინური იდეებისადმი, კომუნისტური მოძღვრებისადმი.

მაშ ვიყოთ ამ იდეებისა და მოძღვრების ცხოვრებაში გამტარებელნი.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1987 წლის 3 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნა, დემოკრატია და კანონიერება განუყოფელია

ა. ლუკიანოვი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილი პერიოდი, პლენუმისა, რომელმაც წამოაყენა გარდაქმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების იდეა, პარტიის, სახელმწიფო ორგანოების ერთ-ერთი ყველაზე შინაარსიანი პერიოდი იყო.

ეს პერიოდი იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ მისი მიმდინარეობის დროს შეიქმნა გარდაქმნის ზოგადი კონცეფცია, შემუშავდა ჩვენი წინსვლის ხანგრძლივი სტრატეგიული კურსი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი იწყებს გარდაქმნის ამოცანათა განხორციელების დიდი მასშტაბის სამუშაოთა ახალ ეტაპს.

დღეს გარდაქმნა გადატანილია კონკრეტულ პრაქტიკულ სამუშაოთა სიბრტყეზე. მისი ღერძია ცვლილებანი ეკონომიკაში — ადამიანის საქმიანობის გადამწყვეტ სფეროში. მაგრამ ამავე დროს გარდაქმნა ეხება საზოგადოების ცხოვრების ყველა სხვა სფეროს, პარტიული კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა თანამდებობის პირის საქმიანობას.

ამასთან დაკავშირებით პარტიამ შეიმუშავა მწყობრი პროგრამა, რომლის მიზანია სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის გადიდება, მათი საქმიანობის ყველა მხარის გაუმჯობესება. ეს პროგრამა ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 20 ნოემბრის დადგენილებაში „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“. ეს დადგენილება საფუძვლად დაედო ფართო წრის ღონისძიებებს, რომლებიც შეეხო ყველა სამართალდაცვითი ორგანოს მუშაობას, კერძოდ, სსრ კავშირის პროკურატურის საქმიანობასაც. ამ გეზის ლოგიკური გაგრძელება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 4 ივნისის დადგენილება „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო ზედამხედველობის როლის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებაში ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა არა უბრალოდ სრულყოთ, არამედ ძირეულად გარდავქმნათ სსრ კავშირის პროკურატურისა და მისი კოლეგიის, პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების მუშაობა, ამასთან გადაჭრით გავაუმჯობესოთ მათი საქმიანობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

რატომ დასვა სწორედ ასე საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ?

უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თვისებრივი განახლების პირობებში კანონიერება და მართლწესრიგი უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენენ. სამეურ-

---

გამოსვლა სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე 1987 წლის 29 ივლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეო მუშაკისა და მეცნიერის შემოქმედებითი ძიება, სოციალური სფეროს მუშაკის აქტიურობა, მილიონობით ადამიანის ინიციატივის აღმავლობა, ზუსტად მოქმედ სამართლებრივ მექანიზმს მოითხოვს.

მეორე. გარდაქმნის მთავარი ბერკეტი და გარანტიაა საბჭოთა დემოკრატიის, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაღრმავება, ხალხის თაოსნობის ყოველი ღონისძიებით განვითარება. მაგრამ ასეთი დემოკრატია სულაც არ არის ანარქია და განუკითხაობა. პიროვნების, თითოეული შრომითი კოლექტივის, მშრომელთა გაერთიანების აქტიური მხარდაჭერით ეს კიდევ არის უდავო პრიორიტეტიც საერთო-სახალხო ინტერესებისა, საერთო-სახალხო ნებისა, რომელიც გამოხატულია კანონით, სახელმწიფო გეგმით, მთავრობის გადაწყვეტილებით.

მესამე. გარდაქმნა — ეს არის სოციალური სამართლიანობის პრინციპების, ადამიანზე, მის კეთილდღეობასა და შემოქმედებით ზრდაზე, და მაშასადამე, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობაზე, კანონის წინაშე მათს თანასწორობაზე, სოციალურ დაცულობაზე ზრუნვის ყველგან დამკვიდრება. კანონიერება სოციალური სამართლიანობის მტკიცე კარკასია. მის დაუცველად შეუძლებელია საზოგადოებაში მორალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღება.

ამ ფუძემდებელი პოზიციების გაგება მწიფდებოდა თანდათანობით, გარდაქმნის ზოგადი კონცეფციის შემუშავების კვალობაზე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან პლენუმამდე. მაგრამ დასკვნა ერთმნიშვნელოვანი იყო: გარდაქმნა, დემოკრატია, კანონიერება განუყოფელია ერთმანეთისაგან.

„ამასთან დაკავშირებით, — როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე აღნიშნა, — განუზომლად იზრდება ყველა ორგანიზაციისა და თანამდებობის პირთა მიერ კანონების დაცვისადმი საპროკურორო ზედამხედველობის ამოცანები“.

მაშასადამე, პარტია კვლავ და კვლავ მიმართავს ლენინის მოთხოვნას, რომ პროკურორს უფლება აქვს და ვალდებულია აკეთოს მხოლოდ ერთი რამ: თვალი ადევნოს იმას, რომ ნამდვილად ერთგვაროვნად ესმოდეთ კანონიერება მთელ რესპუბლიკაში ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავების მიუხედავად და ყოველგვარი ადგილობრივი გავლენის საწინააღმდეგოდ.

სწორედ აქედან გამომდინარეობს პროკურატურის მუშაობის გარდაქმნის მთავარი იდეა, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 4 ივნისის დადგენილებაში. მისი არსი ის არის, რომ გადაჭრით გადავიტანოთ სიმძიმის ცენტრი მართვის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ყველა თანამდებობის პირის მიერ კანონთა შესრულებისადმი ზედამხედველობაზე, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერების ყოველნაირ განმტკიცებაზე.

ეს ადვილი საქმე როდია. პირდაპირ ვიტყვით, ზოგიერთ პროკურორში ასეთი გარდაქმნა გაუგებრობას, ზოგან კი თავისებურ ალერგიასაც იწვევს. და ეს შეიძლება გარკვეულწილად აიხსნას.

ბოლო წლებში ხომ პროკურატურის მუშაკები გადაერთვნენ უწინარეს ყოვლისა გამოძიებაზე კონკრეტულ საქმეთა გამო, გამოძიებისა და მოკვლევისადმი ზედამხედველობაზე. ამისათვის მოჰკითხავდნენ მათ პირველ რიგში, ამისათვის აკრიტიკებდნენ. ჰოდა, ისინიც აფართოებდნენ კიდეც ბრძოლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ჩადენილ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, აძლიერებდნენ ზედამხედველობას დანაშაულობათა გამოძიებისადმი.

ეს გადახრა, სხვა მიზეზებთან ერთად, კიდევ იმიტომ მოხდა, რომ საერთო ზედამხედველობის განხორციელების დროს ერთობ რთულია, ხშირად უბრალოდ ძნელია გაერკვე სამართალდარღვევათა წარმომშობ მოვლენებში, განსაკუთრებით თუ ისინი დაკავშირებულია სამეურნეო, თანამდებობრივ ბოროტმოქმედებასთან. აქ საჭიროა არა მარტო სწვდებოდე ეკონომიკას, წარმოების ორგანიზაციას (რისთვისაც უნდა გქონდეს სპეციალური ცოდნა), არამედ მტკიცედ იცავდე კიდეც შენს პოზიციებს სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა, დიდი საწარმოების დირექტორების, სამეურნეო მუშაკთა წინაშე. ალბათ, კონკრეტული დანაშაულის გამოძიება ზოგჯერ უფრო ადვილია.

თანაც საერთო-საზედამხედველო მუშაობა საგამოძიებო მუშაობისაგან განსხვავებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკლებ შესამჩნევია. თავის გამოჩენა ამ მუშაობაში რთულია, უსიამოვნება კი შეიძლება შეგახვედრონ სხვადასხვა თანამდებობის პირებმა. შეიძლება, რა თქმა უნდა, მოიშველიო პროტესტების, წარდგინებების, მიწერილობების „კარგი სტატისტიკა". მაგრამ, თუ საქმე არ იცვლება, მათი რიცხვით ცოტა რამეს თუ დაამტკიცებ.

ამიტომ ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ პროკურორთა მუშაობაში საერთო ზედამხედველობაზე სიმძიმის ცენტრის ნამდვილ და არა მოჩვენებითს გადატანას, არ დავუშვათ აქტიურობის იმიტაცია თვით აქტიურობის ნაცვლად. იგი დღეს, შესაძლოა, წარმოადგენს გარდაქმნის ცოცხალი საქმის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მუხრუჭს, როცა, როგორც იტყვიან, ერთნი გადაჭრით აკეთებენ საქმეს, მეორენი კი ისე იქცევიან, თითქოს აკეთებდნენ საქმეს.

ცხადია, გარდაქმნისადმი ასეთი მიდგომა ჩვენთვის მიუღებელი და დაუშვებელია.

რა არის ახლა განსაკუთრებით საჭირო საერთო-საზედამხედველო მუშაობაში?

მთავარია ის, რომ სამართლებრივი საშუალებებით უზრუნველვყოთ პარტიის სტრატეგიული ამოცანის შესრულება — ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარება. საერთო ზედამხედველობის დონის ამაღლების საკითხი პოლიტიკური საკითხია. პროკურატურის ორგანოები მათთვის ჩვეული სამართლებრივი საშუალებებითა და მეთოდებით ვალდებული არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი სოციალისტური გერგილიანობის განვითარებას, ვიწროუწყებრივი ბიუროკრატიული დაბრკოლებების აღმოფხვრას, წარმატებული სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას და, პირიქით, მტკიცედ გადაუღობონ გზა იმას, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპებს, რაც აფერხებს სამეურნეო ინიციატივას.

საიმედოდ უნდა უზრუნველვყოთ საწარმოთა სამეურნეოანგარიშებრივი უფლებების ყოველგვარი კუთხური და ვიწროუწყებრივი გავლენისაგან დაცვა, დროულად გამოვავლინოთ და გავაუქმებინოთ უწყებრივი აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს და აბრკოლებენ საწარმოთა გადასვლას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

როგორ მივაღწიოთ ამას? ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულია, რომ პროკურატურის ორგანოებმა ძირითადი ყურადღება უნდა მიაპყრონ იმისადმი ქმედითი ზედამხედველობის განხორციელებას, თუ როგორ ასრულებენ სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სხვა თანამდებობის პირები მუშაობის მინდობილ უბანზე კანონთა დაცვის მოვალეობებს, საჭირო დახმარება გაუწიონ მათ ამ საქმეში, დროულად გამოავლინონ და აღკვეთონ კანონიერების დარღვევები. სწორედ ეს არის ძირითადი არსი უმაღლესი ზედამხედველობისა, რომელსაც პროკურატურა უნდა ახორციელებდეს.

ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო მიანიჭოს პროკურატურის ორგანოებს დამატებითი უფლებამოსილებანი, რომლებიც უნდა გამოიყენონ გონივრულად, საქმის ინტერესებისათვის.

საერთო-საზედამხედველო მუშაობის ძირითადი მეთოდია შემოწმებათა ჩატარება, გამოვლენილ დარღვევათა ანალიზი და აღმოფხვრა. ასეთი შემოწმებანი საკმაოზე მეტი ეწყობა. მაგრამ კანონიერების მდგომარეობას ჯერ კიდევ სუსტად აანალიზებენ, სამართალდარღვევათა მიზეზებს სრულად არ ავლენენ და ყოველთვის არ აღმოფხვრიან.

გარდაქმნა მოითხოვს, რომ პროკურორების მუშაობას ვაფასებდეთ არა ციფრობრივი მაჩვენებლების, არამედ რაიონში, ქალაქში, ოლქში, რესპუბლიკაში კანონიერების, საწარმოთა პროდუქციის ხარისხის მიხედვით, იმის მიხედვით, არის თუ არა ამ საწარმოებში დატაცებანი და წამატებანი, როგორია დამნაშავეობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დონე, მოქალაქეებისაგან შემოსული საჩივრების შინაარსი. საჭიროა კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც ახასიათებენ რეალურ საქმის ვითარებას, პროკურორების მუშაობის შედეგიანობას.

ამრიგად, ძირეულად უნდა შეიცვალოს პროკურორების დამოკიდებულება საერთო-საზედამხედველო საქმიანობისადმი. ეს მიმართულება ნამდვილად უნდა გახდეს მთავარი. საჭიროა საერთო ზედამხედველობაზე სიმძიმის ცენტრის გადატანისათვის მუშაობის მკაფიო გეგმა, კერძოდ, თუ საჭიროა, პროკურორთა კადრების უკეთ განაწილების გეგმაც. იმიტომ, რომ, თუმცა საერთო ზედამხედველობას საერთო ეწოდება, მაგრამ იგი არსებითად სრულიად კონკრეტული უნდა იყოს.

ერთ დროს რომან ანდრიას ძე რუდენკომ — შესანიშნავმა საბჭოთა იურისტმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მეთაურობდა სსრ კავშირის პროკურატურას, თქვა: „პროკურორების მოვალეობა ის არის, რომ გააძლიერონ ზედამხედველობა სამეურნეო საქმიანობის კანონიერებისადმი და იმ შემთხვევებში, რომლებიც მოითხოვენ საპროკურორო ძალაუფლების ჩარევას, ინიციატივიანად და გადაჭრით აღკვეთონ კანონთა ყოველგვარი დარღვევა სამეურნეო მექანიზმში“. ეს სიტყვები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია.

ამავე დროს, საერთო ზედამხედველობაზე პროკურორთა ყურადღების კონცენტრაცია არამც და არამც არ ნიშნავს გამოძიებისა და მოკვლევისადმი ზედამხედველობის შესუსტებას. პირდაპირ ვიტყვით, ამ ზედამხედველობის ორგანიზაცია ცენტრში, და, რაც მთავარია, ადგილებზე ვერ უზრუნველყოფს ჯერჯერობით სათანადო გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეთა მნიშვნელოვან ნაწილში. უფრო მეტიც, სწორი იქნება ვთქვათ, რომ გამოძიების ხარისხი ბოლო დროს გაუარესდა. გაიზარდა დამატებითი გამოძიებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნებულ საქმეთა რიცხვი. მრავალი საქმის გამოძიება ჭიანურდება, მრავალგზის ხანგრძლივდება ვადები, არადამაკმაყოფილებლად სრულდება პარტიის მოთხოვნები თვით სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობაში კანონიერების დარღვევათა სრული აღმოფხვრის შესახებ. უფრო მეტიც, ასეთ დარღვევათა რიცხვი იზრდება. მათ ხშირად თან სდევს მძიმე შედეგები. უკრაინაში, ბელორუსიაში, ლატვიაში, ყირგიზეთში, რუსეთის ფედერაციის მთელ რიგ ოლქებში გამოვლინდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოქალაქეთა დაუსაბუთებელი მიცემის არაერთი ფაქტი. გავრცელებულია უკანონო დაკავება და დაპატიმრება.

იმას, თუ როგორია აქ პროკურორთა ზედამხედველობის დონე, მოწმობს ის, რომ პროკურორები ყოველწლიურად ათჯერ ნაკლებ საქმეებს აბრუნებენ დამატებითი გამოძიებისათვის, ვიდრე მოსამართლენი. ეს ნიშნავს, რომ პროკურორი ხშირად კარგავს კანონიერების გუშაგის თვისებებს და თავგამოდებით იცავს სამეურვეო გამომძიებლებს, თავის გადაწყვეტილებებს დაპატიმრების სანქციათა მიცემის ან საბრალდებო დასკვნის დამტკიცების შესახებ. ყველასათვის ნათელია, რომ ეს პროკურორისათვის შეუწყნარებელი პოზიციაა.

პროკურორს უნდა ჰქონდეს ამ მაღალი წოდების ტარების არა მარტო ფორმალური, არამედ მორალური უფლებაც, შეურიგებლად უნდა იბრძოდეს დამნაშავეობის წინააღმდეგ, კანონიერებისათვის, უდანაშაულობის პრეზუმპციის უმკაცრესი დაცვისათვის წინასწარი გამოძიების პროცესში. ამისათვის გვმართებს საფუძვლიანად გავერკვეთ საგამოძიებო მუშაობის ორგანიზაციაში, ავამაღლოთ გამომძიებლის როლი და ავტორიტეტი, ნამდვილად უზრუნველვყოთ მისი პროცესუალური დამოკიდებულება და დავიცვათ იგი ადგილობრივი გავლენისაგან, ნიადაგ გავაძლიეროთ ამ სფეროში საპროკურორო ზედამხედველობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ცნობილია, დაგვავალა შევისწავლოთ და ამა წლის დეკემბრისათვის წარვუდგინოთ წინადადებანი შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების საგამოძიებო აპარატების ორგანიზაციული გარდაქმნის შესახებ. ღრმად უნდა ჩავწვდეთ ამ საკითხებს, სრული პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ წინადადებათა მომზადებას, ამასთან, გვახსოვდეს, რომ დროა თავი დავაღწიოთ ჩვეულ, გატკეპნილ კალაპოტს, ვეცადოთ ჩვენს მუშაობას ვხედავდეთ ახლებურად, გარდაქმნისა და დემოკრატიის პოზიციებიდან. აქ წინა პლანზე უნდა იყოს საქმის ინტერესები და არა მუნდირის ღირსება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 4 ივნისის დადგენილების ყურადღების ცენტრშია პროკურატურის მიერ საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა. დემოკრატიის თანამიმდევრული გაღრმავება და მოქალაქის უფლებათა გარანტიების გაძლიერება დადებით კვალს დაამჩნევს პროკურატურის მუშაობას.

და აქ მოგვიწევს ასე თუ ისე თავიდან მოვიცილოთ საზოგადოებრიობის, დეპუტატების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მოქალაქეების მხრივ მუდმივი კონტროლის გარეშე ცხოვრების ჩვევები.

მთლიანად ქვეყანაში საპროკურორო ორგანოებს ყოველწლიურად მოსდით სამ მილიონამდე წერილი და საჩივარი. მათს განხილვაში უნდა მონაწილეობდნენ პროკურატურის ყველა რანგის მუშაკები. წერილები და განცხადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანი ხომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყოველი მათგანი დადებით გადაწყვეტას ვერ პოულობს, საშუალებას გვაძლევს ვგრძნობდეთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას, გავააქტიუროთ მოქალაქის უფლებათა დაცვისათვის გამიზნული მთელი მუშაობა.

დღეს პროკურატურას, ისევე როგორც სხვა სამართალდაცვით ორგანოებს, ერთობ ხშირად აკრიტიკებენ პრესა, რადიო, ტელევიზია. და ეს სწორად უნდა აღვიქვათ, რადგან ამით ჩვენ გვიწევენ დახმარებას ნაკლოვანებათა და დარღვევათა გამოვლენაში, საამკარაოზე მათი მატარებლების გამოყვანაში.

რა თქმა უნდა, ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ყურადღებით ვეკიდებოდეთ ყოველ გამოქვეყნებულ მასალას. მაგრამ ვერ დავუშვებთ, რომ პუბლიკაციებში ერთი ნახევარსიმართლე იცვლებოდეს მეორეთი, რომ პრესის მეშვეობით ვიღაც ცდილობდეს ანგარიში გაუსწოროს ვინმეს, დაამახინჯოს ფაქტები, საეჭვო გახადოს კანონიერი მოქმედება. ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ იცავს ობიექტურ კრიტიკას. 1987 წლის 4 ივნისის დადგენილებაში ხაზგასმულია იმის აუცილებლობა, რომ მკაცრად ვიცავდეთ პუბლიკაციათა უტყუარობას, თავს ვიკავებდეთ იმ საგამოძიებო და სასამართლო საქმეთა შეფასებისაგან, რომელთა გამო მიღებული არ არის კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებანი. ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში იძულებული ვხდებით გავუსწოროთ ზოგიერთი გაზეთის რედაქტორებს, მოვთხოვოთ სინამდვილის უფრო ობიექტური ასახვა.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ადამიანთა მოქალაქეობრივი აქტიურობის ზრდას, ჩვენს დემოკრატიულ ინსტიტუტებს პროკურატურა, არსებითად სხვა სამართალდაცვითი ორგანოებიც, ჯერ კიდევ ვერ იყენებენ უნარიანად თავისივე საკუთარი ინტერესებისათვის, კანონიერების განმტკიცებისათვის, მართლწესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა ჩაბმისათვის.

კანონიერების გაძლიერების მიზნებს, მოქალაქის უფლებათა უკეთ დაცვას ხელს შეუწყობს ის, რომ ადვოკატს მიეცეს უფლება გამოძიების უფრო ადრეულ სტადიაში იღებდეს მონაწილეობას საქმეში, გააქტიურდეს მისი როლი სასამართლო პროცესში.

მართლმსაჯულების, ჭეშმარიტების დადგენის ინტერესებისათვის საჭიროა აგრეთვე გავაძლიეროთ სასამართლო პროცესის შეჯიბრებითი ხასიათი, მივაღწიოთ, რომ მხარეთა კამათი სასამართლოში არ იყოს ფორმალობა, როგორც ეს ხშირად არის ხოლმე.

პროკურატურის ორგანოების წინაშე დგას ამოცანა დაძლიონ საკუთარი უცოდველობის კომპლექსი, ჩამოაყალიბონ თავიანთი მუშაობის ობიექტური, კრიტიკული შეფასების ჩვევები, უნარიანად იმოქმედონ ახალ პირობებში კანონიერების უმკაცრესი დაცვის ინტერესებისათვის, სამართლიანობის გამარჯვებისათვის. მით უმეტეს, რომ თვითდამშვიდების საბაბი ჯერჯერობით არა გვაქვს და არ შეიძლება გვქონდეს. რა თქმა უნდა, ახლა რამდენადმე შემცირდა დამნაშავეობის სტატისტიკის მაჩვენებლები. მაგრამ ეს ტენდენცია უნდა მივიჩნიოთ, უწინარეს ყოვლისა, იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც პარტიამ განახორციელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ წესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თანრიგში ცალკეულ დანაშაულობათა გადაყვანისათვის.

რაც შეეხება სამართალდაცვითი ორგანოების, მათ შორის პროკურატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მუშაობის შედეგიანობას, იგი კვლავ მცირეა. მნიშვნელოვანი რაოდენობის დანაშაულობანი გაუხსნელი რჩება, გაიზარდა რეციდივი, მეჭრთამეობა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობა, არ კლებულობს არყის შინგამოხდა და ნარკომანია, ნელა მცირდება თვით სამართალდაცვითს ორგანოებში ბოროტმოქმედებისა და კანონიერების დარღვევათა რიცხვი.

პარტია მოითხოვს, რომ ის, ვინც მართლწესრიგის საქმეს ემსახურება, თავად უნდა იყოს კრისტალურად წმინდა კანონის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კანონიერების დარღვევებს, სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში დაშვებულ შეცდომებს განსაკუთრებით მწვავედ აღიქვამენ მშრომელები. ეს დარღვევები და შეცდომები უდიდეს პოლიტიკურ ზიანს გვაყენებს, რადგან გამომდინარეობენ იმათგან, ვინც თავად უნდა იცავდეს სახელმწიფოს ინტერესებს, მოქმედებდეს საბჭოთა ხელისუფლების სახელით.

ამიტომ წარმატება ბრძოლისა კანონიერებისათვის, დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის, ურომლისოდაც წარმოუდგენელია გარდაქმნა, გადაწყვეტილად არის დამოკიდებული სამართალდაცვითი ორგანოების კადრებზე. კადრების შერჩევა, მომზადება, გადამზადება, ატესტაცია, მათს რეზერვთან მუშაობა — ყოველივე ეს უნდა ექვემდებარებოდეს ერთ რამეს — პროკურატურის მუშაკის მაღალი პოლიტიკური, პროფესიული, მორალურ-ეთიკური თვისებების ჩამოყალიბებას.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე ჩვენში შეიცვალა პროკურორების დაახლოებით 70 პროცენტი. მათ ნაცვლად მოვიდნენ ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც ყოველთვის საკმაოდ გამოცდილები როდი არიან. მათ უნდა ვასწავლიდეთ, ვზრდიდეთ, მხარს ვუჭერდეთ. ეს ადვილი ამოცანა როდია.

მეურნეობრიობის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის პერიოდში, სამეურნეო ურთიერთობაში სამართლის როლის გაძლიერების პირობებში დღის წესრიგში კიდევ უფრო მწვავედ დგება პროკურორთა ეკონომიკური სწავლების გააქტიურების საკითხები. პროკურატურის ორგანოებში ეკონომიკურ საკითხთა სპეციალისტ-კონსულტანტების თანამდებობათა შემოღება სულაც არ ნიშნავს, რომ ახლა პროკურორები თავისუფალი არიან იმ საჭიროებისაგან, რომ ისწავლონ ეკონომიკა, პროკურორი კარგად უნდა ფლობდეს კონკრეტული ეკონომიკის საფუძვლებს, მტკიცედ იცოდეს სამეურნეო კანონმდებლობა, შრომის, მიწის, ბუნების დაცვის, სამოქალაქო სამართალი. იგი ვალდებულია ზუსტად განსაზღვრავდეს, სად არის კანონით დაწესებული აკრძალვა და სად კანონით დაშვებული, სავსებით გამართლებული ინიციატივა და ფხიანობა.

პარტია დღენიადაგ ზრუნავს პროკურორთა კადრებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საჭიროდ არის მიჩნეული, რომ გაძლიერდეს პარტიული კომიტეტების პასუხისმგებლობა პროკურატურის კადრების შერჩევისათვის, განაწილებისა და აღზრდისათვის, აღიკვეთოს ყოველი ცდა ზეგავლენას ახდენდნენ პროკურორებზე მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების დროს, ერეოდნენ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაში. მაგრამ პროკურორიც მუდამ უნდა მოქმედებდეს როგორც პრინციპული და თავისი საქმის მცოდნე წარმომადგენელი ცენტრისა. მას უნარი უნდა შესწევდეს დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები, მოქალაქის უფლებები, რაიმე ადგილობრივი გავლენის მიუხედავად, ესე იგი, ჰქონდეს კანონზე, მრწამსზე, სინდისზე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძნებული/ მკაფიო პოზიცია. ამ თვისებათა ჩანერგვა-ფორმირებას უნდა ისახავდეს მიზნად პროკურატურების პარტორგანიზაციათა მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი პარტიის, თითოეული კომუნისტის ავანგარდულ როლს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მოგვევლინენ ყველა დღევანდელი ცვლილებების წამომწყებად. რაც შეეხება კანონიერების საკითხებს, ალბათ, ბოლო ორწელიწად-ნახევარში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა პოლიტბიურომ ისინი იმდენი განიხილეს, რამდენიც განხილული იყო მთელ ომისშემდგომ პერიოდში.

პარტია ისწრაფვის მაქსიმალურად გააძლიეროს თავისი ორგანიზაციების აქტიურობა, განავითაროს კომუნისტების ინიციატივა, ამასთან არ დაუშვას არავითარი ბიუროკრატიული დამახინჯება, კრიტიკის ჩახშობა, ადმინისტრირება. მას კარგად ესმის, რომ გარდაქმნის გული, მთავარი მოტორი პარტიული ორგანიზაციებია და რაც უფრო განვითარდება გარდაქმნა, გაღრმავდება დემოკრატია, მით უფრო დიდი მოთხოვნები წაეყენება მათი მუშაობის დონეს. პროკურატურის პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, უნდა იყვნენ თავიანთ კოლექტივებში გარდაქმნის მოთავენი და ორგანიზატორები, რადგან, უწინარეს ყოვლისა, ისინი ხედავენ აქ ყველა ხარვეზსა და ნაკლს, იციან ადამიანთა გუნება-განწყობილება, საქმისადმი მათი დამოკიდებულება, შეუძლიათ დროზე დაეხმარონ იმათ, ვინც ჯერ არ განმსჭვალულა ახალ ამოცანათა გაგებით, გაუსწორონ მუშაკებს, გზიდან ჩამოიშორონ ისინი, ვინც საბოტაჟს უწევს გარდაქმნას.

ყოველ კოლექტივში უნდა შეიქმნას ჯანსაღი, საქმიანი ატმოსფერო, რომელსაც საფუძვლად დაედება პატივისცემა და მხარდაჭერა, მაგრამ ამავე დროს — პრინციპულობა, ურთიერთმომთხოვნელობა და ამხანაგური კრიტიკა. ეს არის თითოეული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის აუცილებელი, შესაძლოა, ყველაზე მთავარი ნაწილი, რომელიც განუყოფელია კომპეტენტური, საქმის ერთგული, პრინციპული და ინიციატივიანი პროკურორის — ისეთი მუშაკის აღზრდისაგან, რომელსაც უნარი შესწევს იკისროს პასუხისმგებლობა დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

საგანგებოდ მინდა ვთქვა, რომ პროკურატურის მოქმედება შეიძლება იყოს შედეგიანი მაშინ, როცა ეს არის არა მარტო მოქმედება, არამედ ურთიერთმოქმედებაც ყველა სხვა სამართალდაცვით ორგანოსთან. ესენია: სასამართლო, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, არბიტრაჟის, იუსტიციის ორგანოები, სახალხო კონტროლი და სარევიზიო აპარატი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მაგრამ ჯერჯერობით სამართალდაცვითი ორგანოების უწყებრივი დაქსაქსულობა კვლავ ძლიერ იგრძნობა. ზოგჯერ იგი მიდის უაზრო ჯანჯლობამდე და მეტოქეობამდე, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს საერთო საქმეს. ამიტომ გვჭირდება სრულიად სხვა ხასიათის ურთიერთობა სამართალდაცვით ორგანოებს შორის, გვჭირდება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილად ერთიანი ფრონტი, ერთიანი მიდგომა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისადმი. როგორც ცნობილია, სახელმწიფომ მთელი ამ მუშაობის კოორდინაცია დააკისრა სწორედ სსრ კავშირის პროკურატურას, რაც, ცხადია, არანაირად არ აღღვევს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს, აგრეთვე თითოეული სამართალდაცვითი ორგანოს იმ მო-

ვალეობას, რომ სრულად განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები.

საჭიროა, რომ კანონიერების დაცვის ფრონტის მუშაკს ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი: გარდაქმნა საპარადო სვლა კი არა, ძნელი, რთული და ხანგრძლივი პროცესი, ძველთან ახლის შეუპოვარი ბრძოლაა. ამ გზაზე ყველას, მათ შორის სამართალდაცვით ორგანოებსაც, დიდი და არცთუ იოლი მუშაობა ელით.

საპროკურორო ზედამხედველობის როლის ამაღლების შესახებ დადგენილება ხომ მხოლოდ ერთი რგოლია მუშაობისა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რომ დასახა და ახორციელებს ჩვენ ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ბოლო დროს მიღებულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ბრძოლა ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის, არყის შინ გამოხდისა და სპეკულაციის, უშრომელი შემოსავლის, მუქთახორობის წინააღმდეგ. მზადდება კომპლექსი წინადადებებისა სისხლის სამართლის კანონმდებლობის შეცვლის შესახებ. დასახულია თანდათან გაფართოვდეს დამნაშავეობის დინამიკისა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ მონაცემების პუბლიკაცია.

დიდი ამოცანები დგება სასამართლოთა მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობასთან დაკავშირებით, სასამართლო სისტემის მუშაობას რომ გარდავქმნით, მხედველობაში გვაქვს ავამაღლოთ სასამართლოს, როგორც ისეთი არჩევითი ორგანოს, საზოგადოებრივი ავტორიტეტი, რომელიც ყველაზე ახლოს დგას მოსახლეობასთან, განვამტკიცოთ კანონიერება მართლმსაჯულების აღსრულებისას, განვტვირთოთ სასამართლოები მათთვის უჩვეულო ფუნქციების შესრულებისაგან.

ახალ დონეზე ადის მილიციის უბნის ინსპექტორთა მუშაობა, სამძებრო მუშაობა, შინაგან საქმეთა ორგანოების კავშირი საზოგადოებრიობასთან. შემუშავებულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შრომა-გასწორების დაწესებულებათა სისტემისა და მათი საქმიანობის ორგანიზაციის ძირეული გარდაქმნა.

მიღებულია უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება სახელმწიფო არბიტრაჟის ფუნქციათა გაფართოების შესახებ. იგი უნდა გახდეს სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისა და სამეურნეო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უფრო ძლიერი ინსტრუმენტი. შეისწავლება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობაში იუსტიციის დაწესებულებების, ადვოკატურის, იურიდიული სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გადიდებასთან.

მთლიანად უახლოეს ათწლეულში მოგველის განვახორციელოთ მთელი საბჭოთა კანონმდებლობის ფართო კოდიფიკაცია და, მაშასადამე, სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის მრავალი უბნის გარდაქმნა. ბუნებრივია, რომ ეს სრულად შეეხება პროკურატურასაც, რომელიც მაქსიმალურად უნდა „შეეთვისოს“ გარდაქმნას, გახდეს მისი უაქტიურესი ინსტიტუტი.

ამასთან, ძალზე მკაფიოდ უნდა ვხედავდეთ და გვესმოდეს მომავალი მუშაობის თავისებურებანი. უახლოეს ორ-სამ წელიწადში გარდაქმნა გაღრმავდება, მიაღწევს იმ ჰორიზონტებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული თითოეულ ადამიანთან. მილიონობით ადამიანთან ერთად, რომელთაც სურთ იმუშაონ სრული უკუგებით, კიდევ უფრო გამოვლინდებიან ინერციის, ანგარების, უქნარობის მატარებლები. აქტიურად შეეცდება მოერგოს გარდაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნას ჩვენი სოციალური მოწინააღმდეგეც — ბიუროკრატი, დამტაცებელი, მექრთამე, მუქთახორა. ამ მოვლენებს ამა თუ იმ ზომით უკვე ახლა ვაწყდებით.

დგება ყველაზე ძნელი დრო — გადამწყვეტი მოქმედების, ყოველივე იმის განხორციელების დრო, რაც დავსახეთ. ამ დროს რომ აფასებდა, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა შეგვახსენა მარქსის სიტყვები, რომ ასეთ სიტუაციებში პრაქტიკული წინსვლის ყოველი ნაბიჯი დუჟინა პროგრამაზე უფრო ძვირფასია. სალაყბო კი არა, საქმე, სურვილები კი არა, პრაქტიკული შედეგები— აი მომენტის მთავარი ლოზუნგი.

მხოლოდ ასეთი მიდგომა მოგვცემს საშუალებას მივაღწიოთ საგრძნობ ძვრებს მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ყოველი სოციალურად საშიში გამოვლინების აღმოფხვრისათვის, საზოგადოების მთელი ცხოვრების გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში. შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ: პროკურატურის ორგანოებს აქვთ ყველა საიმისო შესაძლებლობა, რომ იყვნენ იმ დიდი ამოცანების დონეზე, რომლებსაც მათ აკისრებენ ჩვენი კონსტიტუცია, ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი.

საბჭოთა მილიცია 70 წლისაა!

ყოველთვის მზადყოფნაში

ვარლამ შადური,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს საბჭოთა ხალხი ზეიმობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების გრანდიოზული რევოლუციური გარდაქმნის ვითარებაში, მთელი საზოგადოების მძლავრი განახლების პროცესში.

გარდაქმნა, დაჩქარება და დემოკრატიზაცია მოითხოვს სახელმწიფო დისციპლინისა და მართლწესრიგის ყოველმხრივ განმტკიცებას ყველგან და ყველაფერში, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუნელებელ ყურადღებას აქცევს მილიციის საქმიანობაში ყოველგვარი ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას, როცა საქმე ეხება საბჭოთა ადამიანების ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვას. მილიციის ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ მოქალაქეთა მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომა, დაუნდობლად ებრძოლონ ისეთ მახინჯ გამოვლინებებს, როგორიცაა ლოთობა და ალკოჰოლიზმი, მუქთახორობა და ნარკომანია, სახალხო დოვლათის დატაცება და სხვა ანომალიები. ერთი სიტყვით, საბჭოთა ადამიანი გარანტირებული უნდა იყოს, რომ მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სახელსა და ღირსებას ვერ ხელყოფენ დამნაშავე ელემენტები.

შემთხვევითი როდია, რომ ოქტომბრის რევოლუციით შობილმა საბჭოთა ხელისუფლებამ მოუწოდა მშრომელებს მტკიცედ დაეცვათ რევოლუციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაპოვრები, ძირშივე აღეკვეთათ ახალი სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ დამხობილ ექსპლუატატორთა კლასების ნებისმიერი ავანტიურის ცდები. მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვისათვის შეიქმნა მართლმსაჯულების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოები. მუშურ-გლეხური მილიცია დიდი ოქტომბრის გამარჯვების ზუსტად მესამე დღეს შეიქმნა. მან ფართო მასების მხარდაჭერითა და ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა ქვეყნის დიად ისტორიაში. საბჭოთა მთავრობის დეკრეტებისა და დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისა და რევოლუციური წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის პარალელურად, მილიცია დაუნდობლად ებრძოდა სხვადასხვა ჯურის სისხლის სამართლის დამნაშავეებს. თავი გამოიჩინა ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის ფრონტებზე, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის შიგნით კონტრრევოლუციური ამბოხებების ჩახშობაში. ამიტომ იყო, რომ ჩეკისტებმა მალევე მოიპოვეს საბჭოთა ადამიანების სიყვარული და პატივისცემა.

დიდი სამამულო ომის წლებში მილიციის მუშაკებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი წვლილი შეიტანეს ფაშისტი დამპყრობლების განადგურებაში. აჩვენეს სიმტკიცისა და გმირობის არაერთი მაგალითი ფრონტებზე, პარტიზანულ რაზმებსა თუ ზურგში. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მილიციის მუშაკთა გმირულ საქმეებს. ათეულ ათასობით გამორჩეული დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, ხოლო ყველაზე საუკეთესოებს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. განვითარებული სოციალიზმის პირობებში ჩვენი ქვეყნის კომუნისტურმა პარტიამ დღის წესრიგში დააყენა დანაშაულისა და მისი წარმომშობი მიზეზების სრული ლიკვიდაციის საკითხი. ეს ამოცანა მეტად რთულია, მაგრამ ჰუმანური და კეთილშობილური, რომლის გადაწყვეტაც ძალუძს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალების ერთგულ საბჭოთა ხალხს.

დანაშაული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური პრობლემაა. ამიტომ არის, რომ პარტია და მთავრობა მოითხოვს მის წინააღმდეგ კომპლექსურ ბრძოლას. ამ წმიდათაწმიდა საქმეში ერთობლივად უნდა იღვაწონ პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი რამ შეიცვალა მილიციის საქმიანობაში, რადიკალურად შეიცვალა მისი ამოცანები და ფუნქციები, სახე იცვალა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ და მართვის სისტემამ, მუშაობის ფორმებმა და მეთოდებმა, ამაღლდა პროფესიული ოსტატობა, დაიხვეწა მისი საქმიანობის სამეცნიერო-ტექნიკური საფუძვლები. ამასთან, უცვლელი დარჩა მილიციის რევოლუციური სულიკვეთება, უსაზღვრო ერთგულება პარტიისა და ხალხისადმი.

როცა საბჭოთა მილიციის 70 წლისთავს ვზეიმობთ, კიდევ ერთხელ განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ მისი ისტორია განუყოფელია საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების ისტორიისაგან, იმ საერთო წარმატებებისაგან, რასაც ჩვენმა სამშობლომ მიაღწია ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში.

მილიციის საქმიანობის განუხრელად გაუმჯობესებისათვის ამ უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს მრავალი უაღრესად საჭირო დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია პოლიტმუშაკთა ინსტიტუტის აღდგენა. ამან დიდი როლი შეასრულა მილიციის მუშაობის გააქტიურებისა და პირადი შემადგენლობის აღზრდის გაუმჯობესების საქმეში. პარტიამ ათასობით პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების მქონე კომუნისტი გაგზავნა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ. ისინი აქტიურად ჩაებნენ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ამან მეტი ავტორიტეტი, ძალა და ენერგია შემატა საბჭოთა მილიციას, უფრო ქმედითი გახდა მისი მუშაობა.

აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, მისი ადგილობრივი ორგანოები გვიგზავნიან საუკეთესო კადრებს, ამასთან, თვითონაც აქტიურად იბრძვიან სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 წ.) პლენუმის და ჩვენი პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელების საქმეში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მისმა ქვედანაყოფებმა ადგილებზე, პარტიული და საბჭოთა ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით შეიძინეს მდიდარი გამოცდილება, დაეუფლნენ მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, განახორციელეს ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების გარდაქმნისა და სრულყოფის ღონისძიებანი. სამინისტროს წამყვანი სამსახურების საქმიანობა შეიცვალა სპეციალიზაციის პრინციპით, შეიქმნა თვისობრივად ახალი ქვედანაყოფები, განმტკიცდა სამორიგეო სამსახურები, ღამის მილიცია, რომლებიც მოწოდებულნი არიან ერთგულად დაიცვან სახელმწიფოსა და ხალხის დოვლათი.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებმა, ხელმძღვანელობენ რა „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1986 წ.) პლენუმის დადგენილების მოთხოვნებით, მკაცრად გააფრთხილეს მთელი პირადი შემადგენლობა, რომ უხეშობის, მოქალაქეთა უფლებების შელახვის, მათი განცხადებებისა და საჩივრების მიმართ გულცივი დამოკიდებულებისა და საგამოძიებო მუშაობის გაჭიანურებისათვის მკაცრად დაისჯებიან, თვით შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნითაც კი.

ჩვენ კვლავაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის შესრულებას, რადგან ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დროებითი კამპანია კი არა, საზოგადოებრიობის მორალურ-ზნეობრივი განახლებისა და გაჯანსაღების ხანგრძლივი პროცესია. ამასთან, ლოთობასთან შეურიგებლობა დანაშაულის შემცირების საიმედო საფუძველია. მაგალითად, მიმდინარე წელს ლოთობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი 20 პროცენტამდე შემცირდა, მხოლოდ მათი ხვედრითი წილი სისხლის სამართლის დანაშაულის საერთო სტრუქტურაში მხოლოდ 1,1 პროცენტია.

რთულ და აუცილებელ გადასაჭრელ პრობლემად კვლავ რჩება ნარკომანიასთან ბრძოლა. სამინისტროს აპარატში და ადგილებზე შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფები, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, აღჭურვილნი არიან საჭირო ოპერატიულ-სამძებრო საშუალებებით. ამ ღონისძიებების გატარების კვალობაზე ნარკომანიასთან ბრძოლის საქმეში უკვე მიღწეულია გარკვეული წარმატებები, ეს განსაკუთრებით ეხება პროფილაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკასა და ნარკოტიკებით სპეკულაციას. ოპერატიულმა ჯგუფებმა უკანასკნელ წლებში ამოიღეს ასობით კილოგრამი სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერება, აღიძრა ათობით სისხლის სამართლის საქმე.

უკვე რამდენიმე წელია რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების უმრავლესობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ერთიანი დისლოკაციით ახორციელებენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურები. შინაგან საქმეთა ორგანოებს გადაეცათ თანამედროვე ოპერატიული და კრიმინალისტური ტექნიკა, კავშირგაბმულობის საშუალებანი, ტრანსპორტი და გამომთვლელი ტექნიკა. ამჟამად ფართოდ გამოიყენება პროფილაქტიკური მუშაობის კომპლექსურ-მიზნობრივი დაგეგმვის ნაცადი მეთოდი. ცხადია, ეს ღონისძიება ხორციელდება პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამონაწილეობით. ასეთი მოქმედების გეგმები ითვალისწინებენ ქალაქებისა და სოფლების მიკროორაიონებში ადამიანებს შორის კონფლიქტური სიტუაციების სალიკვიდაციო ღონისძიებებს. ასეთი მეთოდით მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სტატისტიკა მოწმობს, რომ პიროვნების მიმართ ყველა დანაშაულის 60 პროცენტზე მეტი გამოწვეულია სწორედ ასეთი კონფლიქტების შედეგად.

148 256

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების განმტკიცებისათვის, ამაღლდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების ორგანიზებულ დატაცებასთან, მექრთამეობასთან და სპეკულაციასთან ბრძოლის ეფექტიანობა და ყოველთვის მზადყოფნის დონე. და საერთოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა სამსახური აქტიურად არის ჩაბმული უშრომელი შემოსავლის ყველა წყაროს დროულად აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლაში.

უკვე ოთხი წელია, რაც ჩვენს რესპუბლიკაში შენარჩუნებულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა შემცირების ტენდენცია, მაგრამ ამ სამსახურის მუშაობით კმაყოფილი არა ვართ, რადგან ავარიების შედეგად კვლავ მრავალია მსხვერპლი და სხეულის მძიმე დაზიანებანი. ისიც საგანგაშოა, რომ სატრანსპორტო საშუალებათა ათას ერთეულზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა დონე ჯერ კიდევ მაღალია საკავშირო მაჩვენებელზე.

ქმედითი ღონისძიებები ტარდება შინაგან საქმეთა ორგანოების ღირსეული კადრებით შევსებისათვის. იზრდება მილიციის მუშაკთა პროფესიული და მორალურ-ზნეობრივი შეგნების დონე. ახლა ჩვენი მუშაკების თითქმის 95 პროცენტს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს. ამაღლდა დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობა. მილიციის მრავალი მუშაკი მშვიდობიანობის პერიოდში გამოვლენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის, საზრიანობისა და უმწიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოებულია მთავრობის ორდენებითა და მედლებით. მარტო ბოლო ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის მილიციის ასამდე მუშაკს გადაეცა მაღალი და საპატიო ჯილდო. მაგალითად, შარშან შრომაში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ილია ჯავაშვილი.

საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და უშიშროებისათვის წესრიგის დამცველი ჯარისკაცები თავგანწირვით იბრძვიან სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. მილიციის მუშაკის ყოველდღიური საქმიანობა განუწყვეტლივ დაკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულია ხიფათთან და რისკთან, ამიტომ არის, რომ ბოროტებასთან უკომპრომისო ბრძოლაში იშვიათად როდი განვიცდით მძიმე დანაკლისს. დღეს ჩვენს რიგებში აღარ არის ვაჟა კარიაული, რომელმაც უყოყმანოდ გასწირა თავი რუსი ქალიშვილის გადარჩენისათვის. ობელისკები აღიმართა მილიციის ლეიტენანტების ანზორ ბურდულისა და ალიოშა რზგოევის წმინდა საფლავებზე. „საპატიო ნიშნის“ ორდენით სიკვდილის მერე დაჯილდოვდა მილიციის უფროსი ლეიტენანტი, წყალტუბოს შინაგან საქმეთა განყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ელგუჯა ჭეიშვილი, რომელიც დამნაშავის ტყვიამ განგმირა. მისი სახელი შეტანილია საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

მილიციის პირადი შემადგენლობა სამართლიანად ამაყობს იმათი სახელებით, ვინც არ შედრკა სიკვდილის წინაშეც კი. ესენი არიან იზოლდა ბარამიძე, გიორგი ჯაფარიძე, ვლადიმერ შაქარაშვილი, ბორის მშვილდაძე, ვასილ გელაშვილი, ფაზალი ჩამაგუა, გაიოზ და არჩილ აშკარელები, იასონ პაპკიაური, ლევან მგალობლიშვილი, გივი გიორგაძე.. . სამარადჟამო დიდება და ხსოვნა ჩვენს მებრძოლ ამხანაგებს, რომლებმაც ახალგაზრდა სიცოცხლე არ დაიშურეს საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის.

მილიციის სახელოვანი იუბილეს დღეებში შეუძლებელია არ გავიხსენოთ ისინიც, ვინც ბოროტებასთან ბრძოლაში თანდათან ხვეწდნენ ჩვენი ორგანოების საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, წვრთნიდნენ ახალგაზრდა კადრებს. მათ შორის განსაკუთრებული მოწიწებით ვიხსენებთ გიორგი შელიას, გრიგოლ და ვლადიმერ ჭელიძეებს, გრიგოლ შალამბერიძეს, ვალერიან თალაკვაძეს, ბორის ბონდარენკოს და მრავალ სხვას.

გმირი მამების სახელოვან, მაგრამ რთულ გზას ღირსეულად აგრძელებს მილიციის ახალი თაობა. ვეტერანები დარწმუნებული არიან, რომ ახალგაზრდები კიდევ უფრო გაამდიდრებენ უფროსების მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს. ამაზე მეტყველებენ ათობით და ასობით გახსნილი რთული საქმეები, მახეში გაბმული საშიში რეციდივისტები და ყაჩაღები, მექრთამეები და სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები...

მილიციის საუკეთესო წარმომადგენლების თავდადებული და გმირული შრომა მაგალითად იქცევა მთელი პირადი შემადგენლობისათვის. ეს გასაგებიცაა, რადგან დღევანდელობა კიდევ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს. მართლწესრიგის დაცვის, დანაშაულთან ბრძოლის და, რაც მთავარია, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ამოცანების გადაჭრა ძალუძთ მხოლოდ მაღალი კლასის სპეციალისტებს, მაღალიდეურ, პატიოსან და მართალ პიროვნებებს, მათ, ვისაც ჭეშმარიტად უყვართ ადამიანი. სწორედ ამ თვისებების მტკიცედ ჩამოყალიბებისკენაა ახლა მიმართული მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. დიახ, გარდაქმნის შეუქცევადი პროცესი ჩვენი მუშაკებისაგან მოითხოვს პოლიტიკურ სიმწიფეს, მაღალ კულტურასა და პროფესიულ ოსტატობას.

ჩვენი მუშაკების სულიერი და ზნეობრივი ფორმირების საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის, ხალხთა მეგობრობისა და დიდების მუზეუმების, მასობრივი ინფორმაციის ორგანოების კოლექტივები. ჩვენ ღრმად ვაფასებთ მათ ღვაწლს მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

ტრადიციად იქცა ჩვენი შეხვედრები თბილისის თეატრებისა და კინოს-

ტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებით კოლექტივებთან. რესპუბლიკის თეატრების სცენებზე, ტელე და კინოეკრანებზე სულ უფრო ხშირად ვხვდებით მწვავესიუჟეტიან, საინტერესო მხატვრულ, სამეცნიერო-პოპულარულ და დოკუმენტურ ფილმებსა და სპექტაკლებს, რომლებიც ასახავენ შინაგან საქმეთა ორგანოების ყოველდღიურ საგმირო საქმეებს.

პირადი შემადგენლობის სწორად აღზრდისა და დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის მობილიზების საქმეში ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს 1966 წლიდან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

საზოგადოებრიობის ზრუნვისა და ყურადღების საპასუხოდ ჩვენს პარტიულ მოვალეობად მიგვაჩნია მთელი გულისყური მივაპყროთ ხალხის ხმას. კიდევ უფრო დავხვეწთ ახალ წამოწყებას — „ღია კარის დღეს“. აქ თითოეულ მოქალაქეს საშუალება ეძლევა, რათა პირადად მიმართოს სამინისტროს ხელმძღვანელ ამხანაგებს. პრაქტიკაში ვნერგავთ სამინისტროს მუშაკების სისტემატურ ანგარიშებს შრომითი კოლექტივების წინაშე. საჯაროობის პრინციპების თანახმად შინაგან საქმეთა ორგანოების თაობაზე ინფორმაციებს განუწყვეტლივ მივაწვდით საზოგადოებას, პირუთვნელად და გულახდილად ვილაპარაკებთ იმ ნეგატიურ მოვლენებზეც, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით თვით მილიციის ორგანოებში.

როცა ჩვენი მუშაობის ზოგიერთ პოზიტიურ მომენტს აღვნიშნავთ, ცხადია, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ მილიციის დამსახურება როდია. ჩვენს თითოეულ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს და მთელს საზოგადოებას.

საბჭოთა მილიციის საიუბილეო დღეს პარტიასა და ხალხს ვუპატაკებთ, რომ მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა, საქართველოს მილიციის ორგანოებმა მიაღწიეს განსაკუთრებით მძიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაულობათა განუწყვეტლივ შემცირებას. გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე წლის 10 თვეში სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით დანაშაული 6 პროცენტით შემცირდა, სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულობანი — 7 პროცენტით, სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები 18 პროცენტით შემცირდა, ბოროტი ხულიგნობა — 15 პროცენტით, ხოლო ყაჩაღობის ფაქტები მთელი 30 პროცენტით ნაკლებია.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დანაშაულთან ბრძოლისა და ოპერატიული ვითარების გაჯანსაღების საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ მილიციის თბილისის გარნიზონის, აფხაზეთისა და აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროთა ორგანოებს, რუსთავის, გორის საქალაქო განყოფილებებს და სხვებს.

რესპუბლიკის მილიციის ორგანოებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ყველა პირობას უქმნიან ნაყოფიერი მუშაობისათვის. ახლა ჯერი საქართველოს საბჭოთა მილიციაზეა, რათა უფრო აქტიურად და ორგანიზებულად იბრძოლოს ყოველგვარი ანტიპოდებისა და ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, უზრუნველყოს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე ჩვენი პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიის გენერალურმა მდივანმა, ამხანაგმა ბიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა, თავის მოხსენებაში, როცა გარდაქმნის თანამედროვე ეტაპის უპირველეს ამოცანებზე მიგვითითებდა, აღნიშნა, რომ „...ზოგან არათუ არ გამოუდით წინსვლა, არამედ წინათ მოპოვებულ პოზიციებსაც კი თმობენ. აიღეთ დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის მიმდინარე ბრძოლა. ხომ ფაქტია, რომ ბევრგან ჩაცხრა ენთუზიაზმი, მუშაობა უაღრესად დუნედ წარმოებს. კვლავ გახშირდა ლოთობის ფაქტები, კვლავ არხეინად გრძნობენ თავს უსაქმურები, მუქთახორები, ხელმრუდეები — ადამიანები, რომლებიც სხვების ხარჯზე ცხოვრობენ. მშრომელები შეწუხებული არიან ამით. და ეს საფუძვლიანი წუხილია, ამხანაგებო!“.

ამ მაღალი პოზიციებიდან გამომდინარე მილიციის ორგანოები მშობლიური კომუნისტური პარტიის, მთელი ხალხის წინაშე პირობას დებენ, რომ მთელ ძალღონეს და თუ საჭიროა, სიცოცხლესაც არ დაიშურებენ საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის.

—•—

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ქარელის რაიონის მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ტ. ხანიშვილის ინფორმაცია რაიონის მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რაიონის საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სამართლებრივი პროპაგანდის გაძლიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდისათვის.

ამასთან ერთად დადგენილებაში ნათქვამია, რომ რაიონში ამ მიმართებით გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს გარდაქმნის სადღეისო მოთხოვნებს. კერძოდ, იუსტიციის ორგანოები ყოველთვის დროულად და კვალიფიციურად არ ეხმარებიან მოქალაქეებს მათი შრომითი, ქონებრივი, საბინაო, პირადი და სხვა უფლებების რეალიზაციაში, წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციისა თუ დავის ობიექტურ გადაწყვეტაში, პატივისა და ღირსების დაცვაში.

გასაუმჯობესებელია იურიდიული კონსულტაციისა და საკონსულტაციო პუნქტების მუშაობა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სახალხო სასამართლოს მიერ განხილული 415 სამოქალაქო საქმიდან ადვოკატები მონაწილეობდნენ მხოლოდ 101 საქმის განხილვაში. მიმდინარე წლის 9 თვეში სახალხო სასამართლომ ადვოკატთა შუამდგომლობით მხოლოდ 2 კერძო განჩინება გამოიტანა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხზე. ადვოკატების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე აღძრულ შუამდგომლობათა დაახლოებით 45 პროცენტი დაუკმაყოფილებლია, რაც მოწმობს მათს არასაკმარის კვალიფიკაციას.

ნელა ინერგება მოქალაქეთათვის იურიდიული დახმარების გაწევა უშუალოდ საწარმოსა თუ საცხოვრებელ ადგილას. მაგალითად, წელს ამ ფორმით სამართლებრივი დახმარება გაეწია მხოლოდ სამ მოქალაქეს.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფორმალიზმის ელემენტებს ზოგიერთ სანოტარო მოქმედების შესრულებაში. დღევანდელობის მოთხოვნებს არც მმაჩის ორგანოების მუშაობა უპასუხებს.

კვლავ არასაკმარისია რაიონის საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს როლი სამართლებრივ პროპაგანდასა და სოფლად სამართალაღმზრდელობით მუშაობაში. ამ საქმეში არსებითი ნაკ-

ლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს საბჭოთა მუშაკებისადმი, სამართალდამცველი და იუსტიციის ორგანოებისადმი, სრულად არ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებსა და შესაძლებლობებს მათი საქმიანობის სრულყოფისათვის.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო არასაკმარის მეთოდურ, სამართლებრივ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს რაიონის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სამართლებრივი პროპაგანდის დონის ამაღლებისა და მოქმედი კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობის გაუმჯობესებაში.

ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაევალა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებები და უზრუნველყოს „მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის იუსტიციის ორგანოების მუშაობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 24 ივლისის დადგენილების მოთხოვნათა განუხრელად შესრულება.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ განიხილონ ეს დადგენილება და მიიღონ საჭირო ზომები ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებით მათზე დაკისრებულ მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისა და კანონმდებლობის განმარტების ორგანიზაციის მოვალეობათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მკვეთრად უნდა გააქტიუროს სამინისტროსთან არსებული საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს მუშაობა, რომელიც მოწოდებულია მეთოდური ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და მოსახლეობისათვის კანონმდებლობის განსამარტავად. რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებთან, საზოგადოება „ცოდნის" გამგეობასთან, შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები სამართლებრივ საკითხებზე მოსახლეობისათვის პოპულარული საცნობარო გამოცემის მომზადების შესახებ.

ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლი დაევალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიულ განყოფილებას.

—•—

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე

ქალაქ თბილისის პროკურატურაში საერთო ზედამხედველობის მუშაობის ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო ზედამხედველობის როლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 4 ივნისის დადგენილებისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნათა შესასრულებლად ქ. თბილისის პროკურატურის (პროკურორი თ. ტუღუში) საერთო ზედამხედველობის განყოფილებამ (უფროსი ე. ჩარგაზია) გარკვეული მუშაობა გასწია.

ამასთან ერთად, კოლეგიის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ამ განყოფილებას ჯერ კიდევ არ განუხორციელებია გადამწყვეტი ღონისძიებანი საქმიანობის ძირეული გარდაქმნისათვის. შემოწმებების დროს არ ირკვევენ კანონიერების დარღვევათა გამომწვევ მიზეზებს, არ ადგენენ კონკრეტულ დამნაშავე პირებს, იშვიათად აყენებენ დამნაშავე პირთა მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხებს, რის გამოც საერთო საზედამხედველო ღონისძიებანი ნაკლებეფექტიანია და ჯეროვან გავლენას ვერ ახდენენ ეკონომიკის სფეროში კანონიერების დარღვევათა ფაქტობრივ აღმოფხვრაზე.

დიდია წუნდებული პროდუქციის გამოშვებით მიღებული ზარალი. მიმდინარე წლის 9 თვეში მან 2,3 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც 238 ათასი მანეთით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან. ამ არასახარბიელო ტენდენციას განყოფილებამ ვერ დაუპირისპირა სერიოზული, ქმედითი ღონისძიებანი. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის განყოფილებას სახალხო სასამართლოებში არ შეუტანია არც ერთი სასარჩელო განცხადება. უკანასკნელ წლებში იზრდება სახელმეკრულებო დისციპლინის დარღვევის ფაქტებიც. წელს 9 თვეში 21 წარმოებამ ვერ შეასრულა მიწოდების გეგმა, რაც 41 მილიონი მანეთის პროდუქციაა. ეს ორჯერ მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან. ქალაქის პროკურატურა კი საპროკურორო ზედამხედველობის ამ სფეროს ყურადღებას არ აქცევს, არაფერი უღონია რაიპროკურატურების მუშაობის გააქტიურებისათვის.

კვლავ გავრცელებულია მიწერებისა და სახანგარიშების სხვა დარღვევების ფაქტები, იზრდება სახალხო მეურნეობაში დატაცებათა შემთხვევები.

განყოფილება საერთოდ არ იყენებს საპროკურორო რეაგირების ისეთ ქმედით ფორმას, როგორიცაა მიწერილობა. პრაქტიკულად 9 თვეში არ გაუპროტესტებიათ სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ ნორმატიული ხასიათის არც ერთი სამართლებრივი აქტი.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის პროკურორის 1987 წლის 5 მაისის ბრძანებით ქ. თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსს ე. ჩარგაზიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, მან ვერ გააკეთა სათანადო დასკვნები და ვერ გარდაქმნა განყოფილების მუშაობა სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის პროკურატურის მუშაობა საერთო ზედამხედველობის ხაზით შეფასდა არადამაკმაყოფილებლად. მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და შეცდომებისათვის, სუსტი მომთხოვნელობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილებისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანების მოთხოვნათა არასათანადო შესრულებისათვის თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ე. ჩარგაზია განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. ქ. თბილისის პროკურორი თ. ტუღუში მკაცრად იქნა გაფრთხილებული და დაევალა საერთო ზედამხედველობის განყოფილების მთლიანად განახლება, მისი კვალიფიციური და პრინციპული კადრებით დაკომპლექტება.

არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად კოლეგიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

კოლეგიის გადაწყვეტილების შესრულებისადმი კონტროლი დაევალა საქართველოს სსრ პროკურორის პირველ მოადგილეს ნ. შოშიაშვილს.

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთმიმართების მარქსისტული გადაწყვეტისათვის

რაულ ღიბრაძე,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი

სამართლიანობისა და სამართლის ცნებების ურთიერთმიმართებისა და რაობის საკითხის შესწავლის დროს ცხადი ხდება, რომ როგორც იურიდიულ ისე ფილოსოფიურ მეცნიერებაში ეს პრობლემა მუდამ იწვევდა ხოლმე დავას.

თუ საზოგადოების განვითარების პირველ პერიოდში, მონათმფლობელური სახელმწიფოს კლასიკური ფორმის წარმოქმნამდე, დომინირებდა სამართლიანობის მორალური გაგება, რომაულ სინამდვილეში მისი შინაარსი შეიცვალა იურიდიული გაგებით და მან გაბატონებული სახე მიიღო მე-18 საუკუნიდან. ამან თ. ჰობსის, ჰ. გროციუსის, ჯ. ლოკის, ჟ. ჟ. რუსოსა და სხვათა ნააზრევში ჰპოვა ასახვა. ამგვარად, ბურჟუაზიულ სინამდვილეში სამართლიანობა მთლიანად დაუქვემდებარდა სამართალს. სამართლიანობის ცნების მარქსისტულ გაგებამდე გაბატონებული იყო აზრი, რომლის მიხედვით სამართლიანობა ნიშნავდა სამართლის მოქმედე-

ბას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებში მართლმსაჯულება და სამართლიანობა წარმოდგენილია, როგორც სინონიმები. მაგალითად, გერმანულ ენაში ეს ტერმინი ნიშნავს სამართლის შესაბამისად ქმედებას, ფრანგულ ენაში კი სამართლიანობასა და კანონიერებას.

მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებამდე სამართლიანობასა და სამართალს იდეალისტური პოზიციებიდან ხსნიდნენ, რადგან მოაზროვნეთა გარკვეული ნაწილი მას ღვთიურ წარმონაქმნად მიიჩნევდა. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სამართლიანობა გამომდინარეობს თვით საგანთა ბუნებიდან, ან იგი მხოლოდდამხოლოდ ადამიანური გონების შემოქმედების პროდუქტიაო.

მარქსიზმი გადაჭრით უარყოფს სამართლიანობისა და სამართლის ამგვარ გაგებას, მის ზებუნებრივ შინაარსს და საკითხს კლასობრივი, კონკრეტულ-ისტორიული პოზიციებიდან იხილავს. იგი იძლევა სამართლიანობის, როგორც მრავალასპექტიანი ცნების, სრულფასოვანი კვლევის საფუძველს. მიუხედავად ამისა, როგორც ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, ისე ზოგიერთ საბჭოურ ლიტერატურაშიც, ჯეროვნად არ არის შეფასებული და გაანალიზებული სამართლიანობის საკითხი. სამწუხაროდ, საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში დღესაც გრძელდება მისი ცალმხრივად განხილვა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საბჭოთა იურისტები რატომღაც თავს იკავებდნენ სამართლიანობის პრობლემის კვლევისაგან, ან ცალმხრივად განიხილავდნენ მას, როგორც მარტოოდენ იურიდიულ ცნებას. როგორც ცნობილი თანამედროვე საბჭოთა სამართალმცოდნე ა. ი. ეკიმოვი აღნიშნავს, ძველად ჩვენს იურიდიულ მეცნიერებაში ადგილი ჰქონდა სამართლიანობის პრობლემის შესწავლისადმი თავშეკავებას, ზოგჯერ კი მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას[1]. შეიძლება ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ადრე (ამასვე აღნიშნავს საბჭოთა იურისტი ლ. მანკოვსკი) გავრცელებული იყო აზრი თითქოს სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთკავშირის კვლევა აუცილებლად იდეალიზმამდე მიიყვანდა მკვლევარს, რადგან სადავოდ არ ითვლებოდა აზრი: „სამართლიანობა წარმოადგენს სამართლის წარმომქმნელს"[2]

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში გ. ა. რეისნერმა დაადასტურა, რომ სამართლიანობა სამართალზე არის დაფუძნებული[3]. მაგრამ ამ აზრს არ დეთანხმა საბჭოთა იურისტების ბევრი წარმომადგენელი. სწორედ ამ პერიოდში პ. ი. სტუჩკამ შეისწავლა სამართლიანობისა და განსაკუთრებით სამართლის სადაო საკითხები და ენციკლოპედიაში „სახელმწიფო და სამართალი", რომელიც მისი რედაქციით გამოვიდა, დაბეჭდა სტატია „სამართლიანობა სამართალში", რომლის მიხედვითაც: სამართლიანობა დაახლოებულია მკაცრ კანონმდებლობასთან, ეს კანონმდებლობა კი წარმოადგენს რევოლუციურს[4].

სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა იურისტმა მ. ა. არუანოვმა კვლავ გაამახვილა ყურადღება სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთმიმართებაზე, მაგრამ ინტენსიური კვლევა ამ მხრივ მხოლოდ ბოლო წლებში წარიმართა. ამ პრობლემაზე მუშაობენ ცნობილი საბჭოთა მეცნიერები: ე. ნ. ლუკაშევა, ნ. ი. მატუზოვი, ვ. ნ. კუდრიავცევი, ე. მ. ორაჩა, ვ. დ. პოპკოვი, პ. მ. რაბინოვიჩი, ი. ს. სამოშენკო, დ. ა. ჭერიმოვი და სხვები; მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან რ.გოლნიკი, ტ. მელცერი, ი. საბო, ვ. სუხეცკი, ვ. პეშკა, გ. ხანაი, რ. შიუსსელერი და ა. შ. ჩვენის აზრით ამ მრავალრიცხოვან ავტორთა და ნაშრომთა შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს საბჭოთა იურისტების, მ. ნ. ალექსეევის, ი. ი. სულინის და ვ. ი. ჩერკასოვის აზრს. ისინი თვლიან, რომ მარქსისტულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული და საბოლოოდ დადგენილი, თუ საზოგადოებრივი ცნობიერების რომელ ფორმას მიეკუთვნება სამართლიანობა. ამასთან დაკავშირებით ი. ი. სულინი წერს, რომ „საკითხი სამართლიანობის სპეციფიკისა და მოცულობის შესახებ სპეციალურად არავის დაუმუშავებია"[6]. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ბოლო წლებში ეს ხარვეზი რამდენადმე გამოსწორებულია. ამ მხრივ აღსანიშნავია ზ. ა. ბერბეშკინას, ა. ი. ეკიმოვის, გ. ვ. მალცევისა და სხვათა შრომები, სადაც მარქსისტული პოზიციებიდან არის განხილული აღნიშნული საკითხი.

---

[1] Экимов А. И. Справедливость и социалистическое право, Л. 1980, ст. 10.

[2] იქვე, გვ. 10.

[3] Реиснер М. А., Государство, ч. I, Идеология и метод М. 1918 г. ст. 132.

[4] Стучка П. И., Энциклопедия «Государство и право», М., 1925, ст. 1154.

[5] Аржанов М. А., Сила социалистической справедливости, — «Советское государство и право», 1945, №№ 5—6.

[6] Сулин Ю. И, Актуальные проблемы марксистской этики, 1967, с. 204.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა იურისტები ლ. ა. ანდრეევი, მ. პ. კარაევი, ვ. ნ. კუდრიავცევი, ა. ვ. მიცკევიჩი, ი. ბ. ბაიკინი, მ. ს. სტროგოვიჩი და სხვები სამართლიანობის ცნებას ცალმხრივად განიხილავენ და მას მხოლოდ იურიდიულ კატეგორიას მიაკუთვნებენ. თითქმის ასევეა ეთიკურ ლიტერატურაშიც. საბჭოთა ეთიკოსები გ. დ. ბანძელაძე, ი. ნ. კრუტოვა, ვ. ს. პოზენოკი და სხვები სამართლიანობის ცნებას თვლიან ვიწრო, მხოლოდ მორალურ კატეგორიად, მაგრამ მათ არ ეთანხმებიან ლ. მ. არხანგელსკი, ზ. ა. ბერბეშკინა და მათი მიმდევრები. ისინი სამართლიანობას იხილავენ ფართოდ, როგორც ისეთ სოციალურ-ფილოსოფიურ ცნებას, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს არა მარტო სამართალში და მორალში, არამედ ეკონომიკაში, პოლიტიკაში, იდეოლოგიაში და ა. შ. ამავე აზრს ვიზიარებთ ჩვენც, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი მარქსისტული მეცნიერებიდან გამომდინარეობს. მართალია, მარქსიზმის კლასიკოსები სპეციალურად არ იხილავენ სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთმიმართების საკითხს, მაგრამ მათი შრომები ამ საკითხის კვლევისა და გადაწყვეტისათვის საკმაო მასალას იძლევიან.

მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში სამართლიანობის ორგვარ გაგებას ვხვდებით. ბურჟუაზიული სამართლიანობის დროს მის მორალურ ბუნებასთან ერთად მათ მხედველობაში აქვთ აგრეთვე მისი სამართლებრივი ბუნებაც. ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგში" წერს: სამართლიანობის ცნება არის „თვით სამართლის აბსტრაქტული გამოხატულება"[7]. მას მხედველობაში აქვს სამართლიანობის იურიდიული ასპექტი, თუმცა, ბურჟუაზიული გაგებით. სამართლიანობის მორალური ასპექტით ანუ პროლეტარული გაგებით სამართლიანობის საფუძველში კარლ მარქსსა და ფრიდრიხ ენგელსს მხოლოდ მორალური შინაარსი აქვთ ნაგულისხმევი. როცა ისინი ზნეობის უბრალო კანონებზე და სამართლიანობაზე მსჯელობენ, მხედველობაში აქვთ არა სამართლებრივი ურთიერთობები, არამედ სამართლიანობა მორალური ასპექტით, რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სამართლიანობის ცნება როგორც ზნეობრივი ცნობიერების განზომილება, მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო გამოეყენებინა მორალური მნიშვნელობით. კარგად ეხმოდათ რა შეუსაბამობა ბურჟუაზიულ სამართალსა და სამართლიანობას შორის, მარქსიზმის კლასიკოსები ბურჟუაზიულ სამართალს ახასიათებდნენ, როგორც უაღრესად უსამართლოს, რომელიც იცავს და ამართლებს ადამიანთა ჩაგვრას და უთანასწორობას. ბურჟუაზიული წყობილების მომხრეებს თავიანთი საზოგადოება ყველაზე სამართლიან ფორმად მიაჩნიათ, მაგრამ ეს ილუზიები მხოლოდ მასების შეცდომაში შესაყვანად არის გამიზნული. მათგან დანაპირები ძმობა, ერთობა, თავისუფლება და თანასწორობა კანონის წინაშე ფაქტობრივად განუხორციელებელი რჩება, რადგან იგი შეუძლებელია ამგვარ საზოგადოებაში, შეუძლებელია იმიტომ, რომ აქ გაბატონებულია კერძო საკუთრება და ადამიანთა ჩაგვრა. ფ. ენგელსის აზრით ყველას თანასწორი უფლებების ნაცვლად შემოღებული უნდა იყოს თანასწორი უფლებები და თანასწორი მოვალეობები. თანასწორი მოვალეობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სამართლისათვის ახალი და მეტად მნიშვნელოვანი დამატებაა[8]. ფ. ენგელსი გულისხმობდა იმას, რომ სამართლიანი ურთიერთობებისათვის საჭიროა არა მარტო მინიჭებული უფლებების გამოყენება, არამედ განსაზღვრული მოვალეობების შესრულებაც. ამის სრულყოფილად განხორციელება კი შეუძლებელიცაა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

კ. მარქსი ამგვარად ახასიათებს ბურჟუაზიულ კანონმდებლობასა და სამართალს: „როგორ უგუნურს და არაპრაქტიკულს წარმოადგენს საერთოდ ილუზია, თითქოს შესაძლებელი იყოს მიუკერძოებელი მოსამართლე, როდესაც კანონმდებელი მიკერძოებულია! შეიძლება ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა უანგარო განაჩენს, თუკი კანონმდებლობა ანგარებიანია"[9].

ბურჟუაზიული სამართალი არ შეიძლება სამართლიანი იყოს, რადგან იგი გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველია და მხოლოდ იმას აკანონებს რაც მდიდრებისათვისაა სასარგებლო, მშრომელი მასებისათვის იგი მიუღებელია. „მუშებმა ძალზე კარგად იციან, წერს ფ. ენგელსი, მათ ძალზე ხშირად გამოუცდიათ, რომ კანონმდებლობა მათთვის ბურჟუების მიერ დაწნული მათრახია, ამიტომაც ისინი კანონს მიმართავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ აიძულებენ. მუშები არ აფასებენ კანონმდებლობას, მორჩილებენ მას, როცა მათ არ შეუძლიათ შეცვალონ იგი"[10].

მარქსიზმი გვასწავლის, რომ სამართლისა და სამართლიანობის მჭიდრო კავშირი მხოლოდ სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს არის შესაძლებელი და მხოლოდ აქ შეიძლება ვილაპარა-

---

[7] К. Маркс и Ф. Энгельс, Т. 18, стр. 238.
[8] К. Маркс и Ф. Энгельс, Т. 22, стр. 235.
[9] К. Маркс и Ф. Энгельс, Т. I, стр. 158.
[10] К. Маркс и Ф. Энгельс, Т. 2. стр. 451.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოთ მათ რეალურ, ორგანულ ერთიანობაზე. ამისი თქმის საფუძველს გვაძლევს კომუნიზმის ძირითადი პრინციპები, როცა საბოლოოდ უნდა მოისპოს ყოველგვარი უსამართლობის ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური მიზეზები.

მართალია, კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში შეუძლებელია სამართლისა და სამართლიანობის ზუსტი დამთხვევა და სრული სამართლიანობის დამყარება, მაგრამ სოციალიზმის დამყარებისთანავე სამართლის სფერო თანდათან ვიწროვდება, „კვდომას“ იწყებს და მის ადგილს ზნეობა და სამართლიანობა იკავებს. კომუნიზმის დროს კი მოხდება სამართლისა და სამართლიანობის სრული დამთხვევა, გაუქმდება სამართალი, დამკვიდრდება სამართლიანობის პრინციპი და ის გახდება საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთადერთი რეგულიატორი. ცალკეულ გამოვლენებსა და ექსცესებს, რომლებსაც მაინც ექნება ადგილი კომუნისტურ საზოგადოებაში, სპეციალური საშუალებებით აღჭურვილი საზოგადოება მოუვლის, ამით გარეგანი იძულებითი რეგულირების ფორმა შეიცვლება შინაგანი მორალური ნორმა-პრინციპებით და ისინი მოთხოვნილებად გადაექცევათ ადამიანებს.

თუ ამ საკითხს გლობალურად წარმოვიდგენთ და მარქსისტული მსოფლმხედველობით განვიხილავთ, ნათელი გახდება, რომ კლასობრივი საზოგადოების განვითარების ისტორია, ადამიანთა ჩაგვრისა და ამ ჩაგვრისაგან მათი განთავისუფლების ისტორიაა. საზოგადოებაში მოქმედი კანონმდებლობა და სამართალი კი თანდათან რბილდება და უფრო ჰუმანური ხდება. ამის შესაბამისად იცვლება აგრეთვე დასჯის ფორმები და მეთოდები. სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს ეს ობიექტური პროცესი შედარებით ჩქარი და ნათელია. ფ. ენგელსი წერს: „თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც იმყოფება ომის მდგომარეობაში, ცივილიზაციის განვითარება არბილებს ძალმომრეობით ვნებების გამოვლენას. ამას შედარებით მეტად ექნება ადგილი კომუნისტურ მშვიდობიან საზოგადოებაში“[11].

მარქსიზმის კლასიკოსებმა ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან განსხვავებით დაამტკიცეს, რომ სამართლიანობასაც და სამართალსაც ისტორიული, კლასობრივი ხასიათი აქვს და ისინი წარმოშობის თვალსაზრისითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამართლიანობა უხსოვარი დროიდან არსებობს, ხოლო სამართალი კლასობრივი საზოგადოების პირმშოა. იგი სახელმწიფოს განუყრელი ატრიბუტია და იძულებით ახორციელებს ხელისუფლების მიერ მიღებულ და დამტკიცებულ კანონმდებლობას. მარქსიზმის მიხედვით სამართალი გაბატონებული კლასის ნებაა და იურიდიული კანონმდებლობით არის გამოხატული. რაც შეეხება სამართლიანობას, იგი მართალია უპირველესად მორალური კატეგორიაა, მაგრამ მხოლოდ წმინდა მორალურ ცნებად მისი მიჩნევა არ შეიძლება, რადგან მას სხვა ასპექტებიც გააჩნია. გარდა ამისა, თვითონ ზნეობაც არ არსებობს მოწყვეტილად, სინამდვილის სხვა სფეროებისაგან, ეკონომიკისაგან, პოლიტიკისაგან და იდეოლოგიისაგან იზოლირებულად. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლიანობა რთული, მრავალმხრივი ცნებაა, იგი სცილდება როგორც სამართლის, ისე მორალის ფარგლებს და მოიცავს ისეთ სოციალურ ურთიერთობებს, რომლებიც ვერ ეტევიან და ვერც გამოხატულებას პოულობენ მხოლოდ სამართალში და მორალში. ე. ი. სამართლიანობის მრავალ ასპექტს შორის ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური, იურიდიული და მორალური ასპექტებია ძირითადი და მთავარი. ჩვენის აზრით სამართლიანობის მორალური და იურიდიული გაგება არის სოციალურ-ფილოსოფიური კატეგორიის ასპექტები. თუ სამართალი გაბატონებული კლასის ნებაა და სახელმწიფოს მიერ დაკანონებული ნორმატული აქტების დაცვა-შესრულებას გულისხმობს, იგი სახელმწიფოს ინტერესებს გამოხატავს, მის გარეგნულ მოთხოვნებს ეყრდნობა, ხოლო სამართლიანობა კანონმდებლობის მოქმედების საზომი, მისი შესრულების დაცვის მაჩვენებელია და ადამიანთა შინაგან მდგომარეობაზე, რწმენაზე, ბუნება-განწყობილებაზე, სურვილზე, აგრეთვე გარეგნულ საზოგადოებრივ არსზეა დაფუძნებული. იგი ზემოქმედების სისწორეში მდგომარეობს და კანონმდებლობის შემფასებელ, საერთოდ ღირებულებით ცნებად გვევლინება, რადგან სინამდვილის ყველა სფეროში პოულობს გამოხატულებას. სინამდვილის პიროვნული და საზოგადოებრივი ურთიერთობების შეფასება კი სამართლიანობის მიხედვით ხდება.

---

[11] К. Маркс и Ф. Энгельс, Т. 2, стр. 538.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების ზოგიერთი საკითხი

გრიგოლ დევდარიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სკკპ XXVII ყრილობამ განსაკუთრებულ, სოციალური მნიშვნელობის საქმედ დასახა საბინაო პრობლემების გადაჭრის დაჩქარება, რათა 2000 წლისათვის პრაქტიკულად ყოველ საბჭოთა ოჯახს ჰქონდეს ცალკე საცხოვრებელი სადგომი ან პირადი საკუთრების სახლი. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს კოოპერატიული და ინდივიდუალური მშენებლობის უფრო ფართო განვითარებამაც, ამიტომ, ბუნებრივია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების კანონიერად გადაწყვეტას, მითუმეტეს, რომ სასამართლოებში ასეთი დავების ხვედრითი წილი საკმაოდ დიდია.

მოქალაქეთა პირადი საკუთრება საცხოვრებელ სახლზე წარმოიშობა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო ცნობს საცხოვრებელ სახლზე მოქალაქის საკუთრებას საამისოდ კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე. მაგალითად, ახალქალაქის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა აღძრა სარჩელი და განმარტა, რომ მოპასუხე ბ. ა.-მ ახალქალაქში, ჯავახიშვილის ქ. №30-ში სხვის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე თვითნებურად, ნებართვისა და პროექტის გარეშე დაიწყო სახლის მშენებლობა, რის გამოც აღმასკომი ითხოვდა მშენებარე სახლის ჩამორთმევას. ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ 1987 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით მშენებარე სახლი ცნო მოპასუხის საკუთრებად და ნება დართო მას დაამთავროს სახლის მშენებლობა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1987 წლის 20 ოქტომბერს გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე დაუბრუნა ხელახლა განხილვისათვის და მიუთითა, რომ სახლის მშენებლობა დაიწყო თვითნებურად, ნებართვისა და პროექტის გარეშე, რის გამოც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის შესაბამისად ასეთი სახლი უნდა დაინგრეს, ანდა უსასყიდლოდ ჩაირიცხოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ფონდში.

ასევე აშკარად კანონსაწინააღმდეგოა გადაწყვეტილება იმ ნაწილშიც, რომლითაც მოპასუხეს ნება დაერთო გააგრძელოს მშენებლობა მაშინ, როცა სახლის მშენებლობის ნებართვას იძლევა მხოლოდ სახალხო დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სასამართლოს კი ასეთი უფლებები არ გააჩნია.

1983 წლამდე ჩვენს რესპუბლიკაში ზღვრული ოდენობა საცხოვრებელი სახლისა (ან მისი ნაწილისა) იყო 60 კვ. მეტრი საცხოვრებელი და 40 კვ. მეტრი დამხმარე ფართობი. ეს ნორმები თანაბრად ვრცელდებოდა ქალაქად და სოფლად, მათ შორის საკოლმეურნეო კომლებზეც. საცხოვრებელი და დამხმარე ფართობის რეალური საჭიროება ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტი იყო კანონით დაწესებულ ნორმაზე. განსაკუთრებით ეს ეხებოდა სოფლად მცხოვრებ ოჯახებს და საკოლმეურნეო კომლებს. ეს გარემოება კი ხშირად მიზეზი ხდება მოქალაქეთა მიერ პროექტისაგან არსებითი გადახვევით საცხოვრებელი სახლების აშენებისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით საცხოვრებელი სახლის ფართობის ზღვრული ოდენობა გაიზარდა 36 კვადრატული მეტრით, ხოლო დამხმარე ფართობი იგივე დარჩა.

თუ მოქალაქეს დიდი ოჯახი ჰყავს ან უფლება აქვს დამატებით საცხოვრებელ ფართობზე, სახალხო დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმსრულებელ კომიტეტს შეუძლია დაუტოვოს მას საკუთრებად, ან ნება დართოს ააშენოს ან შეიძინოს სახლი (ან სახლის ნაწილი), რომლის საცხოვრებელი ფართობი აღემატება კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

როგორც წესი, სახლის მესაკუთრედ ითვლება ის პირი, ვის სახელზედაც გამოიყო მიწის ნაკვეთი და გაიცა ნებართვა სახლის ასაშენებლად, ამავე დროს, კანონი არ გამორიცხავს საც-

ხოვრებელ სახლზე რამდენიმე მოქალაქის საერთო საკუთრებას, კერძოდ, კანონი, როგორც გამონაკლისს, უშვებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახლის მესაკუთრედ აღრიცხულია ერთი პირი, ფაქტობრივად კი ამ სახლის თანამესაკუთრედ ითვლება ან შეიძლება ჩაითვალონ სხვა პირებიც, რომლებიც იურიდიულად ამ სახლის თანამესაკუთრეებად არ არიან აღრიცხულნი. პრაქტიკაში გვხვდება ამ გამონაკლისის ორი შემთხვევა:

1. როდესაც სახლზე საკუთრება წარმოიშვა კანონის ძალით და
2. როდესაც დაინტერესებული პირი სასამართლოს წესით ამტკიცებს, რომ იგი მესაკუთრესთან შეთანხმებით საცხოვრებელი სახლის აშენებაში მონაწილეობდა შრომით და სახსრებით სახლზე საერთო საკუთრების შექმნის მიზნით.

განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე:

საკოლმეურნეო კომლში შესული პირი მხოლოდ კომლის წევრად გახდომის ფაქტის გამო ხდება კომლის ქონების თანამესაკუთრე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე მუხლი).

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მათი საერთო საკუთრებაა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლის სახელზე აღირიცხა იგი.

ამავე კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით ეს წესი არ გავრცელდება ისეთ ქონებაზე, რომელიც ერთ-ერთმა მეუღლემ მიიღო ჩუქების ან მემკვიდრეობის გზით, მაგრამ თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ცნობილ იქნეს მეუღლეთა საერთო საკუთრებად, თუ დადგენილი იქნება, რომ ქორწინების განმავლობაში დახარჯული თანხებით ქონება გადაკეთდა, ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, რის შედეგადაც ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა. კანონის ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებზე.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ისმება საკითხი თუ რა პრინციპით გადაწყდეს დავა იმ ქონების თაობაზე, რომელიც მოქალაქეებმა შეიძინეს ფაქტობრივი ქორწინების განმავლობაში ან იმ ქორწინების პერიოდში, რომელიც შემდგომში ბათილად იქნა ცნობილი; იმის გამო, რომ მეუღლეთა შორის მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას, კანონის ძალით, ფაქტობრივი მეუღლეები ფაქტობრივ ქორწინებაში შეძენილი ქონების თანამესაკუთრენი ვერ გახდებიან, თუ მათ ეს ქონება არ შეიძინეს ურთიერთშეთანხმებით, საერთო საკუთრების წარმოშობის მიზნით. თუ ასეთი შეთანხმება არ ყოფილა, ქონების მესაკუთრედ ითვლება ის პირი, ვის სახელზედაც ქონება აღირიცხება, ხოლო დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს იდავოს სასამართლო წესით ამ ქონების შეძენაში ან გაუმჯობესებაში დახარჯული თანხების ანაზღაურებაზე.

ქორწინება ბათილად ითვლება განქორწინების გაფორმების დღიდან და, როგორც წესი, ასეთი ქორწინება საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შედეგს არ წარმოშობს. კანონი და სასამართლო პრაქტიკა ბათილი ქორწინების შემთხვევაში უკომპრომისოდ ატარებდა ამ პრინციპს და არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა საქორწინო ურთიერთობაში შესვლის დროს მხარის კეთილსინდისიერების საკითხს.

ამჟამად მომქმედი კანონმდებლობით ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს, იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, მიაკუთვნოს ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონება იმ. წესების გამოყენებით, რაც დადგენილია რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფისათვის (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 48-ე მუხლი).

სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად წყდება დავები, რომლებიც აღიძვრება მშენებლობაში მონაწილეობის საფუძვლად სახლზე თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე. ზოგჯერ სასამართლოები არ ცნობენ მშენებლობაში მონაწილეობას სახლზე თანასაკუთრების წარმოშობის საფუძვლად.

ამ საკითხში სათანადო სიცხადე შეიტანა „საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 31 ივლისის დადგენილებამ[1], რომლის მიხედვით, თავისთავად, მენაშენისათვის ხელშეწყობა სახლის მშენებლობაში მისი ოჯახის წევრების ან გარეშე პირების მიერ არ წარმოადგენს საფუძველს სახლის ნაწილზე საკუთრების

[1] „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, №5, 1981, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლების ცნობისათვის. ასეთი სარჩელი სასამართლომ შეიძლება დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პირებსა და მენაშენეებს შორის არსებობდა შეთანხმება საცხოვრებელ სახლზე საერთო საკუთრების შექმნის შესახებ და სწორედ ამ მიზნით აბანდებდნენ ისინი თავიანთ შრომას და სახსრებს საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე. სასამართლომ ასეთი დავების განხილვის დროს საქმეში მონაწილეობისათვის მესამე პირებად უნდა ჩააბას სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა; სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომლებმაც გამოყვეს მიწის ნაკვეთი სახლის მშენებლობისათვის. სასამართლო ამ ორგანოთა აზრს გაითვალისწინებს საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, თუ სასამართლო მათ აზრს არ იზიარებს, ვალდებულია დაასაბუთოს ეს გადაწყვეტილებაში.

ამავე დროს, სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ არ შეიძლება სახლის აშენების უფლების გამოყენება პირადი მოგების, უშრომელი შემოსავლის მიღებისა და სხვა ანგარებითი მიზნით, აგრეთვე საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. პრაქტიკაში იშვიათი როდია, როცა სახლი შენდება მხოლოდ გარეშე პირის სახსრებით და შრომით, ხოლო მენაშენე მარტოოდენ სახლის მშენებლობის უფლებით ხდება საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრე. სასამართლო, ასეთი დავების განხილვის დროს, ყოველმხრივ უნდა არკვევდეს მენაშენესა და გარეშე პირის შეთანხმებას, სახლზე თანასაკუთრების წარმოშობის თაობაზე, ხომ არ არის გარიგების შენიღბული ფორმა უშრომელი შემოსავლის მისაღებად. თუ გამოირკვა, რომ მოქალაქე სახლის შენების უფლებას იყენებს უშრომელი შემოსავლის მისაღებად, სასამართლომ ამის თაობაზე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის შესაბამისად კერძო განჩინებით უნდა აცნობოს სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რათა ასეთი შემთხვევების მიმართ გამოიყენოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი უშრომელი შემოსავლის ჩამორთმევის შესახებ.

ა-მ აღძრა სარჩელი ბ-ის მიმართ, რომ მან მცხეთის რაიონის სოფ. დიღომში მოპასუხე ბ-ს სახელზე გამოყოფილი მიწის ნაკვეთზე თავისი საკუთარი სახსრებით და შრომით ააგო საცხოვრებელი სახლი, რომელიც სახლის აშენების ნებართვის საფუძველზე აღირიცხა მოპასუხის სახელზე, რის გამოც ა-მ ითხოვდა სახლი ეცნოთ მის საკუთრებად. მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1986 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილა და სადავო სახლი ეცნო მოპასუხის საკუთრებად. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1987 წლის 3 თებერვალს გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე დაუბრუნა ხელახლა განხილვისათვის და მიუთითა, რომ საცხოვრებელი სახლის აშენებისათვის მიწის ნაკვეთი გამოიყოფა და ნებართვა ეძლევა მოქალაქეს მისი და მისი ოჯახის წევრების საჭიროებისათვის. ამ უფლების სხვა პირზე გადაცემა, აშკარა თუ ფარული გზით, აკრძალულია და ფაქტობრივად უკავშირდება მიწის ნაციონალიზაციის პრინციპის დარღვევას. ამავე დროს მარტოოდენ იმ მოტივით, რომ მიწის ნაკვეთი და სახლის მშენებლობის ნებართვა გაცემულია მოპასუხეზე, არ შეიძლება სხვისი სახსრებით და შრომით აგებულ სახლზე ამ უკანასკნელის საკუთრების კანონიერ საფუძველს წარმოშობდეს და სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტის დროს უნდა იმსჯელოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის გამოყენების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვას.

საცხოვრებელ სახლზე საკოლმეურნეო კომლის უფლებასთან დაკავშირებით, საკოლმეურნეო კომლის შინაგანი სტრუქტურის თავისებურების გამო, პრაქტიკაში გადასაწყვეტად დგება ორი ძირითადი საკითხი:

1. აქვს თუ არა უფლება საკოლმეურნეო კომლის ცალკეულ წევრს ჰქონდეს, ან შეიძინოს სხვა საცხოვრებელი სახლი;

2. აქვს თუ არა უფლება საკოლმეურნეო კომლს გაასხვისოს საცხოვრებელი სახლი. ეს საკითხი წამოიჭრება არამარტო საკოლმეურნეო კომლების საცხოვრებელი სახლის, არამედ საერთოდ, სოფელ ადგილებში მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების უფლებასთან დაკავშირებით.

საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება საკოლმეურნეო კომლის ცალკეულ წევრს ჰქონდეს ან შეიძინოს სხვა საცხოვრებელი სახლი, დადებითად უნდა გადაწყდეს. კანონის შესაბამისად, მოქალაქეს პირად საკუთრებად შეიძლება ჰქონდეს ერთი სცხოვრებელი სახლი (ან სახლის ნაწილი), ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს კი მხო-

ლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი (ან ერთი სახლის ნაწილი), რომელიც შეიძლება ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნოდეს ან მათი საერთო საკუთრება იყოს. სხვაგვარად დგას საკითხი საკოლმეურნეო კომლში. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის, კოდექსის 112-122-ე მუხლების შესაბამისად კომლის ქონება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი, ეკუთვნის კომლის ყველა წევრს წილთა განუსაზღვრელად თანასაკუთრების უფლებით. სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხში ძირითადად სწორ პოზიციაზე დგას. მაგალითად, მ. ბ-მ აღძრა სარჩელი და მოითხოვა მასა და თ.გ-ს შორის სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაუქმება იმ მოტივით, რომ თ. გ-ს, როგორც საკოლმეურნეო კომლის მეთაურს, ცხინვალის რაიონის სოფ. ხეითში აქვს პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი და მას (თ. გ-ს), როგორც ერთი სახლის მესაკუთრეს, არ ჰქონდა უფლება გამხდარიყო მეორე სახლის მესაკუთრე. ცხინვალის რაიონის სახალხო სასამართლომ მითითებული მოტივით ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად ცნო. გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და ამავე სასამართლოს პრეზიდიუმმა, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა ამ საქმეზე საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტი და გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება. პრეზიდიუმის დადგენილებაში მოყვანილია საგულისხმო დებულებანი, კერძოდ, თ. გ., როგორც კომლის წევრი, კომლის საკუთრების არაწილეული ხასიათის გამო, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ, ხოლო მისი უფლება, შეიძინოს პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი, დაუშვებელია შეიზღუდოს კომლის წევრობით[2].

სავსებით სწორი შეხედულება გამოითქვა იურიდიულ ლიტერატურაში იმის თაობაზე, რომ კომლის წევრობა არ შეიძლება ზღუდავდეს საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების შეძენას, ისე როგორც საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებით არ შეიძლება შეიზღუდოს უფლება კომლის წევრობაზე[3].

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის შინაარსის მიხედვით საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგულება ხდება კომლის ყველა წევრის თანხმობით.

კანონი დასაშვებად თვლის საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გასხვისებას კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობით, ხოლო თუ კომლის შემადგენლობაში არიან კომლის არასრულწლოვანი და სხვა არაქმედუნარიანი წევრები. საცხოვრებელი სახლის გასხვისებისათვის მეურვეობის ორგანოების წერილობითი თანხმობაა საჭირო.[4]

კომლის საცხოვრებელი სახლის გასხვისება დასაშვებია მხოლოდ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით იმის თაობაზე, რომ შენობის შემძენს სარგებლობაში გადაეცეს მიწის ნაკვეთი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად ქალაქში ან დაბაში საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დამოწმებულ უნდა იყოს სანოტარო წესით და რეგისტრირებული სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სამი თვის მანძილზე სანოტარო წესით დამოწმების დღიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება წერილობით ფორმდება და რეგისტრირებული უნდა იყოს სახალხო დეპუტატების სასოფლო საბჭოში არა უგვიანეს სამი თვისა ხელშეკრულების დადების დღიდან.

ამგვარად, ქალაქში ან დაბაში მდებარე საცხოვრებელი სახლებისაგან განსხვავებით, კომლის საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულება სანოტარო მტკიცებას არ მოითხოვს. ასეთი ხელშეკრულება სანოტარო წესით შეიძლება დამტკიცდეს მხარეთა სურვილით, ვინაიდან ყველა შემთხვევაში (როგორც ქალაქად, ისე სოფლად) საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება სახალხო დეპუტატების ადგილობრივ (ან სასოფლო) საბჭოს აღმასკომში რეგისტრაციას მოითხოვს, მყიდველს სახლზე საკუთრების უფლება ხელშეკრულების რეგის-

---

2 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1980 წლის №95 დადგენილება.

3 ა. ხოჭოლავა, მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოში, თბ., 1957, გვ. 51.

4 „დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“, 41-ე მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაციის მომენტიდან ენიჭება (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი).

კომლის საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის საკმარისია სასოფლო საბჭოში წარდგენილი იყოს სახლის გასხვისების მარტივი წერილობითი ხელშეკრულება და კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება, რომ მყიდველს გადაეცეს სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთი, რომელზედაც სახლი იმყოფება.

შიუხედავად იმისა, რომ კანონი პრინციპულად არ კრძალავდა სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების უფლებას, წლების მანძილზე თეორიულად და პრაქტიკულად იქმნებოდა ბარიერი, რის გამოც სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისება პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ეს ნაწილობრივ გამართლებული იყო იმითაც, რომ სოფელ ადგილებში გამოყოფილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ზომაში ითვლება საცხოვრებელი სახლით, სამეურნეო ნაგებობითა და დამხმარე სათავსოებით დაკავებული ფართობიც (საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 70-77 მუხლები), რის გამოც მიწის ნაკვეთის უვადოდ სარგებლობის უფლება არ განიყოფება ამ ნაკვეთზე მდებარე შენობის საკუთრების უფლებისაგან და ისპობა შენობაზე საკუთრების უფლების მოსპობასთან ერთად. ამიტომ ბუნებრივია, სახლის გასხვისება დაკავშირებულია მიწათმოსარგებლის შეცვლასთან, რაც დასაშვებია მხოლოდ მიწის იმ პირველადი მოსარგებლის თანხმობით (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა), ვინც საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გამოყო მეორადი სარგებლობისათვის. „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" დებულების 41-ე მუხლში მითითებულია, რომ „კოლმეურნეობასა ან საბჭოთა მეურნეობაზე მიმაგრებულ მიწაზე არსებული შენობის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმების დროს წარდგენილ უნდა იქნეს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება ან საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის თანხმობა იმის შესახებ, რომ შენობის შემძენს სარგებლობაში გადაეცეს მიწის ნაკვეთი". კომლის საცხოვრებელი სახლის გასხვისების შეზღუდვასთან დაკავშირებით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი, ავტორთა ერთი ნაწილი, იმ შემთხვევაში, როდესაც სახლის შესყიდვის მსურველზე საკარმიდამო ნაკვეთის გადაცემა შეუძლებელია კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის წინააღმდეგობის გამო, დასაშვებად თვლის სახლის გასხვისებას ადგილიდან გადატანით.[5] სახლის ადგილიდან გადატანის უსწორობა განსაკუთრებით ცხადია ისეთი სახლების მიმართ, რომლებიც დაშლის შემთხვევაში თითქმის სავსებით კარგავენ თავიანთ ღირებულებას (ქვითკირის, აგურის და ა. შ. ნაგებობანი). ნ. პ. ვოლოშინი ასეთ შეზღუდვას განიხილავს როგორც კანონთან შეუსაბამოს და კონსტიტუციით გარანტირებულ მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლების შელახვას. ჩვენი აზრით, იგი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ საკოლმეურნეო კომლის საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე (ისე როგორც სოფლად მდებარე სხვა სახლებზე გ. დ.) ყოველთვის არ იზიარებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების ბედს. შესაძლოა, საკოლმეურნეო კომლმა დაკარგოს საკარმიდამო მიწით სარგებლობის უფლება, მაგრამ კანონი არ ითვალისწინებს, რომ ყოფილი კომლის წევრები აიძულონ აიღონ საცხოვრებელი სახლი იმ ნაკვეთიდან, რომელიც კოლმეურნეობას ეკუთვნის.

არსებული მდგომარეობიდან როგორც გამოსავალს ნ. პ. ვოლოშინი მიზანშეწონილად თვლიდა სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წილის შესყიდვას უპირატესი უფლების ანალოგიით, კოლმეურნეობისათვის დაწესებულიყო საცხოვრებელი სახლის უპირატესი შესყიდვის უფლება (იგულისხმებოდა ის, რომ კოლმეურნეობას აერჩია სხვა ნებისმიერი კოლმეურნე, რომელიც სურვილს გამოთქვამდა შეესყიდა საცხოვრებელი სახლი), თუ კოლმეურნეობა უარს განაცხადებდა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება მისცემოდა საცხოვრებელი სახლი გაესხვისებინა თავისი შეხედულებისამებრ.[6]

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 28 ივლისის დადგენილებით („სასოფლო ადგილებში მცხოვრებ მუშებისა და მოსამსახურეების, სოფლის მასწავლებლების, აგრონომებისა და კოლმეურნეობების სხვა არა წევრების საკარმიდამო

---

[5] **П. А. Рудик.** Наследование личной собственности колхозного двора. Учёные записки Харковского юридического института. Вып. II, 1940, стр. 64; **И. Л. Брауде.** Право на строение и сделка по строениям, М., 1954, стр. 109.

[6] Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора. 1961, стр. 97—99.

ნაკვეთის შესახებ") რჩევა ეძლეოდათ კოლმეურნეობებს გამოესყიდათ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა საჭიროებისათვის საცხოვრებელი და საეზოვე შენობები იმ პირთაგან, რომლებმაც ფაქტობრივად გაწყვიტეს კავშირი სოფლის მეურნეობასთან, უკვე მუდმივად აღარ ცხოვრობენ სოფელ ადგილას და სარგებლობენ ამ შენობებით მხოლოდ ორი-სამი თვით წელიწადში, ანდა აძლევენ მათ იჯარით გამორჩენის მიზნით.[7]

ამ დადგენილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასამართლოების პრაქტიკაზე სოფლად საცხოვრებელი სახლის გასხვისების საკითხში, რაც გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, სახლის გასხვისების უფლების განურჩევლად უარყოფაში (რასაც კანონი არ გულისხმობდა) და მეორე მხრივ, იმ უკანონო შეხედულებების დამკვიდრებაში, რომ ქალაქად მცხოვრებ მოქალაქეს უფლება არ აქვს შეიძინოს საცხოვრებელი სახლი სოფლად. ეს შეხედულებები დღესაც უარყოფით გავლენას ახდენს სასამართლო პრაქტიკაზე. მაგალითად ვ. ფ-მ აღძრა სარჩელი და მოითხოვა ეცნოთ იგი საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილის მესაკუთრედ იმ მოტივით, რომ მან აღნიშნული სახლის ნაწილი შეისყიდა გ.ფ-გან 1969 წელს. საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ 1986 წლის 4 მარტს სარჩელი უარყო. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „ვ. ფ. 1952 წლიდან წავიდა სოფ. კაკაბეთიდან, ცხოვრობს ქ. თბილისში და მას როგორც თბილისში მუდმივ მცხოვრებს და სოფელ კაკაბეთიდან ამოწერილს არ ჰქონდა უფლება სოფლად საცხოვრებელი სახლის ნაწილის შესყიდვისა."[8]

კანონის არასწორმა გაგებამ და მცდარი დებულების მკაცრად შეფარდებამ მნიშვნელოვნად განაპირობა და დააჩქარა სოფლად მცხოვრებთა მიგრაციის არასასურველი პროცესი და საგრძნობლად შეაფერხა სოფლის მეურნეობის პროდუქციით მოსახლეობის სრულად უზრუნველყოფის საქმე. სწორედ ამ საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 25 ივლისის №854 დადგენილებაში „სოფლად არსებული დაცარიელებული საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გამოყენების შესახებ".[9]

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში არის მნიშვნელოვანი რაოდენობის დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები საკარმიდამო ნაკვეთებითურთ, რომელთა მიწები არ მუშავდება. ცალკეული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები შეურიგდნენ ამას და არ ახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს დაცარიელებული სახლებისა და მიმდებარე მიწების ნაკვეთების ბრუნვაში მოქცევისათვის. სოფლად საკარმიდამო მიწების და საცხოვრებელი ფონდის რაციონალურად გამოყენების მიზნით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომ განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას, ამ დადგენილებით ნებადართულია სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების მიწებზე სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მდებარე დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები (მათ სამეურნეო ნაგებობებთან ერთად) მიჰყიდონ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბებში, სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის იმ პირობით, თუ იკისრებენ ვალდებულებას, რომ მოიყვანენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას საკარმიდამო ნაკვეთზე და გაყიდიან მოწეული მოსავლის ნამეტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში მითითებული უმნიშვნელოვანესი დებულებები დღის წესრიგში აყენებს საკითხს, რათა გადაისინჯოს არსებული კანონმდებლობა სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლის სამართლებრივი რეჟიმის ახლებურად განსაზღვრის თვალსაზრისით.

---

7 „საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული", თბ. 1961 წ, გვ. 104.

8 საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს 1986 წ. საქმე №2/135.

9 გაზ. „კომუნისტი", 1987 წლის 2 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში

აპოლონ ფალიაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1. **სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების ცნება და სახეები.** სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა მხოლოდ ის პირი, ვინც ჩაიდინა კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, შერაცხად მდგომარეობაში.

სისხლის სამართლის **პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება** პირი, რომელმაც შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდინა კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ე. ი. დანაშაულის ჩადენის მომენტში პირს არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა თავისი მოქმედებისათვის.

სისხლის სამართლის **სასჯელიდან თავისუფლდება** პირი, რომელმაც, თუმცა კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩაიდინა შერაცხად მდგომარეობაში, მაგრამ გამოძიების დროს ან სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე დაავადდა სულიერად.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს თავისი დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. აღნიშნული ღონისძიება არ წარმოადგენს სასჯელის სახეს, იგი მიზნად ისახავს შეურაცხადი ან ფსიქიკურად დაავადებული პირის განკურნებას და მის მიერ ახალი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის თავიდან აცილებას. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება წარმოადგენს პროცესუალური იძულების ერთ-ერთ სახეს და გამოიყენება იმის მიუხედავად, სურთ თუ არა იგი ავადმყოფს ან მის ახლო ნათესავებს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისად სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებებს მიეკუთვნება პირის მოთავსება: ა) სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ბ) საერთო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, გ) მშობელ-ნათესავთა მეურვეობაში ან მზრუნველობაში გადაცემა, სავალდებულო საექიმო მეთვალყურეობით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად სულიერი ქრონიკული დაავადების გამო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. ასეთ დროს სასამართლოს უფლება აქვს მას განჩინებით შეუფარდოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ან გადასცეს იგი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მზრუნველობაში.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების ერთ-ერთი რომელიმე სახის გამოყენებისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული საფუძველი; კერძოდ, სახეზე უნდა იყოს: საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენა, სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული დანაშაული; ეს დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს შეურაცხადი პირის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელიც შემდგომში (განაჩენის გამოტანამდე) დაავადდა სულიერი ავადმყოფობით; თვითონ პიროვნება მისი სულიერი ავადმყოფობის და ჩადენილი ქმედობის ხასიათის მიხედვით უნდა იყოს საზოგადოებისათვის საშიში.

სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას არ წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პირს არ ჩაუდენია საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მაგრამ როგორც სულიერი ავადმყოფი, საშიშია საზოგადოებისათვის და ამ მოტივით მას იძულებითი წესით მოათავსებენ სამკურნალო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ასევე არ გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა შერაცხად მდგომარეობაში, მაგრამ შემდგომში, საქმის გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროს დაავადდა დროებითი ხასიათის სულიერი ავადმყოფობით. ამ შემთხვევაში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მე-2 პუნქტის ან 258-ე მუხლის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბამისად სისხლის სამართლის საქმე უნდა შეჩერდეს წარმოებით ავადმყოფის გამოჯანსაღებამდე.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების დროს დაცული უნდა იყოს სამართალწარმოების საერთო წესები და ის თავისებურებანი, რომელსაც აწესებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე თავი. (მუხლები 326-336). ამ ღონისძიებათა გამოყენების დროს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 26 აპრილის № 4 დადგენილებით „სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ"[1].

2. წინასწარი გამოძიების წარმოების თავისებურება. ისეთ დროს, როცა პირმა საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში ან ჩაიდინა შერაცხად მდგომარეობაში, მაგრამ შემდგომ, გამოძიების პროცესში ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაავადდა სულიერი ავადმყოფობით, წარმოებს მხოლოდ წინასწარი გამოძიება.

იმ შემთხვევაში თუ საქმის გამოძიება დაიწყო მოკვლევით, მაგრამ შემდგომ დადგინდა, რომ პირმა საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში ან პირი მოკვლევის დროს დაავადდა სულიერი ავადმყოფობით, საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ქვემდებარეობისამებრ წინასწარი გამოძიების ორგანოს.

წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად უნდა დააბრუნოს საქმე სასამართლომ იმ შემთხვევაში, თუ კერძო ბრალდების საქმეზე საქმის წარმოება უშუალოდ (გამოძიების გარეშე) დაიწყო სასამართლომ, მაგრამ დადგინდა, რომ პირი არის ფსიქიკურად დაავადებული. ასევე უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც საქმეზე ჩატარებული იყო მოკვლევა, მაგრამ საქმის სასამართლოში განხილვის დროს დადგინდა, რომ პირი არის შეურაცხადი ან დაავადდა სულიერად. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იმით არის გამოწვეული, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ტარდება წინასწარი გამოძიება და არა მოკვლევა.

შეურაცხადის და სულიერი ავადმყოფის მიმართ, საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის დროს, ყოველთვის უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. საქმეზე უნდა ჩატარდეს ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური. წინასწარი გამოძიება. თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ ხდება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა და ბრალდების წაყენება. ასეთ პირს წინასწარი გამოიძიების დროს არ უკავია ბრალდებულის პროცესუალური მდგომარეობა.

შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირი არ დაიკითხება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის სახით, მას ჩამოერთმევა ახსნა-განმარტება იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯანმრთელობა ამის საშუალებას იძლევა.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც შეურაცხადის ან სულიერად დაავადებული პირის ახსნა-განმარტებას ენიჭება მტკიცებულების წყაროს მნიშვნელობა. ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას (საქართველოს სსრ სსკ მუხლი 61 და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 26 აპრილის № 4 დადგენილება, სადაც მითითებულია, რომ შეურაცხადი და სულიერად დაავადებული პირის ჩვენება არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც მტკიცებულების წყარო)[2].

თუ ჯანმრთელობის გაუარესების გამო შეურაცხადი პირის ან სულიერი ავადმყოფის მონაწილეობა არ შეიძლება საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების დროს, ამის თაობაზე გამომძიებელი ადგენს შესაბამის ოქმს (მუხლი 327). ეს ფაქტი უნდა დადგინდეს ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზით ან სამკურნალო დაწესებულების სათანადო დოკუმენტით.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიების დროს უნდა დადგინდეს გარემოებანი (მტკიცების საგანი), რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე და 327-ე მუხლებით.

პირის შეურაცხადობა ან სულიერად დაავადების ფაქტი უნდა დადგინდეს, მხოლოდ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის დასკვნით. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ და იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალური მონაცემები იმისა, რომ პირი არის შეურაცხადი ან გამოძიების პროცესში დაავადდა სულიერად.

---

[1] «Бюллетень Верховного Суда СССР», 1984 г, № 3, с. 33—36.

[2] «Бюллетень Верховного Суда СССР», 1984 г, № 3, с. 35. (п. 11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კატეგორიის საქმეებზე დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა წინასწარი გამოძიების დროს. დამცველი დაიშვება იმ მომენტიდან, როდესაც დადგინდება პირის შეურაცხადობის ან სულიერი დაავადების ფაქტი. ამ მომენტიდან დამცველი უფლებამოსილია, გამომძიებლის ნებართვით, გაეცნოს საქმის მასალებს, უკვე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებს, შეხვდეს პირს, ვისაც იგი იცავს, რათა სრულად განახორციელოს დაცვა.

შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირის მიერ დამცველზე უარის თქმა არ წარმოადგენს საფუძველს დამცველის განთავისუფლებისათვის. თუ სასამართლოში საქმის განხილვის დროს დადგინდება, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეზე წინასწარი გამოძიების დროს დამცველი არ ღებულობდა მონაწილეობას ან იგი განთავისუფლებული იყო, საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. ასეთ მითითებას შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 26 აპრილის № 4 დადგენილება.

თუ წინასწარი გამოძიება წარმოებს რამოდენიმე პირის მიმართ, რომელთა შორის ერთი არის შეურაცხადი ან დაავადდა სულიერად, მის მიმართ საქმე შეიძლება გამოიყოს ცალკე წარმოებად თუ იგი გავლენას არ მოახდენს საქმის სრულყოფილ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოძიებაზე. (მუხლი 23).

წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები ეცნობიან საქმის მასალებს. დამცველი ყველა შემთხვევაში ეცნობა საქმის მთელ წარმოებას. საქმის წარმოებას გაეცნობა. აგრეთვე შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირი, თუ მისი ჯანმრთელობა იძლევა ამის შესაძლებლობას.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიება მთავრდება დადგენილების გამოტანით საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების მიზნით, რომელიც საქმესთან ერთად გადაეცემა ზედამხედველ პროკურორს.

თუ პროკურორი საქმის მასალების გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივა, რომ წინასწარი გამოძიება ჩატარებულია კანონის დაცვით, სრულად და ობიექტურად, იგი დადგენილებას და საქმეს აგზავნის ქვემდებარეობისამებრ სასამართლოში სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად. წინაადმდეგ შემთხვევაში პროკურორი აბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად თავისი კონკრეტული წერილობითი მითითებებით.

კანონის შესაბამისად პროკურორს შეუძლია აგრეთვე შეწყვიტოს საქმე წარმოებით იმ საფუძვლით, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით, მე-200 მუხლის მე-2 პუნქტით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი ქმედობის ხასიათისა და თავისი ფსიქიკური მდგომარეობის მიხედვით პირი, რომელმაც ეს ქმედობა ჩაიდინა, საზოგადოებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. პროკურორი წყვეტს სისხლის სამართლის საქმეს წარმოებით, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს საფუძველი სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად (მუხლი 329).

3. სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურება. აგზავნის რა პროკურორი საქმეს სასამართლოში სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების მიზნით, მოსამართლე ერთპიროვნულად ან სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე წყვეტს საკითხს საქმის სასამართლოში განხილვის შესაძლებლობის შესახებ.

საკითხის დადებითად გადაწყვეტის დროს უნდა მოგვარდეს მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ: მოსამართლე აცნობებს პროკურორს საქმის განხილვის ადგილსა და დროს, იღებს ზომებს დამცველის სასამართლოში გამოცხადების შესახებ; გამოიძახებს იმ ექსპერტს, ვინც წინასწარი გამოძიების დროს ჩაატარა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა: უზრუნველყოფს პროცესზე დაზარალებულის, კანონიერი წარმომადგენლის და მოწმეების მონაწილეობას.

მოსამართლე უფლებამოსილია სასამართლო პროცესზე მოიწვიოს ის პირი ვისი საქმეც იხილება, თუ მისი ჯანმრთელობა ამის საშუალებას იძლევა. პირის სასამართლო პროცესზე გამოძახების შესაძლებლობის შესახებ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ექსპერტის დასკვნა (330-ე მუხლი). თუმცა, კანონში მითითებული არ არის, მაგრამ მოსამართლეს შეუძლია ეს საკითხი გადაწყვიტოს ფსიქიატრ-სპეციალისტის ან ფსიქიატრიული დაწესებულების სათანადო ცნობის საფუძველზე.

შეურაცხადის ან სულიერად დაავადებული პირის საქმის განხილვა სასამართლოში ხდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო წესების დაცვით, გარდა იმ თავისებურებისა, რასაც აწესებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 331-333 მუხლები. ამ თავისებურებას მიეკუთვნება შემდეგი: შეურაცხადი ან სულით ავადმყოფი არ წარმოადგენს განსასჯელს; საქმეს სასამართლო იხილავს დახურულ სხდომაზე (მუხლი 331), პროკურორის მონაწილეობა საქმის განხილვის დროს სავალდებულოა, მაგრამ იგი არ გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი; პროკურორის პროცესუალური მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ იგი მონაწილეობს, როგორც კანონის შესრულებაზე ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენელი, დამცველის მონაწილეობა სასამართლოში საქმის განხილვის დროს სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, ამის თანახმაა თუ არა პირი, ვის საქმესაც სასამართლო იხილავს; ექსპერტ-ფსიქიატრის მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე ასევე სავალდებულოა; შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირი სასამართლოში არ დაიკითხება, არამედ იძლევა ახსნა-განმარტებას; პროკურორი არ წარმოთქვამს საბრალდებო სიტყვას, დამცველი — დაცვით სიტყვას; პროცესის ეს მონაწილეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას საქმის ირგვლივ და მისი ბედის შესახებ; სასამართლოს განაჩენი არ გამოაქვს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ.

თუ საქმის განხილვაში არ მონაწილეობენ პროკურორი და ექსპერტი-ფსიქიატრი, ასეთი ფაქტი ჩაითვლება საპროცესო კანონის არსებით დარღვევად და სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება უნდა გაუქმდეს[3].

სასამართლო გამოძიება იწყება წინასწარი გამოძიების დამთავრებისა და საქმის სასამართლოში გაგზავნის დადგენილების გამოქვეყნებით.

სასამართლო გამოძიება ტარდება ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად, რომლის დროსაც უნდა გაირკვეს და გადაწყდეს შემდეგი საკითხები: ადგილი ჰქონდა თუ არა საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენას, რომლის გამოც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე; ჩაიდინა თუ არა ეს ქმედობა პირმა, ვის საქმესაც სასამართლო იხილავს; ჩადენილია თუ არა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეურაცხადი პირის მიერ ან შერაცხადი პირის მიერ, რომელიც შემდგომში (გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს) დაავადდა სულიერად; გამოყენებული უნდა იყოს თუ არა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება და კონკრეტულად ამ ღონისძიების რომელი სახე; რომელი კონკრეტული მტკიცებულებებით (მოწმის და დაზარალებულის ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, კანონიერი წარმომადგენლის ჩვენება, ნივთმტკიცება და სხვ.) არის დადგენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის ფაქტიური გარემოება; დასაბუთებულია თუ არა ექსპერტ-ფსიქიატრის დასკვნა; დადგენილია თუ არა გარემოებანი, რომელმაც ხელი შეუწყო ან განაპირობა საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენა და მიღებულია თუ არა გამოძიების პროცესში ზომები ამ გარემოებების აღმოფხვრის მიზნით (მუხლები 311-312).

თუ სასამართლოში საქმე შემოვიდა საბრალდებო დასკვნით და ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მეშვეობით, აქვე დადგინდა, რომ პირი არის შეურაცხადი ან დაავადებული სულიერად, სასამართლოს შეუძლია საქმე არ დააბრუნოს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს არსებითად და გადაწყვიტოს იგი, მაგრამ იმ თავისებურებათა დაცვით, რასაც კანონი ადგენს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისათვის. თუ საქმეზე ჩატარებული იყო მოკვლევა, საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, რადგან კანონის ძალით, ამ კატეგორიის საქმეებზე ტარდება წინასწარი გამოძიება[4].

თუ სასამართლო იხილავს რამოდენიმე პირის საქმეს და მათ შორის არის შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირი, სასამართლო უფლებამოსილია ერთობლივად განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი ჯანმრთელი პირის ბრალეულობის შესახებ, ხოლო შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირის მიმართ — სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება გამოიყენოს. თუ საქმის ასეთი ერთობლივი განხილვა და გადაწყვეტა შეუძლებელია შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირის მიმართ, საქმე უნდა გამოიყოს ცალკე წარმოების მიზნით[5].

როდესაც სასამართლო მოისმენს პროკურორისა და დამცველის მოსაზრებებს სამედი-

---

[3] Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1986 г., № 12, с. 5.

[4] Бюллетень Верховного Суда СССР, 1984 г. № 3, с. 35 (п. 9).

[5] Бюллетень Верховного Суда СССР, 1984 г. № 3, с. 35 (п. 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხზე და საერთოდ საქმის შესახებ, მოსამართლეს შეუძლია საბოლოო სიტყვის უფლება მისცეს პირს, ვის საქმესაც იხილავენ. რა თქმა უნდა, თუ ამის საშუალებას იძლევა მისი ჯანმრთელობა. ამის შემდეგ სასასამართლო გადის სათათბირო ოთახში პროკურორისა და დამცველის მოსაზრებათა შესაფასებლად.

სათათბირო ოთახში განჩინების გამოტანის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლით.

ამას გარდა, სათათბირო ოთახში სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს აგრეთვე სხვა საკითხებიც: მატერიალური ზიანის ოდენობა და ხასიათი (საკითხი მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აღნიშნოს განჩინებაში); ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი; სასამართლო ხარჯების ოდენობა (სასამართლო ხარჯები არ გადახდება შეურაცხადს და სულიერად დაავადებულ პირს, მას სახელმწიფო გაიღებს); ხარჯები, რომელიც გაწეული იყო დამცველის სასამართლოში მონაწილეობასთან დაკავშირებით (ეს ხარჯებიც არ გადახდება შეურაცხად და სულიერად დაავადებულ პირს); საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის ხელშემწყობი პირობები და მიზეზები.

განიხილავს რა ამ საკითხებს და საქმის სხვა კონკრეტულ გარემოებებს, სასამართლო გამოიტანს ერთ-ერთ რომელიმე განჩინებას: 1) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ; 2) საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ; 3) საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების შესახებ; 4) საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ (მუხლი 333).

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების დროს განჩინებაში განისაზღვრება მხოლოდ ფსიქიატრიული სამკურნალო დაწესებულების სახე (საერთო ან სპეციალური) და არა ის კონკრეტული სამკურნალო ფსიქიატრიული საავადმყოფო, სადაც უნდა გაიგზავნოს პირი. განჩინებაში არ მეთითება, აგრეთვე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის ვადა. მკურნალობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს თვით ფსიქიატრიული დაწესებულება, ავადმყოფობის სიმძიმის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ ავადმყოფები ყოველ ექვს თვეში ერთხელ გადიან საექიმო შემოწმებას.

განაჩენის ასლი, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, იგზავნება აღსასრულებლად შესაბამის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოში, როდესაც გამოყენებული იყო პირის მოთავსება საერთო ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ან შინაგან საქმეთა ორგანოში, თუ გამოყენებული იყო პირის მოთავსება სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

4. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმება და შეცვლა. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის საფუძველს წარმოადგენს პირის სრული განკურნება ან ისეთი ხასიათის გაჯანსაღება, რომელიც გამორიცხავს ამ პირის საშიშროებას საზოგადოებისათვის.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმება ან შეცვლა ხდება სამკურნალო ფსიქიატრიული დაწესებულების საექიმო კომისიის დასკვნით პირის განკურნების შესახებ. საექიმო კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ჩატარებული მკურნალობის შედეგებზე და ის თუ რა სახის მკურნალობა სჭირდება პირს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში, ხომ არ უნდა იყოს იგი გადაყვანილი ერთი სახის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან მეორეში (მაგალითად, სპეციალური ფსიქიატრიული საავადმყოფოდან — საერთოში).

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის საბაბი შეიძლება გახდეს აგრეთვე ახლო ნათესავების და სხვა დაინტერესებული პირების (მეურვე, მზრუნველი) შუამდგომლობა. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დანიშნოს პირის სამედიცინო შემოწმება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და მიიღოს საექიმო კომისიის დასკვნა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნულ მოთხოვნებს.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმება ან შეცვლა შეუძლია მხოლოდ იმ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა განჩინება ამ ღონისძიების შეფარდების შესახებ ან სასამართლოს, რომლის მოქმედებების ტერიტორიაზეც მოთავსებულია შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირი. საქმის განხილვა ხდება იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რასაც კანონი ადგენს ამ კატეგორის საქმეთა განხილვისათვის. (მუხლი 331).

საქმის სასამართლოში განხილვას უნდა ესწრებოდნენ პროკურორი და საექიმო კომისიის ერთ-ერთი წევრი მაინც — ფსიქიატრიული საავადმყოფოს წარმომადგენელი. პირს, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართაც იხილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის საკითხი, შეუძლია დაესწროს სასამართლოში საქმის განხილვას, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 26 აპრილის № 4 დადგენილების საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია, თუ ამის საფუძველი არსებობს, საერთოდ გააუქმოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება პირის სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების შესახებ, ისე რომ იგი არ გადაიყვანოს საერთო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში[6].

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის თაობაზე, სასამართლო თავის გადაწყვეტილებას იღებს დასაბუთებული განჩინების გამოტანით. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს აგრეთვე განჩინება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის შესახებ.

სასამართლოს განჩინება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების, გაუქმების ან შეცვლის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს საერთო წესით. განჩინების გასაჩივრება შეუძლია პირს, ვისი საქმეც იხილება, თუ ამის საშუალებას იძლევა მისი ჯანმრთელობა.

პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა შერაცხად მდგომარეობაში, მაგრამ შემდგომში საქმის წინასწარი გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაავადდა სულიერად, თავისუფლდება სასჯელისაგან და არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. სწორედ ამიტომ, თუ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გატარების შედეგად ასეთი პირი ჯანმრთელი გახდა მან პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულისათვის.

პირის ჯანმრთელად ცნობა ხდება ფსიქიატრიული საავადმყოფოს საექიმო კომისიის დასაბუთებული დასკვნით.

საქმის განხილვის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია პირი ჯანმრთელად ცნოს და გააუქმოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. ამ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმებისა და საქმეზე მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ჩატარების შესახებ. საქმე ეგზავნება პროკურორს გამოძიების ჩასატარებლად და პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად.

სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნა მთლიანად ჩაითვლება პატიმრობაში ყოფნის დროთ (336-ე მუხლი).

სასამართლო უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გააუქმოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება და საქმე შეწყვიტოს წარმოებით (ხანდაზმულობის ვადის გასვლა, პატიება, ამნისტია და სხვ.)

მიზანშეწონილია, რომ სასამართლომ გამოიტანოს ერთი განჩინება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმებისა და საქმეზე გამოძიების ჩატარების შესახებ ან განჩინება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ[7].

---

[6] Бюллетень Верховного Суда СССР, 1984 г. № 3, с. 36 (п. 19).

[7] **Протченко Б. А.** Принудительные меры медицинского характера, М., 1976; **Строгович М. С.** Курс советского уголовного процесса, т. 2. М., 1970, с. 487-499; Настольная книга судьи. М., 1972, с. 691—709; Комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР, М., 1985, с. 639—653; **Ромазин С., Михайлова Т.**, Судебное рассмотрение дел по применению принудительных мер медицинского характера. — «Советская юстиция», 1985, № 1, с. 12-14; **Михайлова Т. А.** Расследование и судебное рассмотрение дел о невменяемых. — «Советское государство и право», 1986, № 2, с. 80-83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის კანონმდებლობის დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა

რობერტ რთველიაშვილი,
სიღნაღის რაიონის პროკურორი

მიწა ჩვენი საზოგადოების სიმდიდრეა, იგი სოფლის მეურნეობის წარმოების მთავარი საშუალებაა და ძირითადად ის განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას გამონაკლისი ხასიათი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის ერთადერთი მესაკუთრე მხოლოდ სახელმწიფოა.

იმის გამო, რომ მიწაზე სახელმწიფო საკუთრება საბჭოთა კავშირში მიწის ურთიერთობის საფუძველია, ყველა სხვა უფლება მიწაზე, სახელმწიფო საკუთრების უფლებაზეა დამოკიდებული. მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, ანდერძით დატოვება, მიწის ნაკვეთების თვითნებური გაცვლა და სხვა გარიგებანი კანონითაა აკრძალული.

ამასთან, მიწა დროებით ან უვადო სარგებლობისათვის გადაეცემათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მოვალენი არიან გამოიყენონ იგი ეფექტურად და რაციონალურად ,ყოველგვარი პირობები შექმნან მიწის სახელმწიფო ფონდის დაცვის, ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაუმჯობესებისათვის.

მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის საქართველოს სსრ მიწის კოდექსი ითვალისწინებს მთელ რიგ დისციპლინარულ და მატერიალურ პასუხისმგებლობას, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში დამნაშავენი სისხლის სამართლის წესით ისჯებიან.

სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონის 22-ე მუხლისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანებებისა და მითითებების თანახმად, საქართველოს სსრ პროკურატურა და მისი ადგილობრივი ორგანოები სისტემატურ ზედამხედველობას უწევენ მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელ დაცვას.

საერთო ზედამხედველობის წესით ჩატარებული შემოწმებები გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში ძირითადად სწორად ხორციელდება მიწის კანონმდებლობა, მაგრამ აქვე ისიც შეიმჩნევა, რომ ზოგჯერ ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა მიწათსარგებლობის კანონის მოთხოვნები, არაჯეროვნად სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 25 დეკემბრის დადგენილება რესპუბლიკაში მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების შესახებ.

დაუფარავად უნდა ითქვას, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, შემოწმებული რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციების, საბჭოთა მეურნეობების და ადგილობრივი საკონტროლო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია, რადგან ისინი ვერ უზრუნველყოფენ მიწის რესურსების რაცი-

ონალურად და ეფექტიანად გამოყენების შესახებ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დადგენილებებისა და მითითებების განუხრელად და ზუსტად შესრულებას.

სარგებლობენ რა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სამეურნეო და საკონტროლო ორგანოების უკონტროლობით, მთელ რიგ მეურნეობებში მასობრივი ხასიათი აქვს საზოგადოებრივი მიწების დატაცების, განიავების, მიწის რესურსების არადანიშნულებით გამოყენებისა და კანონიერების დარღვევის სხვა ფაქტებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეურნეობის დირექტორი თვითონ არის საზოგადოებრივი მიწების განიავების ინიციატორი.

მარნეულის რაიონის ხრამის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის (კ. მამედოვი) ბრძანებით უხეშად დაირღვა საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-13 მუხლი, როდესაც 38 მოქალაქეს უკანონოდ გამოეყო 5,7 ჰა მიწის ფართობი.

გარდაბნის რაიონის მარტყოფის მეხილეობისა და ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორებმა კი შვიდ მოქალაქეს ისე გამოუყვეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, რომ არსებული კანონის დაცვაზე არც უფიქრიათ.

ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ბრძანებით რესპუბლიკის გარედან მოსულ ჯიოევს ისე გამოეყო 0,06 ჰა მიწის ნაკვეთი, რომ ამ უკანასკნელს შრომითი ურთიერთობა არ ჰქონია მეურნეობასთან. მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობას არ ჰქონდა საკარმიდამო მიწის ფონდი, დირექტორის ბრძანებებით ცხინვალში მცხოვრებ ექვს მოქალაქეს 1984-1985 წლებში უკანონოდ გამოეყო მიწის ნაკვეთები. ასევე მოიქცა ამავე რაიონის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, როცა ხუთ ცხინვალელს დაუსაბუთებლად მისცა მიწის ნაკვეთები.

უხეშად არის დარღვეული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 22 მაისის № 333 დადგენილება „ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად საკარმიდამო ფონდის გამოყოფის შესახებ". აღნიშნული ფონდიდან მეურნეობის დირექციამ მიწის ნაკვეთების 30 პროცენტზე მეტი იმ პირებზე გასცა, რომლებსაც არათუ შრომითი ურთიერთობა არა აქვთ მეურნეობასთან, არამედ მის ტერიტორიაზეც კი არ ცხოვრობენ.

მარნეულის რაიონის კასუმლოს, აღმამედლოს, ხრამის, არაფლოს, თამარისის და 26 კომისრის საბჭოთა მეურნეობებში გამოვლინდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გადიდებისა და საზოგადოებრივი მიწების მიტაცების 125 ფაქტი. მიტაცებულია 21,7 ჰა საზოგადოებრივი მიწის ფართობი.

გარდაბნის რაიონში 1985 წელს გამოვლინდა საკარმიდამო ნაკვეთების გადიდებისა და მეურნეობის მიწების მიტაცების 18 ფაქტი, უკანონოდ იყო დაკავებული 3,3 ჰა საზოგადოებრივი მიწის ფართობი.

უხეშად ირღვევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 13 სექტემბრის № 477 და 1973 წლის 20 ივნისის № 398 დადგენილებები ყარაღაჯის, აკტაკლის და კართაკლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში. თუ 1982 წელს ამ მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრებ 96 ოჯახს ჰქონდა მიტაცებული 17,8 ჰა მიწის ფართობი, წელს ეს რიცხვი 120-ზე მეტია. რა თქმა უნდა, შესაბამისად გაიზარდა მიტაცებული მიწის ფართობიც. მათ ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველგვარი გაფორმების გარეშე დაიკავეს საზოგადოებრივი მიწები (ძირითადად საძოვარი), უპროექტოდ ააშენეს საცხოვრებელი სახლები, არ იხდიან მიწის რენტას, სხვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და ა. შ.

ბოლნისის რაიონის სოფელ ძველი ქვეშისა და აკაურთას 26 მცხოვრებმა მიიტაცა რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ჩ. ჭოხონელიძე) 6,15 ჰა მიწის ფართობი. აქედან, პროკურატურის ორგანოების ჩარევის შემდეგ მეურნეობას დაუბრუნდა 2,05 ჰა. ჯერ კიდევ სარგებლობენ ზედმეტი მიწის ნაკვეთებით ი. მამედოვი, რომელსაც კანონით 0,08 ჰა მიწის ფართობი ერიცხება, ფაქტიურად კი ფლობს 0,27 ჰას. ბ. გასანოვი სარგებლობს 0,11 ჰა მიწით, მაგრამ სახლის ნახევარი მიტაცებულ ფართობზე ააშენა. მიტაცებული ზედმეტი მიწით სარგებლობენ აგრეთვე ბ. რამაზანოვი, დ. რამაზანოვი და სხვა.

მარნეულის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობის (დირექტორი დათუნაშვილი) საზოგადოებრივი მიწის ფართობიდან მიიტაცეს ბ. ფაშა ოღლიმ 0,05 ჰა, ნ. არუთინიანმა 0,08 ჰა, ა. მასიმ ოღლიმ 0,07 ჰა მიწის ნაკვეთები.

ზედმეტი მიწის ნაკვეთებით სარგებლობენ აგრეთვე კიზილაჯალოს საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი რ. გუმბათოვი) მცხოვრებლები. ა. მირზაევი 0,12 ჰექტრის ნაცვლად სარგებლობს 0,24 ჰექტრით, ი. კალანდაროვი — 0,19 ჰექტრით და სხვ. კანონის ანალოგიურ დარღვევებს მასობრივი ხასიათი აქვს ხრამის მევენახეობის, არაფლოს და აღმამედლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში.

ცხინვალში მცხოვრებ 13 მოქალაქეს ჯავის რაიონში აქვს მიტაცებული 16 ჰექტარზე მეტი საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთი. აღსანიშნავია, რომ მარტო სოფელ წონშია ასეთი 12 ჰა. საზოგადოებრივი მიწების მიტაცების ფაქტები დადგენილია აგრეთვე კიროვის, ვანელის და როკის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე.

გარდაბნის რაიონის მარტყოფის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ი. მათიაშვილი) ზედმეტი მიწის ნაკვეთებით სარგებლობენ ი .მასიმოვი, გ .ოგანეზოვი, ვ. კუხაშვილი, შ. მამუკაშვილი და სხვ. ანალოგიური ფაქტები გვაქვს სართიჭალის, ულიანოვკის, აკტაკლისა და კარტაკლის მეურნეობებში.

მიწის კანონმდებლობის განსაკუთრებით უხეში დარღვევები დადგინდა გარდაბნის რაიონის სართიჭალის საბჭოთა მეურნეობაში. კერძოდ, ამ მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს უკანონოდ გამოეყოთ საკარმიდამო ნაკვეთები, გაიჩეხა მრავალწლიანი ნარგავები და სხვ.

კანონიერების ამგვარი უხეში დარღვევების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა 1984 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაავალა საქართველოს სსრ ყოფილ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს და გარდაბნის რაიონულ აღმასკომს, რომ შეესწავლა თუ რამდენად კანონიერადაა გამოყოფილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთები გარდაბნის რაიონის სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებისათვის, გაერკვიათ „ცუგროვანში“ საკარმიდამო მიწების მოცვლის ყველა დეტალი, მეურნეობის ტერიტორიაზე კაკლის, თუთისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების უკანონოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჭრისა და ამოძირკვის მიზეზები, მიეღოთ საჭირო ზომები გამოვლინებული დარღვევების აღმოსაფხვრელად და მასალები დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად გადაეცათ საგამოძიებო ორგანოებისათვის. სამწუხაროდ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ეს დიდმნიშვნელოვანი დავალება შემოწმების პერიოდისათვის შესრულებული არ იყო.

ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც კომლის გაუქმებისას სათანადო ცვლილებები არ შეაქვთ ზონარგაყრილ წიგნში, რის შედეგადაც მიწის ნაკვეთებს უნებართვოდ ფლობენ გაუქმებული კომლის ნათესავები ან ის პირები, რომლებსაც მეურნეობებთან არავითარი შრომითი ურთიერთობა არა აქვთ. მასობრივი ხასიათი მიიღო აგრეთვე დადგენილ ნორმაზე მეტი მიწის ნაკვეთებით სარგებლობის ფაქტებმა, რაც არაშრომითი შემოსავლის მიღების ერთ-ერთი საშუალებაა.

ბოლო წლებში, ჯავის რაიონში დამკვიდრდა პენსიონერების სარგებლობაში არსებული მიწის ზედმეტი ნაკვეთების უკანონო გადაფორმების მანკიერი პრაქტიკა შვილებსა და ახლობლებზე. ეს სახელმწიფო მიწების განიავების ერთ-ერთი ხელისშემწყობი პირობაა. მსხლების სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით ვ. ბიტიევს თავისი მამის სარგებლობაში არსებული ზედმეტი მიწის ფართობიდან სოფ. გუფთაში გამოეყო 0,1 ჰა მიწის ნაკვეთი, ს. კოჩიევს 0,1 ჰა. ქ. თბილისში ცხოვრობს ა. ჯიოევი, მაგრამ სოფელში მცხოვრები დედის სარგებლობაში არსებული 0,25 ჰექტრიდან მაინც გამოუყვეს 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი, ასევე 0,04 ჰა მიწა გამოუყვეს ტ. ცხოვრებოვს, როდესაც იგი ქ. ცხინვალში ცხოვრობს და აქვს ნაკვეთიც და პირადი საკუთრების სახლიც.

როგორც ცნობილია, ჯავის რაიონში ძალიან ბევრნი ფლობენ მიწის ზედმეტ ნაკვეთებს და მას არაშრომითი შემოსავლის წყაროდ იყენებენ. გამოირკვა, რომ 24 პირზე 13 ჰა ზედმეტი მიწის ფართობი ირიცხება, აქედან 5 პირი ქ. ცხინვალში ცხოვრობს და სოფლის მეურნეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ისინი ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იღებენ თივას და კერძო პირებზე ჰყიდიან. ეს მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ მეურნეობებს სისტემატურად არ ყოფნით პირუტყვის საკვები.

ანალოგიური დარღვევებია ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში, სადაც მოქალაქეთა სარგებლობაში არსებული მიწის ზედმეტი ნაკვეთები აღრიცხული არ არის სათანადო წესით, არ ხდება მათი ჩამოჭრა საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის.

ზნაურის რაიონის სოფელ ვანელის მცხოვრებლებს ნ. დემეევს, ზ. ჩაბიევს, ხ. ხაბადოვს, გ. პლიევსა და სხვებს საერთოდ არა აქვთ დარიცხული მიწის რენტა, რადგან ზონარგაყრილ წიგნში აღრიცხული არ არის ამ მოქალაქეთა სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები.

სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალურად გამოყენების პრობლემა სულ უფრო და უფრო მეტ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი უშუალო კავშირშია სსრ კავშირის კონსტიტუციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებასთან. ამ პრობლემის გადაწყვეტა და სსრ კავშირის ძირითადი კანონის მოთხოვნების ცხოვრებაში გატარება ადგილებზე ევალებათ რაიონის (სასოფლო) სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათ აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიებს. მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავად ამისა, მთელ რიგ შემთხვევებში მიწის კანონმდებლობის დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სწორედ მათი სუსტი მუშაობაა.

ჯავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ (გ. კარკუსოვი) რაიონის არქიტექტორის გვერდის ავლით, თავისი პირადი შეხედულებისამებრ, ჯავის დასახლებაში გამოყო და გაანაწილა მიწის ნაკვეთები, სადაც გენერალური გეგმის უხეში დარღვევით დაიწყო დასახლების უგეგმო მშენებლობა. გარდა ამისა, ჯავის რაიონში გამოვლინდა პირადი საკუთრების სახლების უკანონო მშენებლობის 16 შემთხვევა, რითაც უხეშად არის დარღვეული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 107 დადგენილება „სოფლად მშენებლობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

ანალოგიური დარღვევები დადგინდა ბოლნისის რაიონის სოფ. სარალიარში, კოშა-კელისაში, დარბაზში, გულავერში, ძველ ქვებში, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში.

ჯავის რაიაღმასკომში ხშირად მიმართავენ მოქალაქეთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფას ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მიზნობრივი საჭიროების ფონდიდან. ამ გადაწყვეტილებებს რაიაღმასკომი საფუძვლად უდებს ვითომ მიწის ფონდის ეკონომიას, მაგრამ ეს მოქმედება ყოველნაირად უკანონოა. ამ გზით მიიღეს მიწის ნაკვეთები ფ. ხაბალოვმა, ა. გასიევმა, გ. კოჩიევმა, ი. ხუგაევმა და სხვებმა.

ხშირად რაისაბჭოს აღმასკომები და სასოფლო საბჭოები სწორად არ იყენებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 ივნისის № 400 დადგენილებას სოფელთან კავშირგაწყვეტილი პირებისათვის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ. მაგალითად, ჯავის რაიონის სოფ. იტრაპისში უკანონოდ გამოეყო მიწის ნაკვეთი ბეკოევს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ქ. ცხინვალში, აქვს საკარმიდამო ნაკვეთი და პირადი საკუთრების სახლი. ანალოგიური დარღვევებით მიიღეს მიწის ნაკვეთები ქ. ცხინვალში მცხოვრებმა სხვა მოქალაქეებმაც.

მიწის დაცვა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა და ეს ყველამ კარგად იცის. მიუხედავად ამისა, ბევრი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის თუ სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი, გატაცებულია რა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობით (გეგმით, მოგებით და სხვ.), ხშირად ივიწყებს მას, უგულებელყოფს მიწის კანონმდებლობის დაცვას და საბოლოოდ არასახარბიელო შედეგებიც მოსდევს. განსაკუთრებით საგანგაშოა მიწების გაფუჭებისა და გაჭუჭყიანების ფაქტები ანუ სასოფლო-სამეურნეო საკარგულების სრული გაღატაკება, მათი იმ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ მიწა თითქმის სრულიად უვარგისი ხდება.

1984 წელს, გეგმით გათვალისწინებული 218 ჰექტრის ნაცვლად მარნეულის რაიონში კულტტექნიკური სამუშაოები ჩაუტარდა მხოლოდ 54 ჰექტარს. ამ მიზნით გამოყოფილი 104 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 20 ათასი მანეთი. 1985 წელს ნაცვლად 100 ჰექტრისა კულტტექნიკური სამუშაოები ჩატარდა 50 ჰექტარზე და 30 ათასი მანეთის ნაცვლად ათვისებულია 15 ათასი მანეთი. ანალოგიური მდგომარეობაა გარდაბნისა და ბოლნისის რაიონებში.

ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი წარმოება-ორგანიზაციებისაგან მიწების თვითნებურად დაკავებისა და ნაკვეთების სამეურნეო ნარჩენებით დანაგვიანების ფაქტებს.

ბოლნისის ადგილმრეწველობის კომბინატს (დირექტორი ნ. კუჭავა) სათანადო ნებართვის გარეშე 1985 წლიდან აქვს დაკავებული ბოლნისის რაიონის რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ჩ. ჭოხონელიძე) 0,30 ჰა საძოვარი მიწის ფართობი ბაზალიტის ქვის საწარმოებლად. ამ კარიერისათვის მიწის ნაკვეთის არსებული წესით გამოყოფის შესახებ მხოლოდ ახლახან დაისვა საკითხი.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა გაერთიანება „საქარმადნეულის" ლეჟბედინის საკარიერო სამმართველომ (დირექტორი ი. გაჯიევი) ხრამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ს. სილაძე) 6,0 ჰექტარი საძოვარი დაიკავა და ისე დააზიანა ამ მიწის ვარგისი ფენა, რომ იგი უვარგისია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის სარეკულტივიზაციო სამუშაოების ჩატარების გარეშე. ამავე გაერთიანების იმირის სამსხვრევ-დამხარისხებელმა ქარხანამ (დირექტორი რ. ჩხეიძე) კარიერისათვის თვითნებურად დაიტაცა 7 ჰა სახნავი და 11 ჰა საძოვარი მიწის ფართობი მარნეულის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობის ტერიტორიაზე და დაიწყო მისი დამუშავება. ამის შედეგად მიწის ზედაპირი ისეა დაზიანებული, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის რეკულტივიზაციის სამუშაოების ჩატარების გარეშე.

გარადაბნის რაიონის გამარჯვების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე (დირექტორი გ. ჭაჭია), რუსთავი-გამარჯვება გზის მარჯვნივ, მეფრინველეობის ფაბრიკამ დაანაგვიანა 1,0 ჰა საძოვარი მიწის ფართობი. ასეთივე მდგომარეობაშია კარატაკლიის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე 1 ჰა საძოვარი მიწის ფართობი, გაჩიანი-რუსთავის გზის მარჯვნივ, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

როგორც წესი, ყოველწლიურად რესპუბლიკაში აღინუსხება მიწის კანონმდებლობის დარღვევის ასობით ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას. მიუხედავად ამისა, ყველა დამრღვევს მაინც არ აკისრებენ კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას (არ ახდევინებენ სოფლის მეურნეობისადმი მიყენებულ ზარალს).

ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები, მიწების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო ინსპექტორები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ამ სფეროში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად, მასალები მიწის კანონმდებლობის დარღვევებზე შედგენილია უხარისხოდ, ჭიანურდება საგამოძიებო ორგანოებისათვის მათი გადაცემის ვადები და სხვა. აი, მაგალითებიც: როგორც შემოწმებით გამოირკვა, ბოლნისისა და მარნეულის სახელმწიფო ინსპექტორები მასალებს მიწის კანონმდებლობის დარღვევებზე იშვიათად გადასცემენ რაიაღმასკომებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს, საბჭოთა მეურნეობებში არსებული ზონარგაყრილი წიგნები მოძველებულია, სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად არ წარმოებს მათში ცვლილებების შეტანა, ჩანაწერები გადაშლილია, არ ხდება ამ წიგნების შედარება რაიონის მიწის ბალანსის მონაცემებთან და სხვა.

მიწის კანონმდებლობის დარღვევათა აღსაკვეთად ჯერ კიდევ სუსტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბრძვიან შინაგან საქმეთა ორგანოები, მილიციის უბნის რწმუნებულები და სხვა სამსახურები თითქმის არ ავლენენ ასეთ დამნაშავე პირებს, ხოლო გამოვლენილი პირების მიმართ არ იღებენ გადამჭრელ ზომებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მიწის კანონმდებლობის დარღვევებზე შინაგან საქმეთა განყოფილებაში გადაცემული მასალების გადაწყვეტა გაუმართლებლად ჭიანურდება. ბოლნისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ 1985 წელს უსაფუძვლოდ შეაჩერა ორი სისხლის სამართლის საქმე, რამაც ამ საქმეთა განხილვის ვადების დარღვევა გამოიწვია. მარნეულის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ მ. რუსტამოვისგან მიწის მიტაცების ფაქტზე მასალები მიიღო 1985 წლის 20 მაისს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 1985 წლის 30 სექტემბერს, ამით კი უხეშად დაირღვა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ვადები.

პროკურატურის ორგანოების წინაშე დიდი და გადაუდებელი ამოცანებია დასახული. ერთ-ერთი მათგანია მიწის კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერება, რაც განსაკუთრებით მწვავედ დადგა უკანასკნელ წლებში. რესპუბლიკის პროკურატურამ ამ მხრივ გარკვეული მუშაობა ჩაატარა და შედეგსაც მიაღწია. დასახულია ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკაში მსგავსი დარღვევების მაქსიმალურად გამოვლენა, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ამ სახის დანაშაულებრივი ფაქტების პროფილაქტიკა.

მიწის კანონმდებლობის დარღვევების სრული ლიკვიდაციისა და მათი თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ახლებურად გარდაქმნას მუშაობა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა. ეს უპირველესად ეხებათ მიწების დაცვის, მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის სამმართველოს, იურიდიულ სამმართველოს და მათ ადგილობრივ სამსახურებს, რომელთა უშუალო მოვალეობასაც შეადგენს მიწის კანონმდებლობის განუხრელი დაცვა და კონტროლი.

დისკუსია

ფიქრები იურიდიულ სამსახურზე

ნოდარ ნებიერიძე,

საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხნის იურიდიული განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის იურისკონსულტთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი

„სრულვყოთ იურიდიული სამსახური“ — ამ სათაურით გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსის თ. საბიაშვილის საინტერესო წერილი. ამ წერილმა პროფესიონალ პრაქტიკოს იურისკონსულტებს, რომლებმაც ათეული წლები შეალიეს საწარმო-დაწესებულე-

* გამოხმაურება თ. საბიაშვილის წერილზე „სრულვყოთ იურიდიული სამსახური“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ 1987 წლის 20 მარტის ნომერში.

ბათა იურიდიულ სამსახურს, არ შეიძლება მრავალი საფიქრალი და „საღერღელი“ არ აუშალოს, განსაკუთრებით დღეს, როდესაც სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ახალი მძლავრი სტიმულები წარმოიშვა და უფლება მოგვეცა ჩვენი გულისტკივილის საჯაროდ გამოთქმისა.

„იურისტი საწარმოსა და ორგანიზაციაში სამართლებრივი მუშაობის ბურჯია... ჩვენი ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთი ძალაა“— წერს თ. საბიაშვილი. შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ აზრს, როცა იგი ჩვენ, წარმოება-დაწესებულების გამოცდილ იურიდიულ კადრებს წლების მანძილზე გვაღელვებს. ზუსტად ამასვე ითხოვს ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილებები.

ჩვენ კი, სამწუხაროდ, საოცრად მივეჩვიეთ ისეთ „ბურჯებად“ ყოფნას, რომლებსაც ნაკლებად ეყრდნობიან და ხშირად მეტად კომიკურ სიტუაციებში მოხვედრილებს, პროტესტის გამოთქმის ნაცვლად მხოლოდ ირონიული ღიმილით გადაგვიხედავს ერთმანეთისათვის. ეს ნათქვამი ქარაგმად რომ არ ჩამეთვალოს, თავიდანვე უნდა ვაუწყო მკითხველს, რომ ჩვენს სინამდვილეში „წარმოების იურისტი“ ანუ იგივე „იურისკონსულტი“ პრაქტიკულად თითქმის უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა მოვალეობა ყოველთვის თავზე საყრელი ჰქონდა. და აი რატომ: სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იურისტების სტატუსი რეგლამენტირებულია „ზოგადი დებულებებით იურისკონსულტის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 ივნისის დადგენილებით. აღნიშნულმა დადგენილებამ თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა წარმოების იურიდიული სამსახურის განმტკიცების საქმეში, მაგრამ მას თავიდანვე დიდი ხარვეზები ჰქონდა, თანამედროვე ეტაპზე კი საერთოდ მოძველდა...

ამ დებულების მიხედვით, წარმოება დაწესებულებაში დასაქმებული იურისტების **მოვალეობაა** (ხაზგასმა ჩემია ნ. ნ.) მთელი სამართლებრივი მუშაობის წარმართვა. წარმოების იურისკონსულტი ვალდებულია შეამოწმოს თუ რამდენად შეესაბამება მოქმედ საბჭოთა კანონმდებლობას ბრძანებების, ინსტრუქციების, დებულებებისა და უფლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტების პროექტები, ხოლო თუ რაიმე კანონსაწინააღმდეგო აქტი უკვე გამოცემულია, მიიღოს ზომები აღნიშნული აქტის შეცვლისათვის, ან გაუქმებისათვის. დებულების მე-13 მუხლში წერია: „იურისკონსულტი, რომელმაც კანონის დარღვევა აღმოაჩინა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების საქმიანობაში ან თანამდებობის პირთა მუშაობაში **მოვალეა** (ხაზგასმა ჩემია ნ. ნ.) მოახსენოს ეს შესაბამის ზემდგომ ორგანოს — დარღვევების აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების მისაღებად“. აქვეა დაწესებული იურისკონსულტის პასუხისმგებლობაც: „იურისკონსულტს, რომელმაც დებულების შესაბამისად არ მიიღო ზომები კანონიერების დარღვევის აღმოსაფხვრელად, ეკისრება პასუხისმგებლობა დადგენილი წესით საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელთან ერთად“.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ იურისკონსულტს აღნიშნული ზოგადი დებულებით სხვა მრავალი მოვალეობაც აკისრია, ნათელი გახდება, თუ რა მძიმე ტვირთი აწევს მას. შეიძლება უცნაურადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ იურისკონსულტის ფუნქცია წარმოებაში თითქმის იგივეა, რაც რაიონის პროკურორისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იურისკონსულტს მხოლოდ მოვალეობა აკისრია უფლების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეშე, პროკურორი კი უფლებამოსილია. უფლების გარეშე კი, ცნობილია, რომ მოვალეობის რეალიზება შეუძლებელია. ნათქვამის საილუსტრაციოდ ისევე აღნიშნულ დებულებას დავუბრუნდეთ. დებულების მე-6 მუხლში წერია: „საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების იურისკონსულტი უშუალოდ ემორჩილება ხელმძღვანელს". მკითხველი დამეთანხმება, რომ ნორმატიული აქტის ასეთი კატაქრეზი დაუშვებელია და მას წლების მანძილზე მხოლოდ ზიანი მოჰქონდა, ხოლო წარმოების იურისტებს უუფლებო მდგომარეობაში აყენებდა.

მახსოვს, 1970 წელს „ლიტერატურნაია გაზეტამ" რუბრიკით „დირექტორი და კანონი" დიდი და საჭირო დისკუსია წამოიწყო: გაზეთის ფურცლებზე მრავალი საინტერესო წერილი გამოქვეყნდა იურისკონსულტის რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე საქმიანობაზე. დისკუსიაში მონაწილეობდნენ იურისკონსულტები, მეცნიერები, პროკურორები, მოსამართლეები, წარმოების ხელმძღვანელები, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, გამოქვეყნდა იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის შემაჯამებელი წერილიც.

დისკუსიაში მონაწილე ყველა ავტორი ერთხმად აღიარებდა, რომ იურისკონსულტი წარმოების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა.

მას შემდეგ 17 წელი გავიდა და ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ იურისკონსულტის სტატუსი არ შეცვლილა. წარმოების „კანონმდებელი" და „ბურჯი" კვლავ დამორჩილებულ საქმიანობას ეწევა.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის მიზეზი იმ საგალალო მდგომარეობისა, რომ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან თითქმის არავის არ სურს იურისკონსულტად მუშაობა და, თუ მაინც ვინმე გაბედავს მუშაობის დაწყებას, იგი მალევე გარბის. ისმება ბუნებრივი კითხვა: მაშ, საიდან მოდიან იურისკონსულტთა კადრები? ვინ მუშაობენ დღეს წარმოება-დაწესებულებების იურისკონსულტებად?! სხვათა შორის კარგი იქნება თუ ამით იუსტიციის სამინისტრო დაინტერესდებოდა. სამწუხაროდ, წარმოება-დაწესებულებათა იურიდიული კადრებით დაკომპლექტება თვითდინებით ხდება, რაზედაც თავის სტატიაში სამართლიანად მიგვანიშნებს თ. საბიაშვილიც. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ თავის საქმეზე შეყვარებული, პრინციპული და მცოდნე იურისკონსულტები თითებზე ჩამოსათვლელია, მაშინ, როცა იურისკონსულტთა არმია საკმაოდ დიდია, რომელსაც, როგორც თ. საბიაშვილი აღნიშნავს, „ერთიანი ცენტრი", წინამძღოლი და გზის გამკვლევი სჭირდება...

ამას წინათ ერთი გამომძიებლის საუბარს შევესწარი: „ბოლოსდაბოლოს თუ აქედან წავალ, იურისკონსულტად ხომ მაინც მოვეწყობიო". სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იურისკონსულტებად სწორედ საპენსიო ასაკს მიღწეულნი ან სხვაგან ხელმოცარულნი მიდიან... კარგად მახსოვს, ერთხელ, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ჩვენს პროფ. თინათინ წერეთელს ვკითხე, როგორია იურისკონსულტთა შრომის ორგანიზაცია და მისი შრომის ანაზღაურება საზღვარგარეთ-მეთქი. აწ განსვენებულმა პროფესორმა მიპასუხა: საზღვარგარეთ წარმოების იურისკონსულტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მისი შრომის ანაზღაურება ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სასამართლო, პროკურატურის ორგანოებში და უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებისო...

დღეს არნახული გარდაქმნები მიმდინარეობს და ვფიქრობთ, დადგა დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული სამსახურის საქმიანობაც გარდაიქმნას თვით ცხოვრებით ნაკარნახევი პრობლემების გადასაჭრელად. ალბათ, რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ უნდა იკისროს იურისკონსულტთა მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა, მისი შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურების რეგულირება. საჭიროა, რომ იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაოს იურისკონსულტთა შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები. თუნდაც ექსპერიმენტის სახით, უნდა მივცეთ საშუალება მოწინავე, საქმის მცოდნე და გამოცდილ იურისკონსულტებს, გარკვეული პროცენტების სახით ხელფასს ზევით მიიღონ შრომის გასამრჯელო იმ ამოღებული თანხებიდან, რომლებიც წარმოების ანგარიშზე ჩარიცხა გაწეული საპრეტენზიო სასარჩელო მუშაობის შემდეგ. იმის დროც დადგა, რომ ახლადდამთავრებულმა იურისტებმა, როგორც წესი, 2-3 წლის სტაჟირება გაიარონ იურისკონსულტებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეთ მათ რეკომენდაცია სხვაგან სამუშაოდ. ბოლოსდაბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, რომ იურისკონსულტებად მუშაობდნენ პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, პროფ. ნიკო წერეთელი და სხვები.

დასასრულს, ერთი პრობლემაც. წლების განმავლობაში იუსტიციის სამინისტროსთან არსებობს რესპუბლიკის იურისკონსულტთა საბჭო და მისი პრეზიდიუმი, რომელმაც თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა იურისკონსულტთა შეკავშირებაში, მაგრამ, ვფიქრობთ, მან დღეისათვის მთლიანად დაკარგა თავისი ფუნქცია და მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. კარგი იქნება თუ მის ბაზაზე შეიქმნება უფრო აქტიური, ვთქვათ, იურისკონსულტთა რესპუბლიკური კავშირი თავისი წესდებით ან, დავუშვათ კლუბი, რომელსაც ეყოლება თავისი პრეზიდენტი — იურიდიული პირის უფლებით. ასეთი ორგანო შეაკავშირებს იურისკონსულტთა კადრებს, მჭიდრო კავშირს დაამყარებს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან, იზრუნებს კადრების შერჩევაზე, რეკომენდაციებს გაუწევს იურისტებს სამუშაოზე მოწყობის დროს, იზრუნებს პროფესიული დაოსტატებისათვის, პროპაგანდას გაუწევს იურიდიული სამსახურის საქმიანობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვ. ეს ჭეშმარიტად სასარგებლო საქმე იქნება.

ასეთი რეორგანიზაცია გზას გადუკეტავს წარმოება-დაწესებულებებში შემთხვევით მოხვედრილ პირებს, რომლებსაც წარმოდგენაც კი არა აქვთ იმ დიდ ფუნქციაზე, რომელიც მათ აკისრიათ.

ვერ დავეთანხმებით თ. საბიაშვილს იმ საკითხში, რომ თითქოს იურისკონსულტი მოძველდა და იგი უნდა შეიცვალოს უფრო სწორი, ამომწურავი ტერმინით „იურისტი". გავიხსენოთ, რომ „იურისკონსულტი" ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით სამართლისმცოდნეს ნიშნავს. სამართლისმცოდნეობა კი დიდი მეცნიერებაა და ის, ვინც ამ სახელს ატარებს კარგად უნდა ერკვეოდეს არამარტო მოქმედ სამეურნეო სამართლის ნორმებში, არამედ იურისპრუდენციის ყველა დარგში. დიახ, იურისკონსულტი მხოლოდ მაშინ იქნება წარმოების კანონმდებელი და ბურჯი, თუ იგი კარგად ერკვევა სამოქალაქო, სისხლის, შრომის, საოჯახო, საკოლმეურნეო და სხვა სამართლის ნორმებში. წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები და ადმინისტრაცია თავის „სამართლისმცოდნესაგან" ამომწურავ პასუხს მოელიან ამა თუ იმ უფლებრივი ხასიათის საკითხის გადაწყვეტისას და იურისკონსულტი ყოველთვის მზად უნდა იყოს, რათა ღირსეულად გაამართლოს თავისი სახელი — სამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილსმოცდნე! საერთოდ კი, მხოლოდ ტერმინის შეცვლა საქმეს ვერ უშველის...

როგორც ვხედავთ, პრობლემები ბევრია და ურიგო არ იქნებოდა, თუ რესპუბლიკის რომელიმე მასობრივი ინფორმაციის ორგანო ითავებდა და გაშლიდა ფართო დისკუსიას მათ მოსაგვარებლად.

რედაქციისაგან: ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქცია სიამოვნებით ღებულობს ამ „გამოწვევას" და რესპუბლიკის იურისკონსულტებს, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს, მეცნიერებს და, საერთოდ, დაინტერესებულ პირებს თხოვს, რომ აქტიურად გამოეხმაურონ წერილში აღძრულ პრობლემებს და ჩვენი ჟურნალის საშუალებით გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

ჩვენი პროფესიის მოწინავენი

ანგარიშს აბარებს გამომძიებელი

თამაზ ჭუმბურიძემ 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამტრედიის რაიონის პროკურატურაში სტაჟირების შემდეგ დაინიშნა ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროს გამომძიებლად. პროფესიული ოსტატობისადმი დაუცხრომელი ლტოლვა, მაღალი პასუხისმგებლობა, მისი გამჭრიახობა და გამომძიებლისათვის ესოდენ საჭირო საზრიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა — საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით თითქმის ორი წელი იმუშავა რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფში. საქმე ეხებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებას.—ამ ჯგუფში მუშაობამ, თქვა თ. ჭუმბურიძემ, ბევრად შეუწყო ხელი ჩემს გამომძიებლად ჩამოყალიბებას, პროფესიული დონის ამაღლებას... უფროსი კოლეგებისაგან ბევრი სასარგებლო რამ შევიძინე.

ამასწინათ, საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე მოისმინეს უფროსი გამომძიებლის თამაზ ჭუმბურიძის ანგარიში. კოლეგიის გადაწყვეტილებით მაღალი შეფასება მიეცა მის საქმიანობას. კერძოდ, აღინიშნა, რომ „სამნახევარი წლის მანძილზე თ. ჭუმბურიძემ გახსნა ყველა საქმე, რომელსაც კი აწარმოებდა. საქმეებს იძიებს ხარისხიანად, მაღალ პროფესიულ დონეზე. მთელი ამ ხნის მანძილზე არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ დაბრუნებია დამატებითი გამოძიებისათვის, მის პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია მოქალაქის უკანონო დაკავების, დაპატიმრებისა და სისხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალში მიცემის არც ერთ ფაქტს"... ყოველივე ამისათვის თამაზ ჭუმბურიძეს გამოეცხადა სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის პროკურორის მადლობები, დაჯილდოებულია ფასიანი საჩუქრებით...

ახლა, როცა პროკურატურის ორგანოების მთელი ძალისხმევა მიმართულია „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო ზედამხედველობის როლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 4 ივნისის დადგენილების უთუოდ შესრულებისაკენ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მკითხველისათვის გაგვეცნო ზოგიერთი ის საკითხი და პრობლემა, რაზეც რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიაზე ილაპარაკა თამაზ ჭუმბურიძემ. მაშ, ასე, ანგარიშს აბარებს გამომძიებელი...

* * *

საანგარიშო პერიოდში (სამნახევარი წლის მანძილზე) ვადის დარღვევით გამოძიებული მაქვს 9 სისხლის სამართლის საქმე, აქედან 6 ვადადარღვევით მქონდა მიღებული, ხოლო სამზე ვადა დაირღვა ჩემი მიზეზით, ორი — სამუშაოს არასწორი ორგანიზაციით, ხოლო ერთი — საქმის სირთულისა და დიდი მოცულობის გამო.

მიმაჩნია, რომ ხშირად ვადის უსაფუძვლოდ დარღვევას განაპირობებს სისხლის სამართლის საქმის ნაადრევად აღძვრა, ხოლო როცა მასალები სრულყოფილადაა მომზადებული, ვადის დარღვევის შესაძლებლობაც გაცილებით ნაკლებია. შეწყვეტილი მაქვს 5 სისხლის სამართლის საქმე, აქედან სამი ჩემი აღძრული არ იყო და შევწყვიტე დანაშაულის არარსებობის მოტივით.

საქმის წარმოებაში მიღებისთანავე ვადგენ საგამოძიებო გეგმას, ვსახავ ვერსიებსა და მისი შესრულების ოპტიმალურ ხერხებს. მოკვლევის ორგანოებიდან მასალების მიღებისთანავე გულდასმით ვსწავლობ მათ, ვარკვევ როგორც უკვე არსებულ, ისე მოსალოდნელ წინააღმდეგობებს.

უნდა ვაღიარო, პირველ ხანებში ვეცადე გეგმის გარეშე მემუშავა, მაგრამ ძალიან გამიჭირდა — სასამართლოში საქმის გაგზავნის წინ გამახსენდებოდა ხოლმე, რომ ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედება არ მქონდა შესრულებული. ამის შემდეგ, საბოლოოდ ვირწმუნე გეგმიანი მუშაობის აუცილებლობა.

ჯერ კიდევ მიჭირს შემთხვევის ადგილის სრულფასოვანი დათვალიერება, დანაშაულის ადგილზე კვალისა და ნივთმტკიცებების აღმოჩენა, მდგომარეობის დაფიქსირება და ზუსტი გამოკვლევა, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ ამ ხარვეზების საბოლოოდ დაძლევას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით და მოწმეთა დაკითხვით მიღებული მასალების შეჯერებით ვცდილობ სრულყოფილად და მაქსიმალურად აღვადგინო ჩადენილი დანაშაულის თანმიმდევრული სურათი, ეს, თითქმის ყოველთვის, სწორ ვერსიაზე მაყენებს. ასეთი ანალიზის საშუალებით თავიდანვე ზუსტ გზას დავადექი რკინიგზის სადგურის ყარაულისა და ავტობუსის მძღოლის მკვლელობის საქმეთა გამოძიების დროსაც.

უტყუარ და მამხილებელ მტკიცებათა წინასწარი შეგროვებით, ობიექტური, კანონიერი გზებით თითქმის ყოველთვის ვაღწევ აღიარებითი ჩვენების მიღებას, მაგრამ ღრმად მწამს, რომ აღიარება მთავარი მტკიცება არ არის.

ვცდილობ, დაკითხვის დროს არ გავამხილო გამოძიების მიერ მოპოვებული ისეთი მონაცემები, რომლებითაც ეჭვმიტანილი შეიტყობს თუ რა არ იცის გამოძიებამ და გამოიყენებს მათ მოგონილი ვერსიების შეთხზვისათვის.

ობიექტურობის გარეშე ვერ წარმომიდგენია გამომძიებლის საქმიანობა. მიმაჩნია, რომ გამომძიებელმა ბრალდებული არ უნდა მოხიბლოს არარეალური დაპირებებით, მიზნის მისაღწევად იგი არ უნდა ცდილობდეს რაღაც ილუზიების შექმნას. ჩემს საგამოძიებო პრაქტიკაში მხოლოდ ორმა დასაკითხმა პირმა მითხრა უარი ჩვენების მიცემაზე. თუ ასეთი შემთხვევები ბევრი აქვს გამომძიებელს, ვთვლი, რომ იგი სუსტია, თავს ვერ ართმევს დაკისრებულ საქმეს და მისი მუშაობა მკაცრი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

კონკრეტულ საქმეებზე მუშაობის პროცესში ვცდილობ დამნაშავეს ჩავახედო საკუთარი სულის სიღრმეში, დავარწმუნო, რომ დანაშაულებრივი ცხოვრება წარმოშობს ყოველგვარ ბოროტებას... თუ დამნაშავეს გავუღვიძე სინდისის ქენჯნა, თავს ბედნიერად ვთვლი, მაგრამ ჯერ თვით გამომძიებელი უნდა იყოს პატიოსანი, კეთილსინდისიერი, პუნქტუალური, მაღალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეობრივი შეგნების მქონე. ყოველივე ეს უპირველესი გარანტიაა დამნაშავის დამარცხებისა...

გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ვცდილობ ზელმიწევნით ზუსტად დავიცვა სოციალისტური კანონიერება, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები. ამასთან, ვიცი პროფესიული დონის ამაღლებისათვის აუცილებელია სისტემატიურად ვიღრმავებდე საგამოძიებო პრაქტიკას, ვეცნობოდე სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა გამოძიების მეთოდიკაზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ, რაც, ვფიქრობ, დიდი ნაკლია. თუმცა, ასეთი ლიტერატურა, ხშირ შემთხვევაში, ჩვენამდე არც აღწევს...

როცა წინასწარი მონაცემებით დამნაშავე უტყუარად დადგენილია, ჯერ ჩავატარებ ხოლმე ქონების ჩხრეკას, აღწერას, დაყადაღებას, ხოლო შემდეგ დაკითხვას, რათა მაქსიმალურად უზრუნველვყო ზარალის ანაზღაურება.

ჩემს მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პროცესზე განხილვის დროს თვალყურს ვადევნებ სამსჯავრო გამოძიების მიმდინარეობას, ვსწავლობ აქ წამოჭრილ საკითხებსა და პრობლემებს. ყოველივე ეს მეხმარება სხვა საქმეების უფრო სრულყოფილად გამოძიების საქმეში.

მიმაჩნია, რომ გამომძიებლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პროფილაქტიკური მუშაობაა. ამიტომ ყველა საქმეზე ვცდილობ გამოვიკვლიო დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, შევიტანო მათზე დასაბუთებული წარდგინებები თუ ინფორმაციები, მოვუმზადო მასალები პროკურორს დამრღვევ პირთა მიმართ ოფიციალური გაფრთხილებისათვის კანონის დარღვევის დაუშვებლობის შესახებ. ბოლომდე ვცდილობ მივაღწიო კანონის დარღვევის სრულ აღმოფხვრას. მაგალითად, მიწერების საქმეთა გამოძიების პროცესში აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელები პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების მიზნით, წამატებებით შედგენილ დოკუმენტებზე ხელს აწერინებდა არაკომპეტენტურ პირებს.

მსგავსი შემთხვევები რომ აღმეკვეთა, საინფორმაციო სტატისტიკურ ცენტრს წარდგინება გავუგზავნე, რამაც კარგი შედეგი გამოიღო: სტატისტიკური ცენტრის დირექტორმა ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელს კატეგორიულად მოსთხოვა ასეთი ფაქტების აღმოფხვრა.

პროფილაქტიკური მუშაობის ერთ-ერთ ეფექტიან ფორმად მიმაჩნია გამოძიების შედეგების გაცნობა მშრომელთა კოლექტივისადმი.

მუშაობაში დიდ დახმარებას მიწევს ქალაქის პროკურატურის ხელმძღვანელობა, გამოცდილი, კვალიფიციური იურისტები. ჩემი მხრივ კი, უშურველად ვუზიარებ გამოცდილებას ახალგაზრდა გამომძიებელს ს. გერსამიასა და სტაჟიორ გ. გვენცაძეს.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენი მუშაობის პირობებზე. ამ მხრივ, სამწუხაროდ, ცუდი ვითარებაა. მაგალითად, საინფორმაციო ცენტრიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მოგვდის პასუხი პიროვნების ნასამართლობაზე. ასევე დაგვიანებით ვღებულობთ სხვა აუცილებელ მონაცემებსაც, მაშინ, როცა ბრალდება დამნაშავეს სამიდან ათ დღემდე ვადაში უნდა წარედგინოს.

ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ლაბორატორია დღემდე არ არის აღჭურვილი ახალი ტექნიკით, არ გვაქვს ვიდეოგადამღები აპარატურა, ხმის ჩამწერი მაგნიტოფონები. მუშაობისათვის წარმოუდგენელად ცუდი პირობებია იზოლატორში.

გარდაქმნის სასიკეთო ნიშნები სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს დაეტყო. გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დაგვიძლევია წარსულის ინერცია, შესაცვლელი და გარდასაქმნელი ჩვენ მუშაობაში კი ძალზედ ბევრია.

მიგვაჩნია, რომ დადგა დრო რათა ახლებურად გავიაზროთ საგამოძიებო მუშაობის ორგანიზაცია, ერთი სიტყვით, ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავაყენოთ გამოძიება მაღალ დონეზე, რათა მივიღოთ საჭირო ეფექტი და რადიკალურად გავაუმჯობესოთ გამოძიების ხარისხი, რომლის შესახებაც, ამ ბოლო დროს, არაერთხელ გამოთქმულა სამართლიანი შენიშვნები მაღალი ტრიბუნებიდან.

ვფიქრობ, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამომძიებლებად განაწილების მოქმედი სისტემა საგრძნობლად მოძველდა და პრაქტიკულად აღარ შეესაბამება ცხოვრების მოთხოვნებს. საიდუმლო არ არის ის გარემოება, რომ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები თავიანთი მომზადების თეორიული დონით და პრაქტიკული ჩვევებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეესაბამებიან გამომძიებლის თანამდებობას. მართალია, ამის ერთგვარი კომპენსაცია სტაჟირებით ხდება, მაგრამ პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ამისათვის ერთი წელი აშკარად ცოტაა, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგჯერ სტაჟირების ვადის გასვლამდე ახალ კურსდამთავრებულები ინიშნებიან გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობებზე, ე. ი. თეორიულად და პრაქტიკულად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ გამომძიებელს ვანდობთ ადამიანის ბედს, საქმის გამოძიებას. ამიტომ რა გასაკვირია რომ მას არ ძალუძს იმ პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა, რომლებიც დღევანდელი გამოძიების წინაშეა დასმული. უფრო მეტიც,— ზოგან პროკურატურის ორგანოები მხოლოდ ასეთი გამომძიებლების ანაბარაა მიტოვებული, რაც, ცხადია, უარყოფითად აისახება ჩვენს პრესტიჟზე, იწვევს უკუეფექტს. ვფიქრობ, ამ ხარვეზების გამოსწორებისათვის, კარგი იქნება თუ შემოვიღებთ გამომძიებლის თანაშემწის ახალ თანამდებობას და ახალკურსდამთავრებულებმა სწორედ ამ თანამდებობით დაიწყონ საქმიანობა პროკურატურის ორგანოებში. ხოლო მას შემდეგ, რაც შეიძენენ საჭირო პროფესიულ ოსტატობას, მიეცეთ საქმის დამოუკიდებლად გამოძიების უფლება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გამომძიებლის, როგორც პროცესუალური პირის დამოუკიდებლობა, ხშირად ცხოვრებაში ვერ პოულობს სათანადო რეალიზაციას, რის შესახებაც სხვა-თა კავშირის გენერალური პროკურორის ერთ-ერთ ამასწინანდელ გამოსვლაში აღინიშნა, რომ „გამომძიებლის პროცესუალური დამოუკიდებლობა არ არის ლოზუნგი, არამედ ეს უპირველესი პირობაა საქმის ობიექტურად გამოძიებისათვის“. ამიტომ საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას გამოძიებაში ჩარევის შემთხვევები, არსებითი ხასიათის საკითხებზე ზეპირი მითითებები, სხვადასხვა ინსტანციებში გამოძახება კონკრეტულ საჩივრებთან დაკავშირებით, გამომძიებლის ახსნა-განმარტებების მოსმენა, სასამართლო პროცესებზე გამომძიებელთა მიწვევა, დაკითხვები და სხვ. უფრო მეტიც, ზოგჯერ სასამართლო ორგანოები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით გამომძიებელს ავალებენ პროცესის ორგანიზაციას, მოწმეთა მოყვანასა და სხვ. მიანიშნათ, რომ რადგან საქმე მისი გამოძიებულია, თითქოს იგი ვალდებული იყოს ასეთი საკითხების გადაწყვეტისათვის.

კრიტიკას ვერ უძლებს საგამოძიებო საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფა. გამომძიებელი კვლავ მხოლოდ ქალმითა და ქაღალდით არის „შეიარაღებული“, მოკლებულია თანამედროვე ტექნიკას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ის რაც გვაქვს პრაქტიკულად გამოუყენებელია, რადგან სათანადოდ ვერ ვფლობთ მას. ფოტოსაქმეშიც კი მხოლოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების დახმარებით გავდივართ „იოლად“.

გამომძიებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციის შეგროვების ნებადართული ყველა თანამედროვე საშუალებით, რისთვისაც საჭიროა, რომ მთელი საგამოძიებო ტექნიკა თავმოყრილი იყოს სპეციალურ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებში. ამასთან თითოეული გამომძიებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კავშირგაბმულობის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით, დაწყებული ჩვეულებრივი სატელეფონო კავშირიდან, დამთავრებული სპეციალურით.

დაბოლოს, გადასინჯვას მოითხოვს გამომძიებლის შრომის ანაზღაურების საკითხებიც. მაგალითად, თუ დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის ამოღებული თანხიდან გარკვეული პროცენტი გამომძიებელს მიეცემა, ბევრად გაიზრდება მისი დაინტერესება ამ ზარალის მაქსიმალურად ამოღებისათვის.

პატივცემულო კოლეგიის წევრებო, ვიცი, რომ ეს პრობლემები ერთი ხელის მოსმით არ გადაწყდება, ზოგი რამ კი შეიძლება თამამ აზრადაც ჩამომერთვას, მაგრამ თუ გვინდა გამოძიების ხარისხი ამაღლდეს, საჭიროა ძირეული გარდაქმნები, გამოძიებაში თვისებრივად ახალი სტილის დანერგვა.

ახლა კი დიდი მადლობა მინდა მოვახსენო რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობასა და კოლეგიას ჩემი მოკრძალებული შრომის ასეთი მაღალ დონეზე განხილვისათვის. გარწმუნებთ, რომ ძალღონეს არ დავიშურებ, რათა ღირსეულად ვატარო პროკურატურის გამომძიებლის საპატიო სახელი.

* * *

ორი ლირიკული უბრალო თამაზ ჭუმბურიძის პორტრეტისათვის:

ერთი წელიც არ იქნება, რაც დედა გარდაეცვალა. როცა მამით დაობლდა, ჯერ კიდევ პატარა იყო და ამიტომ დედა გაორკეცებული სინაზითა და მოწიწებით უყვარდა... იმ მძიმე ჟამს მასთან ისეთი ადამიანებიც მივიდნენ, ადრე თამაზი დაუძინებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრად რომ მიაჩნდათ. ეს სამძიმარი გამომძიებლის ობიექტურობისა და სიმართლისადმი გულწრფელი მადლიერებისა და მონანიების გამოხატულებად იქცა...

* * *

— შეიძლება, შვილო?— ფრთხილად შეაღო კარები მოხუცმა ქალმა, პასუხს აღარ დაელოდა და ფეხაკრეფით შევიდა თამაზ ბენბურიძის სამუშაო ოთახში.

ქალალდებში ჩაფლულმა გამომძიებელმა თავი ასწია, იცნო, სწრაფად წამოდგა, გაუცინა და თბილად შეეგება: — მობრძანდით, დაბრძანდით...

— არა, შვილო, შენს გამზრდელს ვენაცვალე, დროს არ დაგაკარგვინებ, — ჩანთიდან გაზეთში შეხვეული რალაც ამოიღო და მაგიდაზე დადო, — ჩემი კახა რომ არ დამიღუპე, მეტი გეკუთვნის, მაგრამ...

თამაზს ფერი ეცვალა, შეცბა, არ ელოდა, ძლივს მოეგო გონს და მრისხანედ უთხრა: — როგორ იკადრეთ, მე რა შუაში ვარ, კანონიერად... ახლავე აიღეთ და... — ენა დაება გამომძიებელს.

ქალმა საცოდავი, ნაწყენი თვალებით შეხედა, ისევ თავისივე მოტანილი და ძლივს გასაგონად თქვა — ეჰ, შვილო, ვიფიქრე, ჩემი ხელით ამოვლებულია, პირს ჩაიტკბარუნებს-მეთქი...

— რაო, ჩურჩხულებია?! იყოს, დედა, დიდი მადლობა, ძალიან მიყვარს, რატომ შეწუხდით...

გელა გერძენიშვილი.

დაბალი ინსტანციის სასამართლოს რეორგანიზაცია საქართველოში XIX-XX სს. მიჯნაზე

შალვა ვანიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოში გატარდა ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმები, რაც, აგრეთვე, აჯანყებული ხალხისა და ოლეოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის დაშოშმინებასაც ისახავდა მიზნად.

1864 წლის 13 ოქტომბერს იმპერატორმა დაამტკიცა ტფილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის მოწყობის წესები, რომლის თანახმად სასოფლო საზოგადოებაში უნდა გაერთიანებულიყო ყველა კატეგორიის გლეხობა. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოდ ნავარაუდევი იყო გლეხთა ყრილობა. აღმასრულებელი ხელისუფლება ეძლეოდა მამასახლისს, ხოლო მართლმსაჯულების ფუნქცია—სოფლის სასამართლოს.

ამ „წესების" პირველი პარაგრაფის თანახმად ტფილისის ადმინისტრაციამ შეადგინა დეტალური დებულება (დამტკიცდა 1865 წლის 11 აპრილს), რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობანი არა მარტო ტფილისის გუბერნიაში, არამედ მთელს საქართველოში. იმავე დებულების თანახმად ჩამოყალიბდა სასოფლო სასამართლოებიც.

სოფლის სასამართლოს სამი კაცის შემადგენლობით სასოფლო საზოგადოების ყრილობა ირჩევდა. იგი წყვეტდა გლეხთა დავა-საჩივრებს 100 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში, რომელიც განეკუთვნებოდა სამოქალაქო სამართლის სფეროს. თუ სადაო საკითხი 100 მანეთს აჭარბებდა და დავაში მონაწილეობდნენ არაგლეხური წარმოშობის პირები, იგი განსახილველად გადაეცემოდა უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის სასამართლოს უფლება ჰქონდა მცირე დანაშაულისათვის გამოეტანა გარკვეული სასჯელი — დამნაშავე გაეგზავნა საზოგადოებრივ სამუშაოებზე ექვსი დღით, დაეჯარიმებინა 100 მანეთით, ან დაეპატიმრებინა 7 დღის ვადით, სოფლის სასამართლოს შეეძლო გადასახადთა ნარჩენების დაფარვის მიზნით გაეყიდა გლეხობის ქონება. მამასახლისს უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო სამართლის წარმოებაში, გავლენა მოეხდინა განაჩენის ხასიათზე. სამაგიეროდ მას ევალებოდა სისრულეში მოეყვანა სასამართლოს დადგენილებანი.

ქართველი პროგრესული მოღვაწეები მოწონებით შეხვდნენ სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შემოღებას, მაგრამ იმთავითვე შეამჩნიეს მისი ნაკლოვანებებიც. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დებულების თანახმად სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ხელისუფლება მხოლოდ გლეხობაზე ვრცელდებოდა, მოვალეობას გლეხებს აკისრებდა, იცავდა კი მოსახლეობის ზედაფენის ინტერესებს. აკრიტიკებდა რა კანონის ამ ცალმხრივობას, ი. ჭავჭავაძე წერდა: „სოფლის სასამართლოს ხელი მიუწვდებოდა მარტო გლეხკაცზე. თუ გლეხკაცმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ შეასრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს: თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვთ სოფლის სასამართლოს შემწეობით გადაახდევინონ გლეხს სასჯელი, თუ საზღაური. თუ არა გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათ ვერსზე გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს... ყველა ეს იმისთანა მძიმე არის გლეხისათვის, რომ იგი იძულებულია თავისი დაჩაგვრა გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც... რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, — განაგრძობს ილია, — რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ ცეცხლად? რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ!.. ჩვენი სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს“[1].

დიდია ილიას მიერ აღნიშნული ამ ნაკლის, ნაწილობრივ მაინც, აღმოფხვრა შეეძლებოდა ყველა წოდებისათვის საერთო სოფლის საზოგადოებრივი მმართველობისა და სასამართლოს დაარსებით, რომელიც მოვალეობასაც და უფლებასაც თანაბრად გაანაწილებდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებზე. მაგრამ ამ თვალსაზრისს მმართველი ზედაფენა არ იზიარებდა.

მეფის მთავრობას და კავკასიის ადმინისტრაციას არ შეეძლოთ მთლიანად უგულებელეყოთ საზოგადოებრივი აზრი, სოფლის მმართველობის ნაკლოვანებებით გამოწვეული გლეხთა უკმაყოფილება. მეფის მთავრობის მოხელეები მოქმედ კანონში მცირე კორექტივის შეტანაზე თითქოს უარს არ ამბობდნენ, მაგრამ არსებითად მხოლოდ პრობლემის გადაწყვეტაზე ზრუნვის ილუზიას ქმნიდნენ.

1885 წელს ამიერკავკასიის მთავარმმართველ დონდუკოვ-კორსაკოვის განკარგულებით ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია, რომლის მიერ შედგენილი სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის სრულყოფის პროექტი 1887 წელს გადაეგზავნა ზემდგომ ინსტანციას. ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ეპვი გამოთქვა ამიერკავკასიის გლეხობის თვითმმართველობისათვის მზადყოფნაზე. საკითხის გამორკვევა, დამატებითი მასალების შეგროვება დაევალა გლეხთა საქმის საგუბერნიო საკრებულოებს. მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის მოხელეებმა აღიარეს, რომ ადგილობრივი სოფლის მოსახლეობა ძალიან გონიერად იყენებს ბოძებულ თვითმმართველობას და ნაკლოვანებები შეიმჩნევა მხოლოდ სოფლის სასამართლოების საქმიანობაში, რადგან მათ ზემოდან ხელმძღვანელობა და კონტროლი აკლიათ.

1892 წელს სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის პრაქტიკული საქმიანობა მთავარმმართველის საბჭოს წევრმა იაკიმოვმა შეისწავლა. თავის ანგარიშში იგი წერდა, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სოფლის საზოგადოებრივი მმართველობანი მოწოდების სიმაღლეზე დგანან, აქვთ საკუთარი შენობები, ყავთ მწერლები, აწარმოებენ საგლეხო სასამართლოების დადგენილებათა სპეციალურ წესდებაში ჩაწერას. იაკიმოვის აზრით, სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის საქმიანობაში შემჩნეული ზოგი ნაკლის მიზეზი ის იყო, რომ სოფლის მოსახლეობას არ ჰყავს მეთაური, რომელიც გამოიყვანდა მას ახალი ცხოვრების

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, თბ., 1928, გვ. 64-69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო გზაზე. ერთმანეთის მოქიშპე მაზრის უფროსები და მომრიგებელი მოსამართლეები სოფლის საზოგადოებრივ თვითმმართველობას ვერ უწევენო სათანადო კონტროლსა და „მზრუნველობას". მისი განცხადებით სოფლის მოსახლეობას ესაჭიროებოდა მრავალმხრივი ხელისუფლებით აღჭურვილი ხელმძღვანელი, მსგავსი რუსეთის თვითმმართველობათა სათავეში ჩაყენებული საერობო უფროსისა, რომელიც თავის თავში გააერთიანებდა ადმინისტრაციულ, სამოსამართლო და სამეურნეო ფუნქციებს[2].

საქართველოში საერობო თვითმმართველობა არ ყოფილა და ბუნებრივია, საერობო უფროსიც ვერ დაინიშნებოდა. ვარაუდობენ, რომ მის ფუნქციას ამ განაპირა ქვეყანაში საპოლიციო უბნის ბოქაული შეასრულებდა.

1898 წელს ამიერკავკასიის მთავარმმართველმა გოლიცინმა დასვა ადგილობრივი ადმინისტრაციული დაწესებულებების (საგუბერნიო, სამაზრო, საუბნო) რეორგანიზაციის საკითხი. სათანადო კანონპროექტი კანცელარიის დირექტორმა სანდრიგაილომ შეადგინა. ამ დოკუმენტის დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ პროექტის ავტორები საგუბერნიო სამმართველოს როგორც კოლეგიური ორგანოს დაარსებით, მიზნად ისახავდნენ გუბერნატორისა და მაზრის უფროსის ერთპიროვნული ხელისუფლების შეზღუდვას, ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმეთა წარმოების რამდენადმე გაუმჯობესებას, მოსახლეობის უკმაყოფილების შემცირებას.

კანონპროექტის თანახმად ყოველი მაზრა იყოფოდა უბნებად. ამ ადმინისტრაციულ ერთეულთა უფროსებს უნდა დაკისრებოდა ყველა ის ფუნქცია, რაც აქამდე ევალებოდათ პოლიციის ბოქაულებსა და მომრიგებელ მოსამართლეებს. ამას გარდა, უბნის უფროსებს ეძლეოდათ სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის საქმიანობაზე კონტროლის უფლება; ევალებოდათ სოფლის მამასახლისთა და მოსამართლეთა ხელმძღვანელობა, სოფლის სასამართლოს დადგენილებათა წინააღმდეგ აღძრული საჩივრების განხილვა-გადაწყვეტა.

სამოქალაქო სამართლის სფეროდან უბნის უფროსის განსჯა-გადაწყვეტას უნდა დაქვემდებარებოდა 500 მანეთამდე ატეხილი დავა, დარღვეული მფლობელობა — საკუთრების აღდგენის საქმე, ყველა ის საჩივარი, რაც აღიძვრებოდა მემამულეთა და გლეხთა საადგილმამულო ურთიერთობების დროს. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას უბნის უფროსი სასჯელს ადებდა შინაური პირუტყვის ქურდობასა და სხვისი ტყის გაჩეხვაში დადანაშაულებულ პირებს, კანონისა და მთავრობის დადგენილება-განკარგულებათა დამრღვევთ, ჩხუბისა და აყალმაყალის ამტეხებს და სხვ. საქმეების განხილვა-გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო საჯაროდ და ზეპირად. სამოქალაქო სამართლის საქმეები გაირჩეოდა იმ წესების საფუძველზე, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მომრიგებელი მოსამართლეები. უბნის უფროსი უნდა დაყრდნობოდა აგრეთვე შიგარუსეთის საერობო თვითმმართველობას სახელმძღვანელოდ შექმნილ 1889 წლის კანონის სათანადო მუხლებს. ყველა დადგენილება-განაჩენი შეიტანებოდა ოქმში, ისინი სისრულეში უნდა მოეყვანათ სოფლის თანამდებობის პირებს და ქალაქთა პოლიციის მოხელეებს. უბნის უფროსის განაჩენის წინააღმდეგ აღძრულ საჩივრებს გაარჩევდა კოლეგიური ორგანო — სამაზრო ყრილობა[3].

1899 წლის კანონპროექტმა არსებითი კორექტივი შეიტანა სოფლის საზოგადოებრივ მმართველობაში, გაითვალისწინა მისი რეორგანიზაცია რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში არსებული ნიმუშის მიხედვით.

მოწინავე ქართველ მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ სოფლის თვითმმართველობა ფაქტობრივი იყო, რადგან მამასახლისი, სხვა თანამდებობის პირები და მოსამართლეები საქმიანობდნენ მაზრის უფროსთა ბრძანება-მითითებების შესაბამისად, საკუთარ ინიციატივას კი ვერ იჩენდნენ. 1899 წლის კანონპროექტის ავტორები კი პირიქით, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის მთავარ ნაკლს იმაში ხედავდნენ, რომ თვითმმართველობის ორგანოები თითქოს საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციის კონტროლის გარეშე იდგნენ და ამიტომ კანონსაწინააღმდეგო განაჩენებიც კი შედიოდა ძალაში. სწორედ ასეთი კონტროლის განხორციელებას ავალებდნენ უბნის უფროსს.

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან შედარებით კარგ შეფასებას სოფ-

---

2 „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. V, თბ., 1970, გვ. 311.

3 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 12, ანაწერი 10, საქმე 2016, ფურც. 56-64.

ლის სასამართლო იმსახურებდა. ეს სასამართლო, მათი განცხადებით, ახლოს იდგა ხალხთან, არ ახასიათებდა ფორმალიზმი, სამართალწარმოების დროს ძირითადად ემყარებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-ჩვეულებებს და საქმეებს ხწრაფად და შედარებით სამართლიანად წყვეტდა. ამ მოტივით კანონპროექტის ავტორები მიზანშეწონილად თვლიდნენ მომრიგებელ შუამავალთა კომპეტენციაში არსებულ საქმეთა საგრძნობი ნაწილის სოფლის სასამართლოსათვის გადაცემას. ოფიციალურ თვალსაზრისზე მყოფი მოხელეები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრივი აზრისათვის და დებულების პროექტში ისიც ჩაწერეს, რომ სოფლის სასამართლოს კომპეტენციაში უნდა შევიდეს პრივილეგიურ წოდებათა წარმომადგენლების მიერ ჩადენილ დანაშაულთა გარჩევა-გადაწყვეტა.

სისხლის სამართლის სფეროდან სოფლის სასამართლოს უნდა გაერჩია: პირადი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (მდინარისა და არხის წყლის გაჭუჭყიანება, გაფუჭებული პროდუქტების გაყიდვა, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, ცილისწამება, დამცირება, ცემა, დაჭრა-დასახიჩრება); ქონებრივი უფლების დარღვევის ფაქტები (სხვისი მიწის მოხვნა-მითვისება და მოძოვება, სარწყავი წყლის მითვისება, მრუდი სასწორისა და არშინის გამოყენება, სხვისი პირუტყვის მოკვლა-დასახიჩრება, ხეხილისა და ვენახის გაჩეხვა-დაზიანება, ქურდობა, ძარცვა და საერთოდ, სხვისი მოძრავი ქონების მითვისება, როცა მოპარულ-მითვისებულის ღირებულება არ აღემატებოდა 100 მანეთს).

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ 1899 წლის კანონპროექტმა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა და სასამართლოს საქმიანობა მოაქცია მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის, კერძოდ, უბნის უფროსის საკმაოდ მკაცრი კონტროლის ქვეშ და ამით არსებითად შეზღუდა საზოგადოებრივი ინიციატივა, ხალხის თვითმმართველობა. ამდენად, აღნიშნულ დოკუმენტში აშკარად ჩანდა კონტრრეფორმების სულისკვეთება. მიუხედავად ამისა, უმაღლეს მთავრობას იგი არ დაუმტკიცებია. ამდენად, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის სტრუქტურასა და ფუნქციონირების ფორმებს ცვლილებები არ განუცდიათ.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ კიდევ უფრო ნათელყო თვითმპყრობელობის მართვა-გამგეობის სისტემის უვარგისობა საერთოდ, და კერძოდ, ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-სასამართლო წყობის დრომოჭმულობა. მეფე და მისი მოხელეები შეაშინა რევოლუციის მზარდმა მასშტაბებმა და იძულებული გახდნენ, რათა რაიმე კონკრეტული ეღონათ მომწიფებული რეფორმების გატარებისათვის.

1905 წლის 26 თებერვალს გამოქვეყნდა ნიკოლოზ მეორის ბრძანება კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის აღდგენისა და, შესაბამისად, მხარის მართვა-გამგეობის სისტემაში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე. მეფისნაცვლად დაინიშნა გრაფი ი. ვორონცოვ-დაშკოვი. მან სხვა პრობლემებთან ერთად დააყენა მოქმედი სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის საკითხიც.

ახალ სიტუაციაში მეფისნაცვალი მეტ ანგარიშს უწევდა მოწიწავე საზოგადოებრივ აზრს. იგი აღიარებდა 60-იანი წლების რეფორმათა კუდშეკვეცილ ხასიათს, დროებითვალდებულების ინსტიტუტისა და ბატონყმობის სხვა ნაშთების ლიკვიდაციის აუცილებლობას; მოითხოვდა ადმინისტრაციისა და სასამართლოს გამიჯვნას, აყენებდა ამიერკავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაარსების საკითხს.

ი. ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორისათვის გაგზავნილ ბარათში წერდა, რომ ამიერკავკასიაში შექმნილი მომრიგებელი სასამართლო შორს იდგა ხალხისაგან, მცირე იყო შემადგენლობით, ახასიათებდა ბევრი ფორმალურობა და ნიუანსი, რაც აძნელებდა თხოვნა-საჩივრების შეტანას, აგვიანებდა საქმის გარჩევას. ამას ემატებოდა ისიც, რომ ხელფასი მცირე იყო, რის გამო ძნელდებოდა მცოდნე და გამოცდილ მომრიგებელ მოსამართლეთა მოზიდვა. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა მოითხოვა ჯამაგირების გაზრდა, რუსეთიდან ამიერკავკასიაში სახელგატეხილ მოხელეთა გამოგზავნის აღკვეთა. ამავე ბარათში მეფისნაცვალი აღნიშნავდა, რომ რუსეთისათვის შედგენილი კანონპროექტი აუქმებს სოფლის სასამართლოს და ყველაზე დაბალ ინსტანციად აცხადებს მომრიგებელ სასამართლოს. იგი მოითხოვდა, რომ დამტკიცების შემდეგ ეს კანონი ამიერკავკასიაზეც გავრცელებულიყო. მეფის ნაცვალს მიზანშეწონილად მიაჩნდა მომრიგებელი სასამართლოს კომპეტენციის გაფართოება და მასში ადგილობრივი მოსახლეობისაგან არჩეული ნაფიცი მსაჯულების შეყვანა. განათლებული მომრიგებელი მოსამართლეები და ადგილობრივი პირობების მცოდნე ნაფიცი მსაჯულები, ვორონცოვ-დაშკოვის აზრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს ავტორიტეტს აამაღლებდნენ და მართლმსაჯულების საქმეს არსებითად გააუმჯობესებდნენ[4].

ი. ვორონცოვ-დაშკოვის წინადადება მთავრობის წრეებში, მართალია, ძირითადად მოიწონეს, მაგრამ ჰქონდათ ზოგიერთი შენიშვნა და ამიტომ უფრო დეტალური კანონპროექტის შემუშავება მოითხოვეს.

1908 წელს ი. ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით ჩამოყალიბდა კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მეფისნაცვალის საბჭოს წევრი ოსეცკი. ეს ის დრო იყო, როცა რევოლუციური ქარიშხალი დროებით შეჩერდა და რეაქცია გამარჯვებას ზეიმობდა. მეფის მთავრობის კავკასიელი მოხელეები უკვე აღარ ამახვილებდნენ ყურადღებას ადმინისტრაციისა და სასამართლოს გამიჯვნაზე, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტებზე. პირიქით, მოითხოვდნენ, რათა ადგილებზე შექმნილიყო ძლიერი ხელისუფლება, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ადმინისტრაციული, საპოლიციო და სამოსამართლო ფუნქციებით.

ოსეცკის კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო ადმინისტრაციული ინსტანციების შემცირება, სამსაფეხურიანის ნაცვლად ორსაფეხურიანი იერარქიის დაკანონება. ზედმეტად მიიჩნია მაზრა და მისი უფროსი, რომელიც საშუამავლო როლს ასრულებდა გუბერნატორსა და საპოლიციო უბნის ბოქაულს შორის. მომავალ უბნის უფროსს ერთდროულად უნდა დაკისრებოდა მაზრის უფროსის, მომრიგებელი მოსამართლისა და საპოლიციო ბოქაულის ფუნქციები. ასეთი შეერთება, ავტორთა აზრით, არა თუ რაიმე პრაქტიკულ უხერხულობას გამოიწვევდა, არამედ აღმოფხვრიდა უსარგებლო მრავალხელისუფლებიანობას, რაც საქმის წარმოების ბიუროკრატიულ გაჭიანურებასა და მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

კანონპროექტის ავტორებს უბნის უფროსის თანამდებობის დაკავების აუცილებელ წინაპირობად მიაჩნდათ უმაღლესი განათლება, დიდი გამოცდილება და ადგილობრივი მოსახლეობის ენის ცოდნა. ისინი, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწეების, მთელი ხალხის მოთხოვნილებას და კანონპროექტისადმი თანდართულ განმარტებით ბარათში წერდნენ: „უბნის უფროსი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად ახლოს მოსახლეობასთან, გაიგოს მისი საჭიროება, შესძლოს ამ საჭიროების დაკმაყოფილება, თუ მას უშუალო კონტაქტი ექნება ხალხთან, მოისმენს საჩივრებს, გაიგებს რა ხდება სოფლის კრებაზე. მოსული მოხელე მხოლოდ მაშინ მოიპოვებს მოსახლეობის ნდობას, როცა შესძლებს ელაპარაკოს მისთვის გასაგებ ენაზე. ამიტომ ყველას, ვინც მოისურვებს დაიკავოს უბნის უფროსის პოსტი, აუცილებლად უნდა მოეთხოვოს ადგილობრივი ენის ცოდნა“[5].

პირველი რევოლუციის წლებში და მის შემდეგ, მართალია, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა რუსეთის აბსოლუტური მონარქიის ბურუუაზიულ მონარქიად გარდაქმნის გზაზე (ვ. ი. ლენინი), მაგრამ თვითმპყრობელობის კლასობრივი ბუნება არსებითად არ შეცვლილა. მნიშვნელოვანი კორექტივი არც საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემაში ყოფილა შეტანილი. ადგილობრივი ადმინისტრაცია და სასამართლო ბოლომდე იცავდა მოსახლეობის ზედაფენების ინტერესებს, მათი მთავარი ფუნქცია კვლავ დაჩაგრული კლასებისა და რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგობის დათრგუნვა იყო. არსებითი გარდატეხა 1917 წლის თებერვალში დაიწყო, სრულიად ახალ ერას კი ოქტომბრის რევოლუციამ ჩაუყარა საფუძველი.

---

[4] Всеподданейшая Записка по управлению Кавказским краем ген. адиутанта Воронцова-Дашкова, 1907, стр. 130—136.

[5] სსცია, ფ. 13, ანაწერი 10, საქმე 737, ფურც. 16-18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული სამართალი

დებულებით არ შემიძლია ვამტკიცო, რომ სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს ყოფილ წევრს, ეთერ მერაბიშვილს, რომელიც ამგვარი დარღვევებისათვის აღარ აირჩიეს ახალი ვადით, დღეს მაინც აქვს შეგნებული თავისი შეცდომის ფასი, უფრო სწორად, ის მძიმე შედეგი, რაც მისგან დადგენილ უკანონო განაჩენს მოჰყვა. სამწუხაროდ, ამჯერად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამართალდაცვითი ორგანოების იმ სხვა მუშაკებსაც ვერ დავასახელებ, რომლებიც მეტად საეჭვოდ „გაისარჯნენ“ ვიგენტი იასონის ძე დათაშვილის დაპატიმრებისათვის. მათ მიერ შექმნილი ხელოვნური ბრალდება მართლაც ზვავივით აგორდა და ერთი უბრალო, პატიოსანი ოჯახი ლამის საბოლოოდ შეიწირა.

რა იყო ეს?! შეცდომა თუ თავნებობა?! იქნებ სხვა რამეც დაერქვას ახლა ამას, მაგრამ საკითხავია, რა დააბრუნებს უკან პატიმრობაში გატარებულ 2 წელიწადს, 7 თვესა და 13 დღეს, რა ეშველება გულნატკენი ადამიანების შერყეულ რწმენას, ვინ და როგორ დაივიწყებს უკანონობით განაწამები ბავშვების ცრემლებს?!

როგორც იტყვიან, ბოლოსდაბოლოს „სამართალმა პური ჭამა“. დღეს ვიგენტი დათაშვილი გამართლებულია, საკუთარ ოჯახში, ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობს, მაგრამ გასახსენებლადაც კი ძნელია ის ტანჯვა-წამება, რაც მართალ კაცს გადახდა. ამ ბრძოლას თითქმის 950 დღე შეეწირა, მოლოდინითა და შიშით გათანგული 950 დღე, ვიდრე სხვადასხვა საკასაციო ინსტანციას გაივლიდა მსჯავრდებულის არაერთი საჩივარი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს გაეუქმებინა სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს განაჩენი და შემდგომი ინსტანციების სასამართლო გადაწყვეტილებები.

დიახ, ამ უსამართლობას მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1986 წლის 15 იანვრის დადგენილებამ დაუსვა წერტილი.

ამბავი კი, რომელიც შემდგომში სისხლის სამართლის საქმედ იქცა და ასეთი დიდი უსიამოვნება მოუტანა უდანაშაულო ადამიანებს, ამგვარად დაიწყო:

ვიგენტი იასონის ძე დათაშვილი ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში დაიბადა. როცა წამოიზარდა აქვე შეუდგა შრომით საქმიანობას, ხოლო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი დაუსწრებლად დაამთავრა. შრომაში გამობრძმედილი კაცი კარგი სპეციალისტი დადგა, ჯერ მეტყევედ მუშაობდა, შემდეგ უბნის უფროსად, მეტყევე ინჟინრად, ბოლოს კი ნაკრძალის დირექტორი იყო. ყურადღება და დაფასება არაფერში აკლდა, როგორც მოწინავე, ოთხჯერ აირჩიეს იგი ცხინვალის რაიონული საბჭოს დეპუტატად, პარტიის ცხინვალის რაიკომის წევრად. მისი ტკბილი, მოსიყვარულე ოჯახიდან მხოლოდ მხიარულება ისმოდა და სამი შვილის მამას არც უგრძვნია, როგორ უახლოვდებოდა უცნაური ბედისწერა.

1983 წლის აპრილში ვ. დათაშვილი ცხინვალის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად დაამტკიცეს და სწორედ აქედან დაიწყო მისი ცხოვრების ავბედითი ისტორიაც.

იმ ოცდაათი ობიექტიდან, ამ სამმართველოში რომ შედიოდა, ერთ-ერთი სოფელ აჩაბეთის სახერხი საამქროც იყო. მისი უფროსი გერსან ჯიოევი ხე-ტყით სპეკულაციაში შეიმჩნეოდა, მაინც და მაინც არც წარსული ჰქონდა მას სამაგალითო და ვ. დათაშვილმა სხვებზე უფრო მკაცრად სწორედ ამ სახერხ საამქროს მოკიდა ხელი. განაწყენებულმა გ. ჯიოევმა მრავალჯერ სცადა ახალ უფროსთანაც გამოენახა საერთო, მაგრამ ვერაფერს გახდა და გადაწყვიტა რაც არ უნდა დასჯდომოდა, თავიდან მოეშორებინა იგი. სამწუხაროდ, ამ პროვოკაციული ჩანაფიქრის შესრულების ხელისშემწყობნი სწორედ ის ადამიანები აღმოჩნდნენ, რომელთაც ყველაზე მეტად ევალებოდათ კანონიერების დაცვა.

გ. ჯიოევის განცხადების საფუძველზე, პროკურორის სანქციის გარეშე, ცხინვალის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა 1983 წლის 2 სექტემბერს ქ. ცხინვალში გაჩხრიკეს ვ. დათაშვილის კაბინეტი. ისინი ეძებდნენ გ. ჯიოევის მიერ ვითომდა ქრთამად მიცემულ 300 მანეთს, რათა ვ. დათაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ. ეს წინასწარ გამიზნული პროვოკაცია ისეთი თეთრი ძაფით იყო შეკერილი, რომ ყველაფერი თვალნათლივ ჩანდა: დაინტერესებაც, შურისგებაც, შეცდომაც და თვითნებობაც, მაგრამ ორგანოს მუშაკებს უკან არ დაუხევიათ. იმის მიუხედავად, რომ ჩხრეკის დროს ფული ვერსად ნახეს, მათ მაინც მოახერხეს პატიოსანი კაცის საწინააღმდეგო მასალების შედგენა და ვ. დათაშვილი დააპატიმრეს. თუმცა, ცხინვალელ სამართალდამცველებს დაავიწყდათ ბრძნული ანდაზა, რომ „შუბი ხალთაში არ დაიმალება“.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რით იყო ეს გამოწვეული, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი თავიდანვე მტრულად განეწყვნენ ვ. დათაშვილის მიმართ, საეჭვო რეპუტაციის მქონე კაცთან კი ახლობლობა გააბეს. ეს იქნებ იმანაც განაპირობა, რომ გ. ჯიოევს მეგობრები და კეთილისმდომები დღესაც ცოტა არ ჰყავს ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებში. თუმცა, ჩვენის აზრით, იურისტისათვის ამას მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს, რადგან, საქმე, რომელსაც ის ემსახურება ვერ ითმენს ბუნდოვანებას, მიკერძოებას, კანონისადმი უპატივისცემლობას, ანგარიშის სწორებასა და რაც მთავარია, სიმართლის ღალატს.

შოვლენები კი სწრაფად განვითარდა. სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს (მოსამართლე ე. მერაბიშვილი) 1984 წლის 7 მარტის განაჩენით ვ. დათაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. მასვე შეეფარდა პირადი ქონების კონფისკაციაც.

განაჩენმა მკაცრად, ავტორიტეტული ტონით დაასაბუთა დანაშაული, ნაძალადევ მტკიცებებს დაეყრდნო, არ გაიზიარა დაცვის სამართლიანი პოზიცია, ირწმუნა საეჭვო პირთა ჩვენებები, ბოლომდე და ზუსტად არ გახსნა მომხდარი ფაქტი, დეტალურად არ შეისწავლა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და სამი შვილის მამა დიდი ხნით მოსწყვიტა ოჯახს. უფრო სამწუხარო კი ის იყო, რომ ზემდგომმა ინსტანციებმაც არ გამოიჩინეს გულისხმიერება, ისინიც ზერელედ მოეკიდნენ სამართლიან საჩივრებს. ძალაში დატოვეს განაჩენი და გზა გაუხსნეს უკანონობას. ასევე უშედეგოდ დამთავრდა საქართველოს სსრ პროკურორის მაშინდელი პირველი მოადგილის ვ. რაზმაძის პროტესტი ამ საქმეზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში.

მართალ კაცს კი გული მაინც არ გაუტეხია, ხელი არ ჩაუქნევია. მიუხედავად იმისა, რომ იგი მსჯავრდებული იყო და საჯელს იხდიდა, მაინც სჯეროდა გამარჯვებისა, სჯეროდა და ჯიუტად მოითხოვდა საქმის ხელახლა განხილვას.

მსჯავრდებულ ვიგენტი იასონის ძე დათაშვილის ინტერესებს, პირველი ინსტანციის სასამართლოდან სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლომდე, იცავდა ადვოკატი ოთარ ნიკოლაიშვილი. მისი კანონიერი შუამდგომლობები და მოსაზრებები, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა საქმის ბედი, ცნობილი იყო ყველასათვის, მაგრამ საქართველოს სსრ პროკურატურის გარდა იგი გულთან არავის მიუტანია.

რატომ უნდა ხდებოდეს ასე?

იქნებ გაკვეთილად იქცეს ეს შემთხვევა ჩვენი რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების საკასაციო ინსტანციებისათვის, რომლებიც ვფიქრობთ, უფრო მეტი გულისყურით, ცოდნით, კოლეგიალობით და პატივისცემით უნდა მოეკიდონ ხოლმე ქართველი ადვოკატების მოსაზრებებს, რათა აღარ გახდეს საჭირო საკავშირო პროკურატურასა ან სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში წასვლა კანონიერების აღსადგენად.

ამ შემთხვევაში კი საქმე სხვანაირად ვერ გადაწყდა. 1985 წლის 9 ოქტომბერს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორთან წარდგენებით შევიდა საქართველოს სსრ პროკურორი, რომ პროტესტი დაწერილიყო აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რათა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს გაეუქმებინა სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს განაჩენი, შემდგომი საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა გადაწყვეტილებები და საქმე ხელახალი გამოძიებისათვის პროკურატურას დაბრუნებოდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ყველაფერ ამას გულისხმიერებითა და პროფესიული ოსტატობით ჩასწვდა, დაკმაყოფილა სსრ კავშირის პროკურატურის პროტესტი, გააუქმა სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს განაჩენი, ამ განაჩენის გამო მიღებული გადაწყვეტილებები და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნა პროკურატურას.

დადგენილებაში ნათქვამია:

„სასამართლომ (იგულისხმება სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლო) სათანადო შეფასება არ მისცა კანონის მოთხოვნათა იმ დარღვევებს, რაც ვ. დათაშვილის კაბინეტში მოხდა ჩხრეკის დროს. შეუმოწმებელი და შეუფასებელი დარჩა ვ. დათაშვილის განმარტება, რომ მან 1983 წლის მაისში ადმინისტრაციული წესით დასაჯა გ. ჯიოევი იმის გამო, რომ იგი ხე-ტყის მასალას უხერხავდა უცხო პირებს. უხეშად დაირღვა კონსტიტუციური და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებიც და ა. შ.“

დადგენილებაში მართლაც ზუსტად და ნათლად არის მითითებული კანონის მოთხოვნათა ის უხეში დარღვევები, რაც გამოძიებასა და სასამართლოში მოხდა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ვ. დათაშვილის ბედი და უდანაშაულო კაცის დასჯა გამოიწვია.

რესპუბლიკის პროკურატურამ პრინციპული შეფასება მისცა ამ საქმეს, კრიტიკულად შეისწავლა ყველა გარემოება, დეტალურად გააანალიზა მომხდარი ფაქტი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვ. დათაშვილს არავითარი ბრალი არ მიუძღოდა. მის საწინააღმდეგოდ მოწყობილი იყო წინასწარგამიზნული პროვოკაცია და დაინტერესებულ პირთა ჩვენებებს არ უნდა მისცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდა ასეთი ცრუ, დაუმსახურებელი, არაკანონიერი შეფასება ამ რწმენასა და მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით საქართველოს სსრ პროკურატურამ წარმოებით შეწყვიტა ვ. დათაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ეს უკვე სამართლიანობის ზეიმი იყო, ჩვენი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სამართლიანობის ზეიმი. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი 2 წლით, 7 თვით და 13 დღით დაგვიანდა. ამ ხნის მანძილზე მართალი, უდანაშაულო კაცი მოწყვეტილი იყო ახლობლებსა და საზოგადოებრიობას, დაინტერესებული პირები ათასნაირ ჭორს ავრცელებდნენ მასზე, მიაღწიეს იმასაც, რომ საოლქო გაზეთის ფურცლებიდან ორჯერ აუწყეს მკითხველებს იმ „დანაშაულის" შესახებ, რასაც მას მიაწერდნენ, სპეციალურად შექმნეს არაჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი და სახელი გაუტეხეს პატიოსან ოჯახს.

ღირს ალბათ ამ საკითხებზე დაფიქრება, ღირს თუნდაც იმიტომ, რომ აღარასოდეს განმეორდეს მსგავსი ამბები. თორემ რა გამოდის, გვხვდება შემთხვევები, როდესაც მიუსჯიან მართალ კაცს, შემდეგ ბოდიშს მოუხდიან და პატიმრობიდანაც გაანთავისუფლებენ, მაგრამ ამას თითქმის იმდენი დრო სჭირდება, რამდენიც განაჩენით აქვს მისჯილი. მერედა, ვინ აგებს პასუხს ასეთ დროს? ვინ უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზარალი? ეკონომიკურ ზარალს კიდევ ეშველება რაღაც, მაგრამ რა მოვუხერხოთ მორალურ ზარალს, რითი აღვადგინოთ დაზარალებულთა შერყეული რწმენა, ჯანმრთელობა, ავტორიტეტი?!

სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ამჟამად ვიგენტი დათაშვილი, როგორღაც გულგატეხილი და რწმენაშერყეული, მაგრამ მაინც გვინდა გვჯეროდეს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება, „კეისარს მიეზღვება კეისრისა", ხოლო სამართლიანობა, ჭეშმარიტი სამართლიანობა სამუდამოდ და მთლიანად გაიმარჯვებს.

ანგი არსენაშვილი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დიდი მეცნიერის ნაშრომი

ცხოვრებიდან უდროოდ მოკვეთილი პროფ. გ.ა. ნანეიშვილის წიგნის გამოცემა ნათელი ნიშანია დღევანდელი დროისა — განახლების დროისა, ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი დიდი გარდაქმნებისა. და არა მარტო იმიტომ, რომ ზეიმობს ისტორიული სამართლიანობა — აღორძინდა საქართველოში მარქსისტული სამართლებრივი აზრის ჩამოყალიბების ბრწყინვალე ფურცელი, არამედ იმიტომ, რომ გამოიცა ნაშრომი, გამორჩეული თავისებური, დღეისათვის ჯერ კიდევ მიუღებელი ენით, სტილით და მასალის გადმოცემის ხერხით, რომელიც ამის გამო რამდენიმე წლის წინ დღის სინათლეს არ ეღირსებოდა.

ჭეშმარიტად, სარეცენზიო წიგნის ზოგიერთი დებულება, გამოთქმები (ისეთი როგორიც არის „სამართლის მუდმივი იდეა", „სამართლის იდეის ნამდვილობა", „სამართლისათვის დამახასიათებელი", „განნორციელების პრეტენზია", „ფაქტის ნორმატულობა") წარსულში ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო (და კიდეც გახდა) გ.ა. ნანეიშვილის ნაშრომის უაპელაციოდ სახტიკი, ერომნიშვნელოვნად ნეგატიური შეფასების საფუძველი.

სინამდვილეში ჩვენს წინ არის მარქსისტული ნაშრომი, რომელიც ეფუძნება მარქსისტული დიალექტიკის დებულებებს. გ. ა. ნანეიშვილი წერს: „მარქსისტული ფორმულა იმის შესახებ, რომ სამართალი არის ზედნაშენური მოვლენა, შეიცავს ღრმა ჭეშმარიტებას. ამ დებულებას ამართლებს ყველა დროისა და ყველა ხალხის სამართლებრივი ცხოვრების ისტორია" (გვ. 25). ჩემის აზრით, მოყვანილი მოსაზრება და აგრეთვე ანალოგიური დებულებები და გამოთქმები — იდეალისტური კონცეფციის მიმართ ვალის მოხდა კი არ არის, არამედ ცდაა გამოხატოს, თუმცა ზოგჯერ არა ყოველთვის წარმატებულად, სამართლის სპეციფიკა, მისთვის იმანენტურად დამახასიათებელი თავისებურებები მისი თავდა-

---

* გ. ა. ნანეიშვილი „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა". თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1987 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ღირებულებებითი ფენომენის თვისება.

ზოგადი მეცნიერმცოდნეობის თვალსაზრისით გ. ა. ნანეიშვილის ნაშრომი არის სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთი პირველი თავისებური ვარიანტი საბჭოთა ლიტერატურაში, და ამასთან, ისეთი ვარიანტი, რომელიც ემყარება სამართლებრივი მოვლენების სიღრმისეული, შინაგანი დიალექტიკის კვლევას. შემოთავაზებული ვარიანტის კონსტრუქტიულობა დასტურდება იმ გარემოებით, რომ ავტორის მიერ ოთხი ათეული წლის წინ (!) ჩამოყალიბებული რიგი დებულება — კარგად ეთანაწყობა თანამედროვე პროგრესულ მეცნიერულ შეხედულებებს და დასკვნებს, რომლებიც დღესაც პრობლემურ საკითხთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

ასეთ დებულებათა შორის შეიძლება აღინიშნოს რამდენიმე:

„უპირველესყოვლისა, ეს არის დებულება იმის შესახებ, რომ სამართალი სინამდვილის თავისებური ნაირსახეობაა და ეს თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ სამართალი არის სამართლის იდეის ნამდვილობა, სამართლის იდეის გარდაქმნა მოქმედი სამართლის ნორმებად (გვ. 28, 35, 36 და სხვ.). ძალზე დასანანია, რომ სამართლის ობიექტურობის შესახებ ამას წინათ შემდგარი დისკუსიის დროს ეს დებულებები არ მოექცნენ სამართლის მეცნიერების თვალსაწიერში. გ. ა. ნანეიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ სამართალი — ეს არა უბრალოდ იდეაა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფენომენი, არამედ იდეის განსაკუთრებული ქმედობა, განსაკუთრებულად ცხოველმოქმედი იდეა, რომელსაც აქვს რეალური ფაქტის არსებობის ანალოგიური თვისება. ამასთან, წიგნში მართებულად არის დასაბუთებული სამართლის სპეციფიური ნიშნები, მისი ნორმატიულობა. ეხება რა სამართლის ფენომენის ფსიქოლოგიურ ასპექტს, ავტორი წერს: „სწორედ იმაში, რომ რაღაცას ჩვენ წარმოვიდგენთ როგორც ჯერარს, სავალდებულოს, მაშინაც კი როდესაც ჩვენ ეს არ გვსურს, მდგომარეობს სამართლის ნორმატიული ძალა“ (გვ. 35). ავტორის კონცეფციის სიღრმე იმაშია, რომ მისი აზრით სამართალი შეიცავს თავისი ფაქტიური განხორციელების მუდმივ „პრეტენზიას“, რაც ეთანაწყობა სამართალს, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელის დღეს აღიარებულ დებულებას, და ამავე დროს, ამდიდრებს ამ დებულებას არსებითად ახალი მომენტით.

არანაკლებ საინტერესოა წიგნის ის ადგილები, სადაც ავტორი აყალიბებს სამართლის ღირებულების შესახებ თანამედროვე შეხედულებათა ანალოგიურ დებულებებს. ნიშანდობლივია ამასთან, რომ გ.ა. ნანეიშვილი სამართლის ღირებულებას უკავშირებს თანამედროვე გაგებით სოციალური სინამდვილის უმნიშვნელოვანეს კატეგორიას — ადამიანს. წიგნში ვკითხულობთ: „...სამართლის ნორმა დაკავშირებულია სუბიექტთან მხოლოდ როგორც შესაძლებელ ღირებულებითი მნიშვნელობის აქტების მატარებელთან. არა ხელოვნურ ერთეულთა სამყარო, არამედ სამყარო ცხოველმომქმედი სუბიექტებისა, სამყარო, რომელიც შედგება ცოცხალი ადამიანებისაგან, რომელთაც უნარი შესწევთ შეასრულონ ღირებულებითი მნიშვნელობის აქტები, არის ის სამყარო, რომლისკენაც არის მიმართული სამართლის ნორმა, უფრო სწორად სამართლის ნორმის ჯერარსობრივი ობიექტი“ (გვ. 30).

საკმაო მეცნიერული ღირებულების მატარებელია მოძღვრება ნორმატიული ფაქტების შესახებ (გვ. 59-87). ბ.ვ. სავანელის საინტერესო შესავალ წერილში ნორმატიული ფაქტის ფენომენი ინტერპრეტირებულია ავტონომიური რეგულირებისა და ხეშეკრულების მარგულირებელი ძალის თანამედროვე გაგების პოზიციებიდან. ეს პრინციპულად სწორია. ამასთან, საფიქრებელია, რომ გ. ა. ნანეიშვილის ამ კონცეფციას აქვს უფრო ღრმა აზრი, რადგან ეხმაურება საბჭოთა მეცნიერებაში ამჟამად განვითარებულ შეხედულებას სამართლის საერთო სოციალური მოქმედების შესახებ. წიგნის ავტორის აზრით განსაზღვრულ რეალურ ფაქტებს, რომლებიც არსებობენ პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად, ხომ შეიძლება ჰქონდეთ უშუალოდ მარეგულირებლი ძალა და უნარი. ნორმატიულ ფაქტებს, ლაპარაკია წიგნში, „...აქვთ უნარი შექმნან აზრთა ისეთი კომპლექსი, რომელთან ლოგიკური კავშირი ჩვენს მდგომარეობას განსაზღვრავს უფლებამოსილისა და ვალდებულის მნიშვნელობით“ (გვ. 60).

ყურადღებას იმსახურებს ავტორის მოსაზრება ნორმატიული ფაქტების, როგორც სამართლის ობიექტური, „აუცილებელი“ ხასიათის შესახებ, განსხვავებით პოზიტიური სამართლისაგან, რომელიც „შემთხვევითობის“ კანონზომიერებას ექვემდებარება. (გვ. 81). რა თქმა უნდა, ავტორის ნააზრევი უფრო დასრულებულ ხასიათს მიიღებდა თუკი ის განიხილავდა ნორმატიული ფაქტებისა და პოზიტიური სამართლის მჭიდრო ურთიერთმოქმედებას, მაგრამ ამ სახითაც მოყვანილ დებულებებს აქვთ სერიოზული მეცნიერული ღირებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემის აზრით, არავითარ საეჭვოებას არ [illegible] მოადგენს სპეციალურად შეეჩერდეთ [illegible]ზიო წიგნის ცალკეული დებულებების კრიტიკულ განხილვაზე, რაც როგორც ზემოთ აღნიშნა უმთავრესად დაკავშირებულია სტილისტურ თავისებურებებთან, აზრის გადმოცემის ფრაზეოლოგიურ სპეციფიკასთან. თითოეული მკითხველი სავარაუდოა, ძალდაუტანებლად და თავისუფლად შენიშნავს შესაბამის ადგილებს წიგნში, და გვინდა ვირწმუნოთ რომ „გვერდს აუვლის" იმგვარ დებულებებს, რომლებიც ასახავენ იმ დროის თვითმყოფად ინტელექტუალურ ცხოვრებას, და თავის მთელ ყურადღებას მიაპყრობს იმ იდეებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლის მეცნიერების განვითარებისათვის თანამედროვე ეპოქაში.

გვჯერა, რომ ეს წიგნი მკითხველს აგრძნობინებს კმაყოფილებას და სიხარულს, იმ კმაყოფილებას და სიხარულს, რომელიც ყოველთვის მოაქვს დიდ ტალანტთან შეხვედრას.

ს. ს. ალექსეევი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
პროფესორი.

სასარგებლო წიგნი

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნათა პროცესებს ორგანულად უკავშირდება სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და პიროვნების უფლებათა დაცვის გარანტიების გაძლიერების საკითხები. ამ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართალწარმოების დემოკრატიზაციას, რომელთა შორისაც ერთ-ერთი წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას კანონის მოთხოვნათა უთუო დაცვა.

სწორედ ამ მიმართებით განვიხილავთ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ბ. თბილისის პროკურორის პირველი მოადგილის მ. ქურდაძის წიგნს, რომელიც ზუსტად ეხებოდა სამართალდამცავი ორგანოების წინაშე წამოჭრილ პრობლემებს და მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

მონოგრაფიის ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ არსებულ საგამომძიებო შეცდომათა ერთ-ერთი მიზეზია გამომძიებელთა მიერ იმისი ილუზიური წარმოდგენა, რომ მის მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო გამოასწორებს. სამწუხაროდ კი, როგორც ყოველდღიური პრაქტიკა გვიჩვენებს, უმრავლეს შემთხვევაში სწორედ გამომძიებლის მიერ დაშვებულ შეცდომებს მივყავართ სასამართლო შეცდომებამდე.

ნაშრომის ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ასეთი შეცდომა ძალიან ხშირად დაკავშირებულია გამოსაძიებელი დანაშაულის მტკიცების ფარგლების არასწორ განსაზღვრასთან. ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ასეთ შეცდომებს იწვევს ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარების გადაჭარბებული შეფასება. კანონი კი ყოველ ასეთ აღიარებას პირის ბრალეულობის გადასაწყვეტად მხოლოდ მაშინ იყენებს, როდესაც ასეთი აღიარება დადასტურებულია სხვა ობიექტური მტკიცებულებით.

წიგნის ავტორის უპირველესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან სიხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მტკიცებათა თეორიის დებულების ანალიზით ზუსტად განსაზღვრა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად მტკიცებულებათა ფარგლების შესაძლებლობანი და გამომძიებლის მიერ მიღებული სწორი პროცესუალური გადაწყვეტილების მნიშვნელობა.

მ. ქურდაძის მონოგრაფია იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი ეყრდნობა არა მარტო ლიტერატურულ წყაროებსა და კანონის დებულებათა ანალიზს, არამედ იმ დიდ პრაქტიკულ მასალას, რომელიც ავტორს თვითონ აქვს მოპოვებული საპროკურორო და საგამომძიებო მუშაობის პერიოდში.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა მტკიცებულების ფარგლების შეფასების კრიტერიუმის საკითხებს. ავტორი სწორად და დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ გამომძიებლისაგან მტკიცებულებათა შეფასება (და აქედან გამომდინარე დასკვნა, რომ ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო საქმისათვის დადგენილი და დამტკიცებულია) დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დებულებებზე, როგორიცაა მტკიცებულებათა შეფარდებითობა და დასაშვებითობა, მათი უტყუარობა და საიმედობა, რომ ობიექტურად უნდა

* მ. ზ. ქურდაძე, „მტკიცების ფარგლები წინასწარი გამოძიების დროს", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმდეს ყველა მტკიცება საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით.

ყურადღებას იქცევს ავტორის აზრი სასამართლო მტკიცებულებათა ბუნებაზე მასში შემავალი სამი კომპონენტის მიხედვით. უნდა დავეთანხმოთ, რომ ნებისმიერი სასამართლო მტკიცებულების ელემენტია ფაქტი, ცნობა მის შესახებ და მისი პროცესუალური წყარო. ამასთან, წიგნში ხაზგასმულია, რომ მტკიცებულება გვევლინება, როგორც მტკიცების პროცესის ელემენტარული აქტი, ანუ აქტისა და საქმის გამოძიებათა საფუძველზე გამოტანილი დასკვნის ერთობლივი ფაქტი.

როგორც პრაქტიკული მუშაკი, მ. ჭურდაძე იმას ცდილობს, რომ მისი აზრი და თეორიული შეხედულებანი მოხმარდეს საგამოძიებო აპარატის მუშაობის შემდგომ სრულყოფასა და სოციალისტური კანონიერების უმკაცრეს დაცვას.

წიგნი მთლიანობაში დადებით შეფასებას იმსახურებს, მაგრამ ავტორს მაინც უნდა ვუსაყვედუროთ, რომ მან არასათანადოდ გააშუქა მტკიცებულებათა ფარგლების არსი, განსაკუთრებით წინასწარი გამოძიების იხეთ ეტაპთან კავშირში, როგორიცაა ბრალის წარდგენა და ბრალდებულისათვის გამოძიებით დამთავრებული საქმის მახალების გაცნობა. საჭირო კი იყო უფრო დეტალურად შეჩერებულიყო მტკიცებულებათა ფარგლების ზღვარის დადგენის პროცესზე ისეთი საქმეების განხილვისას, რომლებიც საკმაო სამხილთა უქონლობის გამო წარმოებით შეწყვეტას ექვემდებარება.

მიხეილ ჭურდაძის ნაშრომის მაღალი თეორიული დონე და პრაქტიკული მიზანდასახულობა იმაზე მეტყველებს, რომ წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების მეცნიერ-მუშაკებსა და მასწავლებლებს, ისე გამომძიებლებს, პროკურორებსა და სამართალდამცავი ორგანოების სხვა მუშაკებს.

ა. ი. მიხაილოვი,
დანაშაულის მიზეზების შემსწავლელი და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის სექტორის გამგე, რსფსრ დამსახურებული იურისტი, პროფესორი.

ა. ლევი,
დანაშაულის მიზეზების შემსწავლელი და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

სიმართლე ამერიკის იმპერიალიზმზე

მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო მელორ სტურუას ახალი წიგნი „ოთხმოციანი წლების ამერიკა (ხუთი წელი და ხუთი წუთი), პამფლეტები", რომელიც მოსკოვში გამომცემლობა „იზვესტიამ" გამოსცა.

წიგნში 23 პოლიტიკური პამფლეტია მშვიდობისა და ომის თემაზე. ავტორი აქ საინტერესოდ და რეალისტურად ხატავს ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტის რეიგანის თანამოაზრეთა პორტრეტებს და უჩვენებს იმპერიალიზმის აგრესიულ ბუნებას.

ამერიკის იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი სინამდვილეა დახატული პამფლეტში „შენაცვლება". მკითხველის თვალწინ ნათლად ცოცხლდება ჩვენი საუკუნის ოთხმოციანი წლები, ამერიკის 39-ე პრეზიდენტის, კარტერის. უკანასკნელი დღეები, როდესაც მისი სავარძელი ახალმა, მე-40 პრეზიდენტმა უნდა დაიკავოს. ქვეყნის იმდრიონდელი საშინაო და საგარეო ვითარება მახვილგონივრულადაა დახატული. კარტერი იხტიბარს არ იტეხს წინასაარჩევნო შეხვედრებზე და ჩვეულებისამებრ ოქროს მთებს პირდება ამომრჩველებს. ახალგაზრდა ზანგი კი ასე მიმართავს ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრაზე კარტერს: „... მე სამუშაო არ მაქვს. მე და ჩემი ოჯახი სურსათის ტალონებით ვარსებობთ. ვცხოვრობთ ნახევრად დანგრეულ, ნესტიან სარდაფში. არ მინდა სამხედრო ფორმა და იარაღი, მინდა სამუშაო". ამის საპირისპიროდ ავტორს აქვე მოყავს ამერიკისათვის დამახასიათებელი ფაქტი. თუ კარტერს აღარ აირჩევენ პრეზიდენტად, ამით იგი ბევრს არაფერს დაკარგავს. მას უმუშევრობა არ ელის და სიკვდილამდე უზრუნველყოფილი იქნება პენსიით, ყოველწლიურად 69 630 დოლარით. ამის გარდა, მოსამსახურეთა შესანახად მიეცემა 150 000 დოლარი, ხოლო 1 მილიონი დოლარი „საქმეთა დასახურად". მასვე ეყოლება უფასო პირადი დაცვა.

მაგრამ პენსია ან სხვა შემოსავალი სულაც არ არის მთავარი ყოფილი პრეზიდენტისათვის. მიწისთხილის ბიზნესით მან ამის გარეშეც დააგროვა დიდი თანხა. მთავარი ის არის, რომ 1980 წლის 4 ნოემბერს, 8 საათზე, 15 წუთზე და 21 წამზე, კარტერი, როგორც პრეზიდენტი, პოლიტიკურად მოკვდა. არჩევნებში იგი დამარცხდა და ამერიკას მოევლინა ახალი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოდ იკითხება პოლიტიკური პამფლეტები „პირველი და მეორმოცე“, „კასპარ უაინბერგერი — პენტაგონის შეფი“, „ორი ელჩი“, „ბულდეზორი“, „გამოსამშვიდობებელი სიმფონია“, „ანბანური მკვლელობა“, „ორი ვესტმინისტერი“, „1981 და 1984“, „ადამიანი და დრო“, „ეს პატარა სამყარო“, „დიხაუ და ბიტბურგი“, „რეიხსტაგი ხანძრამდე და დაცემამდე, ასევე მანამდე და შემდეგ“ და სხვა. ავტორი მაღალ ეურნალისტურ დონეზე ხატავს პუბლიცისტიკის თვალით დანახულ რეალურ სურათებს ამერიკული იმპერიალიზმის იდეოლოგიის ლიდერებსა და მათი მარიონეტების ცხოვრებიდან.

მელორ სტურუას პოლიტიკურ პამფლეტებში მხილებულია მსოფლიოს ბატონობის პრეტენზიით შეპყრობილი ამერიკის იმპერიალიზმი, მისი მესვეურები, რომლებიც არაფერს იშურებენ თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად და თუ საჭირო გახდა მიმართავენ კიდეც აკრძალულ ხერხებსა და მეთოდებს.

როგორც ყოველთვის, ახლაც კმაყოფილნი დარჩებიან მკითხველები მელორ სტურუას ახალი წიგნით.

ზაალ მესენგისერი.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ე. ყიფიანი, თ. ზავგულიძე

მეორე დღეს შინ მივადექი. ირაკლის დედა ოპერის მომღერალი იყო. დილით შინ დამხვდა.

— მაპატიეთ, ცოტა ძნელია, უცხო კაცს გული გადაუშალო, თუმცა, ამ საქმეში უცხო არ ბრძანდებით. თქვენი მადლიერი ვარ, კარგად იცავდით ბიჭს. თან დაფარვამაც, ხომ ხედავთ, რა შედეგი მოიტანა! ჩემი შვილი მე აღარ მეკუთვნოდა. ჩემმა მეუღლემ და, განსაკუთრებით, დედამისმა გადაიბირეს... მე კი ყოველთვის არ მეცალა მისთვის. ოჯახი მაწვა თავს... რაღა დასამალია და საკმაოდ ჭირვეული ქმარი, უმცროსი შვილი, მოხუცი დედა... ოპერას უამრავი დრო მიაქვს. ისე გამიორგულეს, აღარაფერს არ მიჯერებდა, დამიბარებდნენ სკოლაში, თქვენმა შვილმა ამას სცემა, იმას რაღაც წაართვა, მასწავლებლებს უზრდელად ექცევაო. პასუხს მე მთხოვდნენ! რა მექნა, რამდენჯერ ვთხოვე დავითს, სანამ გვიან არ არის, მიხედე იმ ბიჭს, მამა ხარ, მამაკაცურად ჩაერიე საქმეში-მეთქი. ის კი, რა მოხდა მერე, ბავშვია, ცელქობს, მთავარია ისწავლოსო. სწავლით კი, არაუშავს, სწავლობდა. ახლა რომ ვუკვირდები, ზედმეტად მორიდებულიც კი იყო, მაგრამ ბოლო დროს ორი-სამი თვე ისე არ გავიდოდა, ვინმე გოგო არ მოეყვანა კარზე, დედა, გაიცანი ჩემი საცოლეა, ჩემი ხატი და ღმერთიო. პირველად შევშფოთდი, შემდეგ, მივეჩვიე, ვიცოდი, მალე დაივიწყებდა. როცა დავითმა უსაყვედურა, რა დროს შენი ცოლია, თავადაც კისერზე გვაზიხარო, იცით, რა უპასუხა — მერე რა, ჩავიჩოჩებ და ისიც დაჯდებაო. ბოლოს, ისეთი შთაბეჭდილებაც კი შემექმნა... თითქოს ჩვენ გვაწონებდა თავს... მაპატიეთ, უნდა გავიქცე, რეპეტიციაზე მაგვიანდება!

— კი ბატონო! — ვთქვი და ადგილიდან არ დავძრულვარ.

გაკვირვებით შემომხედა.

— ერთ-ორ წუთს დედათქვენს გამოველაპარაკები, თუ შეიძლება.

— მე დაგტოვებთ ბატონო!

ირაკლი სუხიაშვილის ბებია შემოვიდა. ცრემლებს იწმენდდა. უკვე იცოდა, რა საკითხზეც ვიყავი მისული:

— მთელი ქვეყანა ჩემს ბიჭს გადაუდგა. მისი დაჭერა როგორ შეიძლებოდა! ბავშვს ისეთი გული აქვს... ირაკლი სხვას როგორ აწყენინებდა! ჩემი ბიჭის დაჭერა გამოასწორებს ქვეყანას?! რა გაძლებინებს ციხეში? გვერდით რომ არ მივწოლოდი, მარტო დაძინების ეშინოდა ბავშვს. ჩემი გაზრდილი ბავშვის ამბავი ჩემზე უკეთ ვინ იცის! ის ციხეში ჩასვეს, ქვეყნის დამაქცევლები კი გარეთ დაპარპაშობენ. აბა, ერთი ფული მიეცათ მოსამართლისათვის! ის უსუსური ბალღი ციხეში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1986 წლის №№ 1—6, 1987 წლის №№ 1—5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასვეს, მევახშეები და მექრთამეები კი გარეთ დანავარდობენ, ეს არის სამართლი?! ჩემმა სიძემ ორი კაპიკი ვერ გაიმეტა შვილის დასახსნელად... თუმცა, დედამისია მოსაკლავი, დიახ, ჩემი ქალიშვილი, პირველივე შარვლიანს რომ გაეკიდა ცოლად, წავიდეს, ახლა და იმღეროს...

მეორე ბებია სიტყვაძუნწი გამოდგა. იგი მარტო ცხოვრობდა, დიდი ბინა ჰქონდა, ძველებურად მოწყობილი. როგორც გავიგე, მთელ ქალაქში ცნობილი პედიატრი ყოფილა. როცა მასთან მივედი, სტუმრებს აცილებდა. სიგარეტს ეწეოდა, ხმაც მამაკაცური ჰქონდა, პირდაპირ საქმეზე გადავედით.

— ჩემმა ვაჟმა მზამზარეულზე დაჯდომა ირჩია. კი, ბატონო, კარგი სპეციალისტია. მაგრამ ოჯახის მეთაურობაც არ ყოფილა ადვილი. ბავშვები ავად რომ გახდებოდნენ, ჩვენ გვეკითხებოდნენ, როგორ არისო... არ ეცალათ. ახლა მოიცლიან „პერედაჩების“ მისატანად! ბავშვია ცოდვა, ჩემს თვალწინ გააფუჭეს... ჩვიდმეტი წლის ბიჭი სულ ქალებში იყო... შვილს როგორ გავაბედინებ ამას, მოვარდებოდა, ბებია, ფული მინდა, ცოლი მომყავსო. ჯერ მეგონა, ფულის გამოსართმევად მატყუებს-მეთქი, მეც თავს ვიტყუებდი. მერედამერე, შევატყვე, აღარ ხუმრობდა. გოგოებიც ხომ მთლად გატუტუცდნენ... რაც უნდა ის ექნა, მაგრამ ჩვენ რაღას გვრევდა თავის საქმეში!“

ბიძინამ კითხვა შეწყვიტა. კარგა ხანს იყვნენ ჩუმად. გოჩამ ბუხარს შეუკეთა.

— მორჩა? — იკითხა მამიამ.

— ჯერ არა, — თავი გაიქნია ბიძინამ.

— ჩაათავე ბარემ!— მამია არ ხუმრობდა. ბიძინამ ფურცლები გადაშალა, კითხვა განაგრძო:

„— რა უნდა დაგიშაოს შვილმა, დედის ალერსს მოკლებულმა შვილმა ისეთი, რომ ყოველ წუთს ურტყა! შინ გაჩერების მეშინოდა!—გრძელიძე ჩაფიქრდა, შემდეგ, გაიღიმა, — არც გარეთ მადგა კარგი დღე.

— რამდენი წლის იყავი მაშინ?

— რა ვიცი, სულ ასე იყო, მაგრამ მეხუთე-მეექვსე კლასიდან განსაკუთრებით... ჩვენს უბანში, მაშინ ახალი იყო, ისეთი აცვენილი ბავშვები ცხოვრობდნენ, უფროსებსაც ეშინოდათ მათი. მე კი უსამართლობას ვერ ვიტანდი და სულ ჩხუბი მქონდა მათთან. ერთიორჯერ ისე დამალილავვეს, რამდენიმე დღე ვიწექი. სკოლაში ვეღარ მივდიოდი იმათი შიშით. რა მექნა? ერთხელ მამაჩემს ვთხოვე, იმ უბნიდან გადავიდეთ-მეთქი, სკამი დამავტვრია თავს... გარეთ გაქცევა ძლივს მოვასწარი. რაც მან დამაკლო, უბნის ბიჭებმა დამიმატეს.

— რას აშავებდი ასეთს?!

— როგორ გითხრათ! ერთხელ, მაგალითად, სკოლიდან შინ ვბრუნდებოდი. გამაჩერეს, ფული გვჭირდებაო. არა მაქვს-მეთქი. როგორ არ გაქვს, შე ნაბიჭვარო, რას გვატყუებო, მითხრა ერთმა. ჯიბეებში ჩამიძვრა. ხელი ვკარი. იმ წამსვე თავში ჩამარტყეს, მოვტრიალდი და წიხლი ამოვკარი, გაგიყდნენ, რას გვიბედავსო... მოკლედ, მაგინეს და მირტყეს. ერთი სიტყვით ან მათი ამხანაგი უნდა ყოფილიყავი, ან — მტერი.

— რატომ მათი ამხანაგი არ გახდით?

— არ შემეძლო... სხვა ვინმე რომ შემოელეოდათ, ერთმანეთს დასცხებდნენ ხოლმე. დედმამას აგინებდნენ ერთმანეთს, მეორე დღეს კი ისევ ძმაკაცები იყვნენ. მე დედის გინებას ვერ ვიტანდი... ექვსი წლის ვიყავი, როცა დედა გარდამეცვალა...

— თქვენ ფეხი გტკიოდათ... როცა გაგიკეთებდნენ, ტკივილი უფრო ასატანი ხდებოდა, არა?

— დიახ...

— ბოლო წლებში, ალბათ, ნაკლები გჭირდებათ ხომ...

გრძელიძეს გაუკვირდა, ყოყმანით მკითხა:

— რაზე ამბობთ?

— მორფზე. ბოლო ხანებში ისე ხშირად აღარ გჭირდებათ, არა?

— თქვენ რა იცით?

ამ კითხვაზე არ მიპასუხია.

— ექიმებს რომ ჰკითხოს კაცმა, პირიქიო არისო, — განაგრძო მან, — რაც დრო გადის, სულ უფრო მეტის გაკეთება უნდათო, ხომ ცდებიან?

ისეთი იმედით შემომხედა, მაშინვე დავთანხმდი:

— ცდებიან! რომ მოინდომოთ, შეიძლება სულაც მოეშვათ კიდეც.

— ნამდვილად!

— როდის იგრძენით, რომ იმდენად აღარ გჭირდებათ.

— ვერ გეტყვით, ერთბაშად არ მომხდარა, ორი წლის წინ. არა, სამი წლის წინ ალბათ.

— გინდათ, ზუსტად გითხრათ?

თვალი გაახილა, შემომხედა, ისევ დახუჭა. უნდობლად ჩაიღიმა.

— ბრძანეთ!

— მას შემდეგ, რაც ქურდის სტატუსი შეიძინეთ. რაიმე კავშირს ხომ ვერ ხედავთ თქვენი, ასე ვთქვათ, ქურდად კურთხევასა და ნარკოტიკის ნაკლებ მოთხოვნილებას შორის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ქურდი, წესით, არც ლოთი უნდა იყოს და არც ნარკომანი.

— მორფის კეთებას იმიტომ მოუკელით, რომ გეკრძალებოდათ, თუ სურვილი შეგისუსტდათ?

— მე მგონი... სურვილი შემისუსტდა.

— თუ ასეა, აკრძალვა არაფერ შუაშია. განა ქურდობა არ გეკრძალებათ?! ცოტა სხვანაირად შეეხედოთ ამ მოვლენას. ნარკოტიკების მიღების სურვილი შეგისუსტდათ არა იმიტომ, რომ გეკრძალებოდათ, არამედ, იმიტომ, რომ სულიერი ტკივილი ოდნავ დაგიამდათ. ასეა?

— კი, შეიძლება...

— ესე იგი, უნდა გავარკვიოთ სხვა რამ. რამ დაგიამათ ტკივილი, ვერ ხვდებით?

— ვერა.

— ქურდი გახდით და ტკივილი მოგეშვათ...

— ვერაფერი გავიგე... არა, აზრი კი გავიგე, მაგრამ კავშირი ვერ დავამყარე.

— აბა, გაიხსენეთ, თქვენი ნათქვამი, ქურდის ხელის ხლება არ შეიძლება, კიდევაც რომ შეემთხვეს უსიამოვნება, უნდა ეცადოს, არ გაამწვავოსო. კიდევ ისიც, რომ ქურდებს შორის ყველა თანაბარია, სრული დემოკრატია სუფევსო.

შეპასუხება დააპირა, მაგრამ ხელით ვანიშნე, ერთი წამით ეცლია:

— რადგან ქურდი გახდით, უნდა აიტანოთ ის, რაც მანამდე აუტანელი იყო. ახლა ისეთი პროფესია გაქვთ, ამართლებს გარემოსადმი მტრულ დამოკიდებულებას. გარემოსადმი მტრული დამოკიდებულების გამართლების საშუალება ადრე არ გქონდათ, ახლა კი გაქვთ.

შეეატყვე, გამწარდა, ისე მიყურებდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ყელში მცემოდა თუ გაეცინა. ბოლოს ენის ბორძიკით თქვა:

— ესე იგი... იმიტომ ვქენი, რომ შეეფარე?!

— დიახ, იმიტომ შეაფარეთ თავი! კარგი ნათქვამია. იქ შეეფარეთ, საცა ცემა, შეურაცხყოფა, დაჩაგვრა „არ შეიძლება". კიდევაც რომ შეგემთხვათ ასეთი რამ, უნდა აიტანოთ, პროფესია გავალებთ ამას. უფრო ასატანი ხდება აუტანელი. შიშმა თავშესაფარი მოგაძებინათ.

ვეღარ მოითმინა და იყვირა: — არა მჯერა!

— დაუჯერებელი რომ ასე არ გაგაბრაზებდათ... ამას თქვენც მიხვდებოდით, მაგრამ საკუთარ თავს უმალავდით...

— რას ვუმალავდი?!

— კაცი თავშესაფარს მაშინ ეძებს, როცა რაღაცას გაურბის. თქვენ რას გაურბოდით?

— შიშს!— ისე უცებ თქვა, გამიკვირდა,— შიშს გავურბოდი. ჰო, შეიძლება, სწორი ხართ... მაგრამ შიში რამ ჩამინერგა?

— ეს სხვა საკითხია. სხვა საკითხზე სანამ გადავალთ, წინაზე ეჭვი აღარ უნდა გვეპარებოდეს. ასე არ არის?

თვალები დახუჭა. კარგა ხანს იყო ასე. ვე ფეხზე წამოვდექი.

— ახლა წავალ! სხვა საკითხზე სხვა დროს ვილაპარაკოთ!

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ირაკლი სუხიაშვილი დარცხვენილი მეჩვენა.

— რა იყო, რამე ხომ არ მომხდარა?

— დიახ... არა, ისეთი არაფერი. ერთი რაღაცის მოყოლა მინდოდა თქვენთვის, მაგრამ რაღაც არ გამოდიოდა, ჰოდა...—ჯიბეში ხელი ჩაიყო და ოთხად გაკეცილი ფურცლები ამოიღო, — დაწერა ვამჯობინე...

დავჯექი და კითხვას შევუდექი:

„მამაჩემი ყოველთვის უკმაყოფილო იყო, ჩემი არაფერი მოსწონდა. ეს რა გიქნია, მე უტვინო, ამხელა კაცი ბოთე როგორ უნდა იყოო. თვითონ პროფესორია, ორი უცხო ენა იცის. ერთხელ, დაჭერამდე ხუთი თვის წინ, ჩემი დაბადების დღე იყო. ერთი გოგო მომწონდა, იმას კი ვერაფრით მოვაწონე თავი, გამირბოდა. დღეობაზე დავპატიჟე ის და სხვებიც. დაძაბული ვიყავი, რამე არ შემეშალოს, ჩემზე შთაბეჭდილება არ წაუხდეს-მეთქი. ვცეკვავდი, ვმღეროდი და ვუკრავდი, ერთი სიტყვით, ვარსკვლავებს ვეთამაშებოდი. ოთხი წლით უმცროსი და მყავს, ნანა. ვიცოდი, რაღაცას ამირევდა. სახლში ყველა გავაფრთხილე, სტუმრებთან არ გამოჩნდეთ, თორემ არ ვიცი რას ვიზამ-მეთქი. მაგრამ მაინც მეშინოდა, არ შემოხეტებულიყო. არც შემოსულა. თამადამ აიტეხა, გინდათ თუ არა, ჩვენი იუბილარის მშობლების სადღეგრძელო უნდა დავლიოო. მთვრალი იყო. აქ მოვიდნენ, იმათი თანდასწრებით უნდა ვთქვაო. არ დაიშალა — ქართული სუფრის წესიაო. მოკლედ, დაუძახეს დედაჩემსაც და მამაჩემსაც. დააყენეს ორივე კედელთან და მთელი საათი სასულელე იბჟუტურეს.

ბოლოს, მამაჩემმა სამადლობელი შესვა. გაგიმარჯოთ, კარგად იყავითო, მადლობას მოგახსენებთ დღეგრძელობისათვის, მე და ჩემი მეუღლე კი თავს არ შეგაწყენთ ნამეტანი ძველმოდურები ვართო. აჰ, როგორ გეკადრებათ, ბატონო, მაგას რატომ ბრძანებთო, მიაძახეს ბიჭებმა. მამაჩემმა კი თავი მოიკლა: როგორ არა! ჩვენ აგერ უკვე ოცი წელია ცოლ-ქმარი ვართ, ირაკლის კი ჯერ არ შეურთავს ცოლი, მაგამ საცოლეს ორ კვირაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ იცვლის. მოგვიყვანს, გაგვაცნობს, ამაზე ამომდის მზე და მთვარეო. მერე სხვას მოგვაყენებს კარზე. ისე, კაცმა რომ თქვას, მარჯვე ბიჭია, მე ერთი ძლივს, თქვენებურად რომ ვთქვათ, „შევახვიე“. ეს სად შოულობს ამდენს! თუმცა, რა გასაკვირია, ნათქვამია, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. სხვაში ვერაფერში უქნია ღმერთს, მაგრამ ქალების ისეთი მუსუსია, მამას კი არა, მთელ ჩვენს საგვარეულოს ჯობნისო“...

კითხვა დავამთავრე, ირაკლის შევხედე.

— ელდა მეცა, — თქვა ირაკლიმ, — ბიჭები მოკვდნენ სიცილით, დონ-ჟუანი დამარჭვეს. იმ გოგომ კინაღამ მცემა. მამა — პროფესორი, დედა — განთქმული მომღერალი, ბებია პროფესორი, ბაბუა მინისტრი... გარდაიცვალა ჰოდა, მე თუ ვარსებობდი ამ ქვეყნად, კაცს არ აინტერესებდა. გასაშაყირებლად თუ გამიხსენებდნენ. ოთხი წლით უმცროსი და მყავს, ისიც თავზე წამომასვეს, ნანა ისეთი გოგოა, ნანა ასეთი გოგოაო! მისი ნათქვამი კანონი იყო, ჩემი კი — ძაღლის ყეფა. მეც ხომ მქონდა თავმოყვარეობა!

— საცოლეებს ხშირად იცვლიდაო, რა, მტკნარი ტყუილია?

— სად და რა დროს თქვა, იმას არა აქვს მნიშვნელობა?!

— მამაშენის დანაშაულს რომ ვიკვლევდეთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ იმას ხომ არ უყაჩაღია. ის საქმე კი, შენ, თავის გამოჩენის სურვილმა ჩაგადენინა.

— თავის გამოჩენის სურვილი ყველას აქვს.

— გაიჩნია, რა გზით. შენ ის მითხარი, მამაშენის ნათქვამი მართალია თუ — არა?

— ყოველ ორ კვირაში არ ყოფილა. რამდენჯერმე კი მოხდა...

— შეგნებულად ატყუებდი გოგოებს?

— თითი არ დამიკარებია არცერთისათვის! მე კი არა, ისინი მატყუებდნენ.

— როგორ?

— რა ვიცი.. ვნახავდი გოგოს, მომეწონებოდა... შემიყვარდებოდა, მერე კი, რა ვიცი, რა იყო, სულ მცირე რამეზე, მაგალითად, ვინმე მამაკაცს, თუნდაც უბრალოდ შეხედავდა, ან თმაში ქერტლის ნამცეცს დავუნახავდი, ან უხეში ხელები ჰქონდა... მაშინვე გამიცივდებოდა გული...

— შინ მიყვანა და მშობლებთან წარდგენა რაღა საჭირო იყო?

— რა ვიცი! — მხრები აიწურა ირაკლიმ, — მინდოდა, იმათაც სცოდნოდათ.

— მშობლებისათვის დაგემტკიცებინა, რომ შენც კაცი იყავი, არა?..

კარი გაიღო. მორიგე შემოვიდა. საუბრის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. კიდევ გნახავ-მეთქი, ვუთხარი ირაკლის და წამოვედი.

ახლა ისევ ბაბეურს მივადექი. ბიჭი წყნარად შემოვიდა, ჩემს პირდაპირ დაჯდა და თქვა:

— მე უკვე ვიცი, რისი კითხვაც გინდათ. რატომ არ მინდოდა შინ დაბრუნება, არა? მაშინ ხომ გიპასუხეთ...

— კი მიპასუხე, მაგრამ, ვფიქრობ, შინაურების ასე შესაძულებლად, ყოველივე ეს საქმარისი არ უნდა იყოს...

ბაბეურმა თავი ჩახარა:

— დედაჩემი ანჩხლი ქალია... სულ საყვედურობდა მამას, შენ შეიწირე ჩემი ქალობა, უფხო, მოუხერხებელი ხარ, სხვები ქალაქში ცხოვრობენ, მანქანებით დასრიალებენ, მე კი აქ ვიმარხებიო. სულ ჩხუბობდა. მამა ისედაც სიტყვაძვირი კაცი იყო, ბოლოს სულ დამუნჯდა. შინ მხოლოდ დაღამებულზე მოდის, ჩუმად დაჯდება, თუ მიაწოდებენ რამეს, ივახშმებს, თუ არადა, მაინც არაფერს იტყვის, დაწვება და დაიძინებს. მეორე დილით უთენია ადგება და სამუშაოდ მიდის ყანაში, ვენახში... ძალიან ბეჩავია. მე ბავშვობაში მხოლოდ იმიტომ არ დამცინოდნენ, რომ ხტომა და სირბილი არ შემეძლო... დედაჩემზეც მაგონებდნენ რაღაცეებს... არ ვიცი, შეიძლება, მართალიც კი იყო.

ბაბეური დიდხანს იჯდა ხმაამოუღებლად. ვერც მე დავძარი სიტყვა. ბოლოს თავი აიღო, თვალებში შემხედა და საკმაოდ გამომწვევად მითხრა:

— თქვენ თვითონ მითხარით, შემეძლო იქ დაბრუნება?! — გულწრფელად მკითხა მან.

ასე რომ, ბაბეურის შესახებ სურათი ნათელი იყო.

ახლა გრძელიძის რიგი დადგა.

მიშა გრძელიძე დინჯად შემოვიდა ოთახში. დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა. ისე იქცეოდა, თითქოს საუბრის დაწყებას არც აპირებდა. მეც არ დამიძრავს სიტყვა. შევჭიმანდი, ვიფიქრე, ახლა რომ დავილაპარაკო, შეიძლება, წამოდგეს, წავიდეს და შემდეგ აღარც გამეკაროს-მეთქი. სწორი აღმოვჩნდი. თავი რაღაც უცნაურად გადასწია უკან და იფეთქა:

— ვინ ხარ, რას შემომჩნდი! ხომ მომისაჯეს უკვე, მეტი რაღა გინდა?! მე ვიღაც მევახშეებს, ნაძირალებს, სხვისი გაჭირვებით გამდიდრებულ ხალხს რაღაც წავართვი და დავისაჯე... აღარც აქ მასვენებთ... თან გგონიათ, კარგ საქმეს ჩადიხართ! ვინ არის ქურდი და მტაცებელი, მე თუ — შენ?! შენ სულის სიმშვიდეს მართმევ. მე თუ ვინმესთვის რამე წამირთმევია, ამას რაღაც გამართლება მაინც ჰქონია — წართმეულს მე ვიყენებდი. შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გინდა, რაში გარგია ჩემი უკანასკნელი იმედი. მიპასუხე!

— პირიქით, მე თქვენი სულიერი მდგომარეობის აღდგენა მინდა.

— რა უნდა აღდგენო, რაც არასდროს არ არსებულა?! რა აღდგენაზეა ლაპარაკი! — მაგიდას დაჰკრა მუშტი.

არ ვიცი, ამან გამოაფხიზლა თუ ბრაზის გადმონთხევამ, სრულიად მოულოდნელად დაშოშმინდა. რამდენიმე წამს თვალდახუჭული იჯდა. შემდეგ გაიღიმა:

— მაპატიეთ, გავცხარდი! — თქვა და მშვიდად დასძინა, — თქვენი საქციელი მაინც არ არის სწორი!

— მოდი ბოლმდე ჩავყვეთ სათქმელს და შემდეგ განმსაჯეთ.

— კიდევ რაღა დარჩა სათქმელი?!

— თქვენ, თქვენივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თავშესაფარი გაიჩინეთ, მაგრამ კაცი თავშესაფარს მაშინ მიეტანება, როდესაც რაღაც საშიშროებას გაურბის, არა?

ცოტა ხანს იყოყმანა, შემდეგ, დამთანხმდა:

— ალბათ.

— შიშს დიდი თვალები აქვსო, ნათქვამია. თუ დაშინდი, საფრთხეც უფრო დიდი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია... კიდევ გიმეორებთ, მელაპარაკეთ გულწრფელად...

— კი ბატონო!

— ძალიან კარგი! თქვენ მხოლოდ მევახშეები, მხოლოდ ნაძირალები გყავთ გაქურდული თუ, ისინიც, ვისი ასავალ-დასავალიც არ იცით?! შეგიძლიათ, თავი დასდოთ, რომ პატიოსანი კაცი არასდროს არ გაგიქურდავთ?

— კაცი რომ ქურდობას პროფესიად გაიხდის...

— ამიტომ, გულს ნუღარ ავიჩვილებთ და არსენა მარაბდელს ნუ შეეედრებით „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო“. ამ შემთხვევაში არ გამოდგება, ასე არ არის?

— ასეა!

— ჰოდა, სწორედ იმაზე შევჩერდეთ, რაზეც არ გსურთ ლაპარაკი. აბა, დაფიქრდით, ყველაზე მეტად რაზე არ გსურთ საუბარი?

— რა ვიცი!..

— როგორ შეიძლება, არ იცოდეთ, როცა მთელი თქვენი არსება ამას შეუპყრია. ნუთუ, მართლა მხდალი ხართ?

— არა! — წამოიყვირა გრძელიძემ.

— თუ, არა, ილაპარაკეთ თქვენს შიშზე...

გრძელიძე კარგა ხანს დუმდა, შემდეგ, როგორც იქნა, დაიწყო:

— ის შიში არ იყო, რაღაც დაფრგუნული ვიყავი, გაბორტებული... აბა, რა იქნებოდა, მთელი ქვეყანა გამიდგა — შინ თუ გარეთ! მილიციაში ხომ არ ვიჩივლებდი! „ჩაშვება“ ისეთი „გრეხია“, ცხოვრებაში ხმას ვეღარ ამოიღებ. ვინ დამეხმარებოდა? და-ძმა არ მყავდა მამაჩემი აქეთ შემომიტევდა. სხვა ვერაფერი ვიღონე, ბიძაშვილს მივადექი. ხუთი წლით ჩემზე უფროსი იყო. ვუთხარი, უბანში თავი ვერ გამომიყვია, ბიჭები მყავს გადაკიდებულიმეთქი. იმან კი, შენი უბნელები ვიციო, ჯიგრები არიან, უბატონოდ ხმას არავის სცემენო. შენი ბრალი იქნება ყველაფერიო. მშვენივრად იცოდა, ვისი რა ბრალიც იყო, მაგრამ შეშინდა. ნათესავებში კი ხმა დამიყარა მიშას უბნის ბიჭებთან ცუდად აქვს საქმეო. არც ერთი გასვენება, ქორწილი და დღეობა ისე არ ჩაივლიდა, ჩემი საკითხი არ წამოჭრილიყო, დახმარების ნაცვლად, დამცინოდნენ. მერე ქურდების შესახებ გავიგე ზოგი რამ და სულ ამაზე ვოცნებობდი. მერედამერე...

გრძელიძე დადუმდა. ჩაიცინა. ჩავერიე:

— მთლად ისეთ სურათსაც ნუ დახატავთ, თითქოს, ამქვეყნად თქვენს მეტი სამართლიანი კაცი არ იყოს...

— შეიძლება, მთლად დალაგებული ბავშვი არც მე ვიყავი. დედა ზღაპრებს მიყვებოდა ხოლმე, მისი გარდაცვალების შემდეგ სულ დევები და ეშმაკები მესიზმრებოდა, ერთი ბანჯგვლიანი იყო, ყველაზე მეტად მისი მეშინოდა, თითქოს დედას მართმევდა ხოლმე, მამაჩემსაც რატომღაც იმ დევს ვამსგავსებდი, ჰოდა, ერთხელ ავიღე და მამაჩემის ფეხსაცმელებს ენები ამოვაჭერი...

— ცოტა არ იყოს უცნაური საქციელია. იცოდით, რომ ამისათვის გცემდათ?

— ეჭვი არ მეპარებოდა. დარწმუნებული ვიყავი, მცემდა.

— გეშინოდა?

— ძალიან.

— ამიტომ მოიქეცი ასე?

ბავშვივით შეკრთა. სწრაფად მიმიხვდა, რაც ვუთხარი, ვიდრე უარის თქმას მოასწრებდა დავასწარი:

— დაფიქრდით, იქნებ მართლაც ასე იყო.

— არ ვიცი... არ მახსოვს.

— ფეხსაცმელების ენების დაჭრა, შურისძიებას ხომ არ ჰგავდა?! იქნებ, იმ წამში შურისძიებაზე კი არა, შედეგზე ფიქრობდით. შედეგი კი გაშინებდათ.

— არა, არაფერზე არ ვფიქრობდი.

— უფრო სწორად გრძნობდით. ფიქრი ერთია, გრძნობა — მეორე. სადღაც, გულში ღრმად გრძნობდით, რომ მამა ამისთვის სასტიკად დაგსჯიდათ...

— ტანში მაჟრჟოლებდა... მაინც გავაკეთე. კი, ვიცოდი, რომ არ შეიძლებოდა, მაგრამ სწორედ იმიტომ ვშვრებოდი, რომ მამაჩემს ვერ ვიტანდი. მინდოდა, გამემწარებინა, თუნდ ვეცემე, მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესე იგი, დასჯას იწვევდით.

— სხვანაირად ურთიერთობა მასთან არ შეიძლებოდა.

— რატომ, ნუ გაამწარებდით და ისიც არ დაგსჯიდათ.

— არ შემეძლო. ჩემი მტერი იყო. მტერს რაც უფრო გაამწარებ, მით უკეთესია.

— თქვენვე მოგიკიდებიათ მტრად. არა, რა თქმა უნდა, მამათქვენის გამართლება არაფერით არ შეიძლება. ბავშვს უნდა გაუგო. ცემა დაუშვებელია, მაგრამ... როგორც ჩანს, თქვენც ნამდვილად აძლევდით საბაბს.

— ვერ ვიტანდი და იმიტომ.

— რატომ ვერ იტანდით. შიში წინ ხომ არ უსწრებდა დანაშაულს და სასჯელს?!

— ვერ გავიგე!

— აი, ვთქვათ, ბავშვი სჩადის რაღაც საქციელს. უფროსი თვლის, რომ ის საქციელი დანაშაულია და ჩამდენს სჯის. ესე იგი, დასჯა წარმოშობს შიშს. ასე არ არის?

— დიახ.

— შეიძლება, ასეც მოხდეს, იყოს შიში... ჯერ შიში! გაურკვეველი. გაურკვეველი განცდა ძნელი ასატანია, უფრო სწორად, აუტანელია. იგი რომ ასატანი გახდეს, საჭიროა მისი გამართლება, ესე იგი, შიშის ცხადი მიზეზი. ამიტომ, ბავშვი სჩადის დანაშაულს და იწვევს სასჯელს. მაგალითად, ბავშვს გულში ჩადებული აქვს გაურკვეველი შიში და აქეღან გამომდინარე სიძულვილი. ეს შიში და სიძულვილი მიზეზობრივი რომ გახდეს, იგი მამის ფეხსაცმელებს ენებს აჭრის... ან რაღაც ამდაგვარს სჩადის. თან კარგად იცის, რომ ასეთი საქციელისთვის მკაცრად დაისჯება. ის სასჯელი შიშს და სიძულვილს მიზეზობრივს გახდის. ესე იგი, მას შიშის ცხადი მიზეზი ექნება. გაურკვევლობას ეს ჯობია ხოლმე. ამას თუ ისიც ემატება, რომ მამა არ ეცდება, რათა შვილს გაუგოს და... მოკლედ, მამათქვენის შემდგომი მოქმედება გამართლებული არა, მაგრამ გასაგები ნამდვილად არის. იქნებ, გაიხსენოთ, მანამდეც გამოავლენდით რაღაც ისეთს...

— კი, მახსოვს. გამახსენდა. დედაჩემის დაკრძალვის დღეს... სასაფლაოდან დაბრუნებისას მამას ვეცი და თვალების ამოკაწვრა დავუპირე.

— იმ დღეებში, ალბათ, არ უცემიხართ?

— არა.

— მაშ, რას ერჩოდით? ნუ იჩქარებთ პასუხს. იქნებ, მაშინდელი განწყობილება გაიხსენოთ!

— თითქოს მას ვთვლიდი ჩემი უბედურების მიზეზად.

—უბედურება დედის გარდაცვალება იყო, არა?

— დიახ, პატარა ბავშვისთვის ამაზე მეტი უბედურება რა შეიძლებოდა ყოფილიყო!

— არაფერი. რატომ თვლიდით მას დამნაშავედ?

— არ მახსოვს...

— იქნებ... ბავშვები მშობლებს, განსაკუთრებით, მამას ყოვლისშემძლედ თვლიან. ხომ არ ფიქრობდით... არა, ამას ფიქრი არ შეიძლება დაერქვას, ხომ არ გრძნობდით, რომ მამათქვენმა არ მოინდომა დედის გადარჩენა?

— მამა მართლაც ყოვლისშემძლე მეგონა. უკვე საკმაოდ დიდი თანამდებობა ჰქონდა... თავს დასტრიალებდნენ, ბავშვს მეტი კი არ უნდა! მოითმინეთ, მოითმინეთ! ახლა მახსენდება. დედაჩემის გარდაცვალებამდე იყო... სულ მეგონა, მამა მას მოკლავდა. თან, აუცილებლად ღამით. სისულელეა, მაგრამ ასე მეგონა რატომღაც. ამიტომ, დაძინების მეშინოდა, არ მოეკლა და მეც ზედ არ მიმაყოლოს-მეთქი. მესიზმრებოდა, თითქოს, დედაჩემი მისი ხელიდან გასხლტომას ლამობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ვყვიროდი, მეღვიძებოდა... უცნაურია, ახლა უკეთ ვხედავ ყველაფერს...

— ჩხუბობდნენ ხოლმე?

— ჩემი მშობლები? არა მგონია... ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს. ღამე დედას ვუწვებოდი ლოგინში, არაფერი დაუშაოსმეთქი. როცა სხვა ლოგინში მაძინებდნენ, ღამე მაინც დედასთან გადავდიოდი. მასთან აღარ მეშინოდა... თუმცა, ჰო, მართლა, ახრჩობდა, მართლა! — წამოიყვირა გრძელიძემ, — სიზმარში მერე ჩამყვა... მინახავს, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ახრჩობდა!.. ბნელოდა. თავზე გადამხობოდა და ახრჩობდა... საშინელება იყო, მერე ჩამეძინა და დილით უსიამოვნო სიზმარივით ამყვა. შემდეგ... რაღაც მსგავსი სიზმრად დამჩემდა...

— იქნებ მოგეჩვენა?

აქ ახლა აღარ შევუდგები გრძელიძის განცდების ასახვას, რადგან ამას დიდი მწერლური ოსტატობა უნდა, კაცმა რომ თქვას, მიზანიც სხვა მქონდა — მისი დანაშაულებრივი ქცევის მიზეზთა კომპლექსის აღნაგობის ჩვენება მსურდა.

* * *

სუხიაშვილთან საუბარი შუაზე გამიწყდა. ამიტომ, შემდეგი შეხვედრის დროს ისე გავუბი ლაპარაკი, თითქოს არც შეგვეწყვიტოს:

— ხომ ვერ მეტყვი რამე საერთო ნიშანს, რის მიხედვითაც მოგწონდა ხოლმე გოგოები: ქცევა იყო ეს, გარეგნობა, სულიერი ღირსე-

ბები, თუ იქნებ, ნაკლიც იყო, არც ეს არის გამოსარიცხი.

— რა გითხრათ. მაშინ ამაზე არ მიფიქრია. ახლა რომ ვუკვირდები, ჩემს მაშინდელ მდგომარეობას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თვით მათ.

— სიყვარული ბრმაოო, ხომ გაგიგია! ნაკლიც მიმზიდველად ეჩვენებათ მაშინ.

— მე, პირიქით, თითქოს ნაკლს ვეძებდი. იცით, რა! საკმარისი იყო, შემენიშნა, რომ მათაც, ასე თუ ისე მოვწონდი ან, ყურადღებას გამოიჩენდნენ ჩემს მიმართ, რატომღაც გული მიცივდებოდა... მათთან ყოფნა აღარ შემეძლო, თითქოს მაშინ მეხილებოდა მათ ნაკლზე თვალი.

— იქნებ, ისიც გაიხსენო, სიყვარული როდის მოდიოდა.

— ძნელი სათქმელია.

— ვიცი, სიტყვა უხეშია გულში ღრმად ნადების გასამყარებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, სიტყვის მეტი სხვა საშუალება არ გვაქვს.

— ალბათ, მარტოობის განცდისას წამომივლიდა. ტირილი მინდებოდა... თითქოს მარტო ვიყავი მთელს დედამიწაზე. ძალიან ცუდი განცდაა. ქალი მჭირდებოდა იმ დროს... ოღონდ პირდაპირი მნიშვნელობით კი არა...

— ქალი გჭირდებოდა არასქესობრივად?

— გამორიცხული იყო! იმ დროს, როცა ვინმე მიყვარდა, ასეთ რამეს გულშიაც კი არ გავივლებდი. შეიძლება, ეს არც იყოს მთლად ნორმალური, ასე კი იყო. იცით, შემზიზღდებოდნენ ხოლმე. როგორ ვთქვა!.. რაღაც გარკვეული დროის შემდეგ, ესე იგი, გარკვეული ურთიერთობის შემდეგ საჭირო იყო ხელი მომეკიდა, მეკოცნა,... ხატიდან ქალად იქცეოდნენ, ისევ ქალად... ხომ ხვდებით?

— კი. ამიტომ, ზიზღს იწვევდნენ?

— მხოლოდ ამიტომ! ახლა ვხვდები, ალბათ, ამიტომ.

— ყველა ქალს ასე, ამ თვალით უმზერდი?

— არა. ვინც შემიყვარდებოდა მხოლოდ იმას. ეს ისე ხშირად ხდებოდა, სხვა ქალებისათვის ვეღარ მოვიცალე. არ დამცინოთ! ვიცი, რასაც ფიქრობთ, დამიწყო ამ ჩვიდმეტი წლის ბიჭმა ქალებზე ლაპარაკი. სიმართლე თუ გნებავთ, ასე იყო.

— ერთი წამითაც არ მიფიქრია დაცინვა.

— მაპატიეთ, ძალიან ეჭვიანი ვარ!

— მაინც, რა გაეჭვიანებს ხოლმე?!

— ყველაფერი. სულ მეგონა, რომ უჩემოდ რაღაც მნიშვნელოვანი ხდება და არ მეუბნებიან, მიმალავენ. ამას ვერ ვიტანდი და ხშირად ვჩხუბობდი ხოლმე.

— სანამ მეორე შვილი შეეძინებოდათ შენს მშობლებს, სად გეძინა?

— საწოლში, მშობლებთან. ცალკე ლოგინი მქონდა.

— რა ადგილას იდგა შენი საწოლი?

— არ მახსოვს, ოთხი წლის ვიყავი.

— შენი და რომ გაჩნდა?

— სხვა ოთახში გამიყვანეს.

— დამ დედ-მამა წაგართვა, არა?

— დიახ. ასე იყო. ჩემს დას ვერ ვიტანდი. ბებიამ მითხრა, ერთხელ თურმე ტირილი დამიწყია, საიდან მოათრიეთ ეს ბავშვი, ახლავე გადააგდეთ-მეთქი. მისი გულისთვის ხშირად მომხვედრია, პატარაა, უნდა დაუთმოო... ეჰ, სისულელეა!

— რა არის სისულელე?

— არაფერი, რაღაც გავიფიქრე!

— თქვი, რა გაიფიქრე!

— არ ღირს! რამდენი რამ გაგიელვებს თავში, ყველაფერი სათქმელი კი არ არის!

— თუ მართლა სისულელეა, თქმას რა უდგას წინ?!

— დამავიწყდა უკვე.

— ესე იგი, არც მთლად სისულელე ყოფილა. გინდა მე მოგაგონო?

— თქვენ როგორ მიხვდებით.

— ვნახოთ! — მცირე ხანს გავჩერდი, მეტი ყურადღებით მოეკიდოს ნათქვამს-მეთქი, — შენს დაზე ფიქრობდი, იმ საწოლ ოთახზე, საიდანაც მისდაუნებურად გაგაძევა, მოგწყვიტეს იმას, რისი დათმობაც არასდროდებით არ გინდოდა. ყველაზე ძნელი შესაგუებელი ის იყო, რომ დედამ თავად მოგიძულა. შემდეგ, უცებ, ის იერსახე დაინახე, შეყვარებულ გოგოებში რომ ეძებდი. იერსახე კი არა, უფრო სწორედ, დიდი ხნის წინ მივიწყებული, თითქმის დაკარგული. სითბო ძალიან ახლობელი, ტკბილი, მშობლიური. დიდი ხნის წინ დაკარგული. სწორია? თუ სწორია, თქვი, ნუ გერიდება. ეს არც ისე სამარცხვინოა, როგორც შენ გგონია, პატარა ბიჭებმა იციან ხოლმე თქმა, რომ გავიზრდები დედაჩემი უნდა ვითხოვო ცოლადო. გესმის, ახლა, რატომ არ შეიძლებოდა იმ გოგოებთან სიახლოვე?! იმ დაფარულ სახეს მათში ეძებდი. ის სახე კი...

— ავადმყოფი ვარ? — შემაწყვეტინა ირაკლიმ.

— არა, ჭურდი ხარ!

— ეს ერთი და იგივეა?

— ალბათ.

— მერჩია, ყაჩაღი ან ქურდი ვყოფილიყავი...

— იმიტომაც ირჩიე ეს გზა...

ის, რაც ვუთხარი, სისასტიკეს ჰგავდა, მაგრამ სათქმელი უნდა მეთქვა, უამისობა არ ივარგებდა. ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა გაეგო, რატომ დაადგა დანაშაულის გზას!"

ბიძინამ უკანასკნელი ფურცელი !გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადადო. წამოდგა, მუხლი გამართა. გაიარ-გამოიარა და თქვა:

— ზოგი რამ ჩემთვისაც ცხადი გახდა, ხედავთ, რა რთულია დანაშაულის ნამდვილი მიზეზის მიკვლევა, დეტექტიურ სიუჟეტს ჰგავს. ხშირ, ძალზე ხშირ შემთხვევაში კაცმა თავადაც არ იცის კარგად საკუთარი ნამოქმედარის ნამდვილი მიზეზი.

მამიაც წამოდგა:

— კი, ასეა ალბათ. ოღონდ, იცი რა, უფრო ცხადად ჩამოგვიყალიბე დასკვნა.

— დასკვნა ჯერ ადრეა. მანამდე კიდევ ბევრი რამ მოითხოვს განმარტებას. ჯერ კი იმას ვიტყვი, რაც გამოჩნდა. გრძელიძე შიშმა, სიმხდალემ, თავშესაფრის ძიებამ მიიყვანა დანაშაულამდე, ხოლო ის შიში თუ რამ გამოიწვია, ამასაც გავკარით პატარაზე კბილი. ბაბეურს არასრულფასოვნების განცდამ აუბნია გზაკვალი. სუხიაშვილი მომეტებულმა პრესტიჟულმა მოთხოვნილებამ დაღუპა.

— ეს თვისებები თანდაყოლილს არ ჰგავს...

— არავითარ შემთხვევაში! არასწორმა აღზრდამ გამოიწვია ყველაფერი. თუმცა, ბაბეურს ფიზიკურმა ნაკლმაც „შეუწყო“ ხელი.

— კი, მაგრამ...

— კი, კი, ვიცი! — გააწყვეტინა ბიძინამ — ბევრი საკითხი დარჩა გასარკვევი. თანდათან ყველაფერს გავარკვევთ.

— კი, ბატონო! — წასასვლელად შეემზადა მამია, მაგრამ შედგა, — ერთ კითხვაზე მაინც მიპასუხე: ვისაც შიში აიტანს და თავშესაფარს ეძებს, ან არასრულფასოვნების განცდა დაეუფლება, ანდა ნამეტანი პრესტიჟულობის სურვილი აიტანს, ყველა... ქურდი და მამაძაღლი უნდა გახდეს?

ბიძინას სახე გაებადრა:

— კაკალგულში მოარტყი, მამია! მიყვარს ჭკვიანი ხალხი! მაგრამ მაგ კითხვას მოკლე პასუხი არა აქვს...

— კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი! — გაიცინა მამიამ, — ესე იგი, ხვალ საღამოს აქ ვართ.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

— რამდენი ურემი შეშა დაგვჭირდება ბოლოში გასვლამდე?

— ურემს გაიჩნია, ჩემო მამია!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ქარანაძე.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. ტყეშელაშვილი — „საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი მ. ისაევი — „ავტოსატრანსპორტო დანაშაულის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ლ. ისაკაძე — „სამოქალაქო სამართლის საქმეებზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზოგადი დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობისა და მათში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

თუ როგორ სრულდება ახალციხის რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 7 ივლისის დადგენილება „სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“, პლენუმის მონაწილეებს მოახსენა ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ა. მაზმიშვილმა, ხოლო „სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტად დაცვის მდგომარეობაზე“ ქუთაისის ლენინის რაიონში, ილაპარაკა ამავე რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ს. მაღლაკელიძემ.

განხილულ საკითხებზე კამათში მონაწილეობდნენ საქაგრომრეწვის იურიდიული სამმართველოს უფროსი ვ. ასეიშვილი, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. კვარაცხელია, გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე მ. ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიაშვილი, ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე რ. ჯაფარიძე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. არღუნი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ჯ. რუსიაშვილი, ო. ბეგია, ი. ჟორდანია, თ. ჩიქოვანი, მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე თ. აბესაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე ბ. ჩოხელი, ამავე სამინისტროს კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომელი ბ. ცუცქირიძე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე პროტესტები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

თათბირ-სემინარი კადრების გადამზადების სრულყოფის საკითხებზე

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით მოსკოვში, იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა თათბირ-სემინარი თემაზე — „კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში სასწავლო პროცესისა და სწავლების სრულყოფა". თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 20 ნოემბრის დადგენილებაზე — „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ".

თათბირ-სემინარზე მოწვეულ იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლები, კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური კურსების დირექტორები და ლექტორები.

საქართველოდან თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მთავარი კონსულტანტი ც. თ ვ ა უ რ ი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, შ. ფ ა ფ ი ა შ ვ ი ლ ი, უნივერსიტეტის დოცენტი, რ. ჭ ო ლ ო შ ვ ი ლ ი, ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. მ ა ხ ა რ ა ძ ე, იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი მ. კ ო მ ა ხ ი ძ ე.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსის მოადგილე ო. ბ ო ი კ ო, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი ვ. ტ რ ო ი ც კ ი, იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი ლ. ხ ა ლ დ ე ე ვ ი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები, კათედრის გამგეები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა ო. ბოიკომ. მოხსენებით „იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების, დაწესებულებების კადრების სწავლების მეთოდიკის სრულყოფის აქტუალური საკითხები პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შუქზე კადრების გადასამზადებელი სისტემის გარდაქმნის საქმეში" — გამოვიდა იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ბ უ კ ო ვ ი. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლექცია-სემინარების და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების აუცილებლობას, ლექციების ჩაწერას, რომელიც შემდეგ აუცილებლად უნდა განიხილებოდეს მეთოდიკური საბჭოს სხდომაზე. აქვე უნდა ხდებოდეს აგრეთვე რეცენზირებული ლექციების ტექსტებისა და თეზისების გარჩევა. ლექციები ყოველმხრივ უნდა პასუხობდეს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის მოთხოვნებს. უნდა დამკვიდრდეს, რომ თითოეული ლექტორი კითხულობდეს მხოლოდ ერთ საგანს და არა რამდენიმეს, რადგან იგი ხელს შეუწყობს სწავლების ეფექტიანობასა და ხარისხის ამაღლებას. ამავე მიზნით, სასწავლო პროცესში ხშირად უნდა მონაწილეობდნენ ის პრაქტიკოსი მუშაკები, რომელთაც თეორიული მომზადებაც მაღალი აქვთ.

კადრების გადამზადების სრულყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცე კავშირს მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებსა და უმაღლეს სასამართლოებს შორის. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს და რესპუბლიკურ კურსებზე გაიხსნას კაბინეტები მოწინავე მუშაკთა დადებითი მუშაობის გამოცდილების გაზიარების შესახებ.

დასასრულს, ვ. ბუკოვმა თქვა, რომ საჭიროა რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელებმა გააანალიზონ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა, აღმოფხვრან თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებები და შეიმუშაონ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები.

მოხსენების შემდეგ ინფორმაციით გამოვიდა ინსტიტუტის სიხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნერებათა კანდიდატი რ. რ ა დ უ ტ ნ ა ი ა. მისი თემა იყო — „იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე საქმიანი თამაშის ჩატარების მეთოდიკა.“ ასეთი სახის მეცადინეობების ჩატარება მიზნად ისახავს იმას, რომ მსმენელებს განუვითარდეთ უნარი დამოუკიდებლად გამოავლინონ და გადაწყვიტონ ის სირთულეები და პრობლემები, რომლებიც მათ წინაშე წამოიჭრება. „საქმიანი თამაში“ იმის საშუალებას იძლევა, რომ ოპერატიულად დავადგინოთ, როგორ ერკვევა მსმენელი საპროცესო კანონმდებლობის ნორმებში, სად არის იგი სუსტი, შევუწყოთ ხელი ამ ნაკლოვანებების გამოსწორებას.

„იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე ლექცია-დისპუტების, „მრგვალი მაგიდის“, მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით მეცადინეობების ორგანიზაციის და ჩატარების მეთოდიკა“ — ასეთი იყო ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის ვ. გ ე ი ხ მ ა ნ ი ს ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ დღევანდელ პირობებში, როდესაც მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს მუშაობის ფორმების გარდაქმნა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კადრების გადამზადების ხარისხის სრულყოფას, სწავლების პროცესში პრაქტიკული მეცადინეობების გაზრდას, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის ორგანიზაციის გამოცდილების უფრო ღრმად შესწავლის უზრუნველყოფას. რესპუბლიკური კურსები ვალდებული არიან ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ.

„იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე პროგრამირებული სწავლების მეთოდების გამოყენების შესახებ“ — ილაპარაკა იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ხ ა ლ დ ე ე ვ მ ა. მისი ხელმძღვანელობით სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს ტექნიკური საშუალებების კაბინეტები, რომელთაგან ზოგან ტარდება „საქმიანი თამაშები“, ზოგან დაპროგრამირებული კლასის სწავლების მეცადინეობები, ეს კაბინეტები გათვალისწინებულია 30 კაცისათვის.

სასწავლო პროცესის აქტივიზაციის მიზნით სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ ვრცლად ისაუბრა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ო. ბ ე რ ე ნ დ ე ე ვ მ ა. ილაპარაკა რა სასწავლო პროცესის აქტივიზაციის მიზნით სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებზე, მან საამისოდ გამოიყენა სხვადასხვა სლაიდები და ჩანაწერები.

„იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პროცესის მსვლელობაში ტექნიკური საშუალებების გამოყენების საქმეში არსებული გამოცდილების შესწავლის შესახებ“ — ასეთი იყო ინსტიტუტის დოცენტის ლ. ა ლ ე ქ ს ე ე ვ ა ს გამოსვლა. მან ხაზი გაუსვა ჩვენს რესპუბლიკურ კურსებზე სასწავლო პროცესში ტექნიკური საშუალებების გამოყენების მნიშვნელობას და ყურაღება გაამახვილა ამ საქმეში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას. აქვე მომხსენებელმა დასძინა, რომ ამ მიზნით მეცადინეობები უნდა ტარდებოდეს საბაზო სახალხო სასამართლოებში ან უშუალოდ რესპუბლიკურ კურსებზე, თუ მათ გააჩნიათ საამისოდ აღჭურვილი დარბაზი.

ინსტიტუტის სასამართლო ორგანოების კათედრის გამგის ლ. ს ი მ კ ი ნ ი ს თემა იყო — „იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტისა და რესპუბლიკური კურსების სასწავლო პროცესში საბაზო დაწესებულებებსა და სასამართლოებში მეცადინეობათა ორგანიზაცია და ჩატარება“. თავის გამოსვლაში მან მკაფიოდ გამოკვეთა საბაზო სასამართლოებში მეცადინეობათა ჩატარების დიდი მნიშვნელობა სწავლების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საქმეში.

მოხსენებისა და ინფორმაციების შემდეგ გამოსულმა ორატორებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ კურსების კადრებით დაკომპლექტების საქმეში საჭიროა უფრო მეტი დახმარება და მხარდაჭერა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის მხრიდან, რომ რსფს რესპუბლიკაში არსებული ფილიალების სიმრავლე ართულებს მათთვის დახმარების გაწევას. თათბირ-სემინარის მონაწილეთა მოწონება დაიმსახურა. საქართველოს სსრ უმა-

ღლესი სასამართლოს წევრის, რესპუბლიკური კურსების ლექტორის, დოცენტ შ. ფაფიაშვილის გამოსვლამ. მან საინტერესოდ ილაპარაკა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპულიკური კურსების მუშაობაზე, იმ ღონისძიებაზე, რომლებიც სისტემატიურად ტარდება სწავლების სრულყოფისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, შეხვედრებზე ე.წ. „მრგვალ მაგიდასთან“ და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე. ვრცლად ისაუბრა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე, მის დადებით მხარეებზე და იმ ეფექტურობაზე, რაც ამ სიახლით დაინერგა საქართველოში.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ხალდეევმა.

მამია ხარიტონიშვილი

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია დუშეთში

დუშეთში, სადაც ილია მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა, გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მართლმსაჯულების აღმზრდელობითი როლის, სასამართლო ეთიკის პრობლემებზე. კონფერენციის მოწყობის ინიციატორები იყვნენ საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომი და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ნუგზარ ოდიშვილმა და მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს აპოლონ კვიწინიძეს. მომხსენებელმა ვრცლად და საინტერესოდ ილაპარაკა მართლმსაჯულების აღმზრდელობითი როლის ამაღლების პრობლემებზე, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ნოემბრის დადგენილებიდან „სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“. „უფლების კონცეფცია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის თედო ნინიძის მოხსენება. დუშეთის რაიონის სახალხო მოსამართლემ მირიან ფხალაძემ ილაპარაკა სამართლებრივი კულტურის პრობლემებზე დუშეთის რაიონში. ბევრი საინტერესო და უცნობი ფაქტი მოიყვანა თავის მოხსენებაში ილია ჭავჭავაძის სამოსამართლო მოღვაწეობიდან ადვოკატმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვახტანგ უვანიამ. „გარდაქმნის პროცესი და მართლმსაჯულების აღმზრდელობითი როლის ამაღლების ამოცანები“ — ასეთი იყო ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გურამ ლილუაშვილის მოხსენების თემა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ავთანდილ კობახიძემ თავის მოხსენებაში დაწვრილებით ილაპარაკა სასამართლო ეთიკის პრობლემებზე მართლმსაჯულების განხორციელების თანამედროვე ეტაპზე.

თავის უბერებელ შემოქმედებასთან ერთად ილია ჭავჭავაძემ ქართველ იურისტებს ანდერძად დაგვიტოვა სიწმინდე, პატიოსნება. ზნეობრიობა, კანონისადმი პატივისცემა, რომ „კანონის სათავე ცხოვრებაა... ცხოვრება სწორთნის კანონს“. ასე ლამაზად დაამთავრა თავისი შემაჯამებელი სიტყვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ რატიანმა.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს დუშეთის სახალხო სასამართლოს შენობაში მოთავსებული ილია ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმი.

ზაალ მესხეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მორიგი სხდომა

როგორც ჩვენი უურნალის წინა ნომერში ვიუწყებოდით, თბილისის შინაგან საქმეთა ორგანოებისა და დანაყოფების საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის მუშაობის კოორდინაციის მიზნით ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა შინაგან საქმეთა ორგანოებში სოციალისტური კანონიერებისა და პროცესუალური დარღვევების ჯერ კიდევ არსებულ ფაქტებს.

ამასწინათ, გაიმართა ამ კომისიის მორიგი სხდომა, მოისმინეს ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის, მილიციის პოდპოლკოვნიკის ზოთა ძნელაძისა და ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის, მილიციის მაიორის ელდარ გოგოლაძის ანგარიში.

სიტყვით გამოვიდა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ნოდარ გიორგაძე.

კომისიის სხდომის მუშაობა შეაჯამა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა გრიგოლ შალამბერიძემ.

ერთთვიური ჭიათურაში

სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობებმა დიდი ამოცანები დასახეს გარდაქმნისა და დაჩქარების გზით შრომის სწორი ორგანიზაციის სრულყოფისათვის, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებასა და დრომოჭმული მავნე ზნეჩვეულებების აღმოფხვრასთან. სწორედ ამ სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი ჭიათურის პროკურატურის მუშაკები, რომლებიც ხშირად მართავენ შეხვედრებს ქალაქის ზონის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებთან. ამის ნათელი დასტური იყო ჭიათურის პროკურატურისა და საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმარგანეცის“ პარტიული კომიტეტის ერთობლივი ღონისძიება, ერთთვიური, რომელიც ამასწინათ ჩატარდა. ერთთვიურის მონაწილეებმა მოისმინეს ლექცია-საუბრები სამთო სამუშაოთა წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რამაც ცხოველი დაინტერესება გამოიწვია. ლექციები ჩატარდა ლენინის, პატარიძის, დიმიტროვის, კალინინის, სტალინის, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოებში, გამამდიდრებელ ფაბრიკებში და სხვაგან.

მსმენელებს მოეწონათ გამოსვლები, სადაც მონაწილეობდნენ პროკურორი ვ. გელაშვილი, პროკურატურის თანამშრომლები ვ. კაკულია, გ. გაფრინდაშვილი, გ. მჭედლიშვილი.

ჭიათურის პროკურატურის მუშაკები მაღაროელთა ხშირი სტუმრები არიან. ისინი მათ პერიოდულად აბარებენ ხოლმე ანგარიშებს თავიანთ მიერ გაეწული მუშაობის შესახებ, აცნობენ ქალაქის ოპერატიულ ვითარებას, ეხმარებიან სადავო საკითხების გადაწყვეტაში. ეს კი დიდად უწყობს ხელს მართლწესრიგის განმტკიცებას ჭიათურაში.

თეიმურაზ ზიმზილაშვილი.

ქ. ჭიათურა.

საპატიო წოდებების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდებები მიენიჭათ საქართველოს სსრ პროკურორს **ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძეს** და საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის წევრს, საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების უფროსს **დიმიტრი სამსონის ძე ჩიტლოვს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ᲩᲜᲝᲒᲘᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ

ᲛᲐᲤᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲓᲘᲓᲘᲔ ᲒᲣᲚᲐᲠᲘ

„ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐ

მხოლოდ მაფიას როდი სურდა ამ უზარმაზარი ბაზრის ხელში ჩაგდება. იგი ხიბლავდა აგრეთვე ირლანდიელებსა და ებრაელებს, რომლებიც საკმაოდ საშიში კონკურენტები იყვნენ. მაფიას ესმოდა, რომ მათთან ბრძოლა მოითხოვდა მთელი ძალების თავმოყრას. მას ამ დროისათვის თავკაცობდა ჯო მასერია. მან თანაშემწე ფრენკ კოსტელოს დაავალა მთავარი ხელმძღვანელების გამოძახება. 1928 წლის 5 დეკემბრისათვის დანიშნული პირველი შეხვედრა პოლიციის მოსვლით ჩაშალა. მეორე შეხვედრა გაიმართა რამდენიმე თვის შემდეგ, 1929 წლის 13 მაისს ოტელ „ატლანტიკ-სიტში“. მან ყოველგვარი ინციდენტის გარეშე ჩაიარა. ესწრებოდა ყველა მთავარი ბოსი — 27 კაცი. ისინი ჩამოვიდნენ თითქმის ყოველი მხრიდან — ნიუიორკიდან, ჩიკაგოდან, ფილადელფიიდან და ახალორლეანიდან. მათ შორის ყველაზე გამოჩენილები იყვნენ მასერია, კოსტელო, ნეაპოლიტანელი ალ კაპონე, ჯო ადონისი, ჯუნტა, ვინსენტ მანგანო და ჯო პროფაჩი. ეს იყო პირველი ასეთი თათბირი უმაღლეს დონეზე. მთელ სამ დღეს მიმდინარეობდა აზრთა ცხოველი გაზიარება და დაძაბული დისკუსიები. თათბირი საბოლოოდ წარმატებით დამთავრდა.

მიღებული გადაწყვეტილებანი მეტად მნიშვნელოვანი იყო. მთავარი მაინც ისაა, რომ გადაწყვიტეს „უცხოების“, ესე იგი არასიცილიელების თავიდან მოშორება. შეთანხმდნენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში დაეშვათ რამდენიმე ნეაპოლიტანელი, მაგალითად, ისეთები, როგორებიც იყვნენ ალ კაპონე ან ვიტო ჯენოვეზე. ასე შეიქმნა „სიცილიური კავშირი“, ანუ სხვანაირად, „კოზა ნოსტრა“. ამ შეხვედრაზე მიღებული სხვა გადაწყვეტილებანი უმეტესად ეხებოდა მაფიის საშინაო ორგანიზაციას: შექმნეს დიდი საბჭო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მის წევრებს შორის წამოჭრილი ყველა სადაო საკითხი; შემოსავლის ყველა წყაროდან (რეკეტი, აზარტული თამაშები, პროსტიტუცია და ა. შ.) გადახდილი გარკვეული პროცენტის ანგარიშზე შექმნეს საერთო ხაზინა. ეს სახსრები გათვალისწინებული იყო პოლიციელების, ჩინოვნიკების, ადვოკატების, პოლიტიკური მოღვაწეების მოსყიდვა-მოქრთამვისათვის, მოკლედ, ყველა იმ „მეგობრისათვის“, ვისი სამსახურიც როდისმე შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს. მხოლოდ და მხოლოდ კორუფციისათვის გამიზნულმა ამ ფონდმა მალე რამდენიმე მილიონ დოლარს მიაღწია.

ამრიგად, „ატლანტიკ-სიტში“ შეხვედრას მეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან მაფიამ იცვალა სახე — ახლა იგი სამშობლოს მონატრებულ იმ მაწანწალების თავყრილობა კი არ არის, რომლებიც მუქარის წერილების ქვეშ შავ ხელს ხატავდნენ, არამედ ნამდვილი თანამედროვე წარმობა გახდა.

ცხადია, ასეთ იმპერიას მეთაური ესაჭიროებოდა. კანდიდატებიც ბლომად იყვნენ. მათ შორის გამორჩეული ალ კაპონეა, მაგრამ იგი სიცილიელი არ არის და, მიუხედავად სახელგანთქმულობისა, ერთსულოვანი მხარდაჭერა სრულიადაც ვერ მოიპოვა. საბოლოოდ, ხელისუფლებისათვის ბრძოლა ხელში შერჩათ ჯო მასერიასა და სალვატორე მარანძანოს, ამ გულიკივ, სასტიკ და უსინდისო ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მიზნების მიღწევისათვის არაფერს დაერიდებოდნენ. თითოეულს დაახლოებით თანაბარი რაოდენობის მომხრენი ჰყავდათ. მარანძანოს ყველა მომხრე დასავლეთ სი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ᲣᲣᲠᲜ. „საბჭოთა სამართალი“, 1987 წლის №№ 2—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცილიის ერთი პატარა ნავსადგურიდან — კასტელამარე-დელ-გოლფოდან გადმოსახლებული იყო. მათ კასტელამარიელებს უწოდებდნენ და მაფიის ძალაუფლებისათვის ორ პრეტენდენტს შორის გამართული ბრძოლაც ამ სახელით მონათლეს. მარანძანოს მომხრეთა შორის იყვნენ ჯო ბონანო, სტეფანო მაგადინო და ჯო პროფაჩი. მასერიას მხარეს, რომელსაც ასევე ჯო ბოსს უწოდებდნენ, გაერთიანდნენ სიცილიელები და ნეაპოლიტანელები. მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულია ჯო ადონისი, ფრენკ კოსტელო, ვიტო ჯენოვეზე, მთავარი კი ლაკი ლიუჩანოა.

კასტელამარიელთა ომი

ორ დაჯგუფებას შორის ომი ატყდა 30-იანი წლების დასაწყისში. იგი წელიწადს გაგრძელდა და დამთავრდა უცებ და მოულოდნელად. მასერიას მთავარი თანაშემწენი ლაკი ლიუჩანო და ვიტო ჯენოვეზე თავიანთი ბელადის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამ გამცემლობის ზუსტი მიზეზები უცნობია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიუჩანო მასერიას მეთოდებს, კერძოდ, მის მითითებებს ნარკოტიკებით ვაჭრობის დაუშვებლობის თაობაზე, თვლიდა როგორც მეტად კონსერვატორულს და მოძველებულს.

მასერიას ბრწყინვალე კარიერა შეწყდა 1931 წლის 15 აპრილს კონი-აილენდას რესტორან „სკარპატოში“, იგი საუზმობდა ლიუჩანოსთან, ჯენოვეზესთან და სხვა მეგობრებთან ერთად. კარტის თამაშის შემდეგ ბევრი წავიდა. ლიუჩანო მარტო დარჩა თავის შეფთან და წყნარად ლაყბობდნენ. უცებ, შეუმჩნევლად დახედა საათს, ადგა და ტუალეტისაკენ გაემართა. მისი არყოფნის დროს რესტორანში ოთხი მკვლელი შემოვარდა და თავიანთი იარაღები მასერიას დააცალეს. იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

დანარჩენი ცნობილი გახდა ვალაკის მიერ პიტერ მაასისათვის მიცემული ცნობების წყალობით. მასერიას მკვლელობისთანავე მარანძანომ ყველა თავისი მეგობარი შეკრიბა ვაშინგტონ-ავენიუს მახლობლად მდებარე დიდ დარბაზ ბრონქსში და აუწყა მათ, რომ „ახლა ყველაფერი შეიცვლება“. მიიკუთვნა „ბელადთა ბელადის“ წოდება და განაცხადა, თუ როგორი გახდება ამიერიდან ორგანიზაცია „კოზა ნოსტრა“. დღეიდან იგი დაიყოფა ოჯახებად. თითოეულ ოჯახს უხელმძღვანელებს თავისი კაპო (მეთაური). მის განკარგულებაში იქნება სოტო-კაპო, რამდენიმე მოადგილე, ანუ კაპორეჯიმე და მრავალრიცხოვანი „ჯარისკაცები“. როცა ამ უკანასკნელთ მიმართა, მარანძანომ ჩამოაყალიბა წესები, რომელთა მიხედვითაც უნდა ემოქმედათ მათ:

მაგალითად, თქვა მან, როცა ჯარისკაცს სურს თავისი პატრონის ნახვა, მან ჯერ უნდა მიმართოს მის მოადგილეს. თუ საქმე საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაშინ მოადგილე მოაწყობს ასეთ შეხვედრას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯარისკაცს არა აქვს უფლება უშუალოდ მიმართოს თავის უფროსს. ამ იდეის მიზანია მოქმედებისა და წესრიგის დაცვა.

დასასრულს, მარანძანომ გაანაწილა ნიუ-იორკის ხუთი ოჯახის ხელმძღვანელთა პოსტები: პირველ ოჯახს სათავეში ჩაუდგა ლიუჩანო, ხოლო მისი თამაშემწე გახდა ვიტო ჯენოვეზე; მეორე ოჯახს ტომ გალიანო, მესამეს — ჯო პროფაჩი, მეოთხეს — ჯო ბონანო, მეხუთეს — ვინსენტ მანგანო. ყოველივე ამის შემდეგ ახალგამომცხვარმა „ბელადთა ბელადმა“ „კოზა ნოსტრას“ განახლება იზეიმა ბრუკლინის დიდ რესტორანში.

მესამე გაიძვერა

მარანძანოს ტრიუმფი ხანმოკლე გამოდგა — მისი მმართველობა ხუთ თვესაც კი არ გაგრძელებულა. 10 სექტემბერს კასტელამარიელთა ბელადი მოკლეს პარკ-ავენიუს 230-ში მდებარე საკუთარ კაბინეტში. დღეისათვის, ისევ იმ ვალაკის წყალობით, ცნობილია, რომ ამ ახალი დანაშაულის წამქეზებელი ლიუჩანო იყო. მან როგორც მასერია, გაყიდა, იგივე გაიმეორა მარანძანოს მიმართაც. იღბლიან ლიუჩანოს გრძელი კბილები აღმოაჩნდა. იგი უკვე კარგახანია რაც ჩრდილში მანევრირებდა, რათა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება. მან ახლა იგი მიიღო. მისმა ძლიერმა და უჩვეულო პიროვნებამ ამერიკული მაფიის შემდგომი წლების ისტორიას თავისი კვალი დაამჩნია.

პალერმოს პროვინციაში 1897 წელს დაბადებული სალვატორე ლუკანია ნიუ-იორკში 10 წლის ასაკში ჩამოვიდა. სახელი ინგლისურ ყაიდაზე გადაიკეთა და გახდა ჩარლი ლიუჩანო. იგი მაშინვე მოხვდა დამნაშავეთა გარემოში. შემცირებული „ლაკი“ („იღბლიანი“), რითაც მალე მონათლეს, მოასწავებდა მისი ლეგენდის დასაწყისს. ერთხელ, როგორც ეს ლეგენდა მოგვითხრობს, იგი მოწინააღმდეგე ბანდამ მოიტაცა, რადგან არცთუ უსაფუძვლოდ სჯეროდათ, რომ მან იცოდა თუ სად ინახავდნენ მისი მეგობრები ნარკოტიკებს. იგი უკაცრიელ ადგილზე მიიყვანეს და ხის ტოტზე ხელის ცერებით ჩამოკიდეს. დიდხანს აწამეს სამართებლებითა და მოკიდებული სიგარეტებით, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ხმა ვერ ამოღებინეს. ბოლოსდაბოლოს ჭწვალებლებმა მიატოვეს, რადგან გონდაკარგული უკვე მკვდრად მიიჩნიეს. ამ თავგადასავალმა, რომელიც სწრაფად გავრცელდა დამნაშავეთა წრეებში, შარავანდედით შემოსა მისი პრესტიჟი. ახლა ყველამ იცის, რომ პატარა ლიუჩანო იცავს წრიული თავდებობის კანონს; რომ მას შეუძლია დარტყმის მიღება და ამასთან, იღბლიანიცაა. ამ მომენტიდან იგი ელვისებურად აღზევდა. საქმე ისე მოიწყო, რომ შეტი დარტყმა აღარ მიეღო. პირიქით, ახლა ის ურტყამს სხვებს. რაც შეეხება იღბალს, იგი მას მუდამ თან ახლდა.

მას შემდეგ, რაც მასერია და მარანძანო ჩამოიშორა, ასპარეზი თავისუფალი აღმოჩნდა. მაგრამ „ჩუმი ხმისა და ცივი თვალების“ მქონე ადამიანი ცდილობს არ გაიმეოროს თავისი წინამორბედების შეცდომები. მას ისევე სწყურია ძალაუფლება, როგორც თავისდროზე იმათ, მაგრამ გაცილებით უკეთესად შეუძლია საკუთარი პატივმოყვარეობის შენიღბვა. მან ჯერ გააუქმა მეტისმეტად მაღალფარდოვანი წოდება „ბელადთა ბელადი“. მას არ უნდა იყოს „გამგებელთა გამგებელი“, იგი იქნება უბრალოდ გამგებელი (ბოსი). მარანძანოს რეფორმებისათვის ხელიც არ უხლია, მაგრამ უფრო მოქნილი გახადა ისინი, ხოლო საკვანძო პოსტებზე დანიშნა თავისი მეგობრები კოსტელო და ჯენოვეზე. უმეტესად სიცილიურ გვაროვნულობას ინარჩუნებდა, მაგრამ, ამავე დროს, უახლოვდება იმ ბანდებს, რომლებიც ადრე კონკურენციას უწევდნენ, მაგალითად, დატჩა შულცის, ლუისა ბუხალტერისა თუ მეიერი ლანსკის ბანდებს. მან ყველაფერი უძღვნა საკუთარი გეგმის განხორციელების საქმეს, რითაც დაამტკიცა თავისი დიპლომატიურობა და მოხერხებულობა. იგი სწორედ ამის წყალობით ითვლება დღემდე მაფიის ყველაზე გამოჩენილ ხელმძღვანელად. ეს გეგმა კი, არც მეტი, არც ნაკლები, მიზნად ისახავდა „კოზა ნოსტრას“ გადაქცევას მსოფლიო სამეფოდ, თავისებურ სახელმწიფოდ სახელმწიფოში, რომელიც თანდათან უზარმაზარ ობობას ქსელში გახლართავდა მთელს დედამიწას. ლიუჩანო ისწრაფოდა, რათა დანაშაულის ეს გიგანტური ტრესტი რაც შეიძლება მრავალფეროვანი ყოფილიყო. აზარტულ თამაშებს, ლატარიებს, ავაზაკთა ბუნაგებს და სხვადასხვა სახის რეკეტებს მან დაუმატა პროსტიტუცია და, რაც მთავარია, ნარკოტიკებით კონტრაბანდული ვაჭრობა. მალე ამან მაფიას ისეთი უზარმაზარი შემოსავალი მოუტანა, რომ მისი დადგენა შეუძლებელია ერთი მილიარდი დოლარის სიზუსტითაც კი.

პირველ ტურზე გაიმარჯვა დიუიმ

თუმცა, ლიუჩანო დაღუპეს არა ნარკოტიკებმა, არამედ საროსკიპოებმა. მისმა დაუძინებელმა მტერმა, სპეციალურ საქმეთა პროკურორმა თომას დიუიმ რამდენიმე მეძავისაგან ჩვენების აღება მოახერხა. 1936 წლის 17 ივლისს ლიუჩანოს 35 წლის პატიმრობა მიუსაჯეს და გაგზავნეს კანადის საზღვართან ახლოს, დანემორას ციხეში. აქ ისე ცოდა, რომ მას „ციმბირიც“ კი შეარქვეს.

მას შემდეგ, რაც ლიუჩანო ჩასვეს, მისი მოვალეობის შესრულება დროებით მისმა თანაშემწეებმა — ჯენოვეზემ და კოსტელომ ითავეს. ეს ორი ადამიანი ერთმანეთს ვერ იტანდა, მაგრამ, თუმცა ბოსი ნიუ-იორკიდან შორს იყო, იგი მაინც კვლავინდებურად მათ შორის იმყოფებოდა. ვერავინ გაბედავდა მის მიმართ დაუმორჩილებლობას, მით უმეტეს, მისი ადგილის დაკავებას. რაც შეეხება მრისხანე თომას დიუის, გახარებული იყო პირველი წარმატებით, მაგრამ მან იცოდა, რომ მისი ამოცანა ჯერ სულაც არ იყო გადაჭრილი. მაფიაზე საბოლოო გამარჯვებისათვის საჭირო იყო კიდევ ბევრი თავის დაგორება. ლიუჩანოს ჩამოშორების შემდეგ, მან გადაწყვიტა შეეტია მის ყველაზე საშიშ თანაშემწეზე, ესე იგი, ვიტო ჯენოვეზეს წინააღმდეგ. მაგრამ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ფრთხილი აღმოჩნდა, ვიდრე მისი გამგებელი — არჩია დავიწყებას მისცემოდა მისი სახელი და 1937 წელს იტალიაში გაემგზავრა. ორმაგი ძირიანი ჩემოდნით 750 ათასი დოლარი წაიღო, ასეთი თანხის მფლობელს კი ფაშისტების არ უნდა შეშინებოდა.

მარტოდ დარჩენილი კოსტელო იფარგლება ფრთხილი მმართველობით: არავითარი აფეთქებანი, არავითარი ახალი წესები. თუმცა, მას თვით ვითარება კარნახობს. უდარდელი და მსუბუქი წლები წარსულს ჩაბარდა და თავის გადაჩენისათვის საჭიროა, რომ „კოზა ნოსტრა“ გამოიყურებოდეს რესპექტაბელურად. კოსტელომ ერთ-ერთმა პირველმა შეიგნო ეს. ჭკუა ეყო იმისათვის, რომ უზრუნველეყო კანონიერი გარეგნობა და მთელი თავისი შემოსავალი დაებანდებინა სრულიად რესპექტაბელურ საქმეებში, მაგალითად, ნავთობის მრეწველობაში ან უძრავ ქონებაში. მალე მის მაგალითს მაფიის სხვა ხელმძღვანელებმაც მიბაძეს.

ამასობაში ომიც ატყდა ევროპაში. იტალია გერმანიის მხარეზე გამოდის. მაფიას კი სხვისი კონფლიქტები არ აშინებს. პირიქით, მან იცის ბუნდოვანი სიტუაციებიდან სარგებელის მიღება. ამას გარდა, ვიტო ჯენოვეზეს წყალობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან შესანიშნავად იცის თუ რა ხდება სიცილიაში. მაგრამ თუ „კოზა ნოსტრა“ ჯერჯერობით მხოლოდ შორიდან ცქერით კმაყოფილდება, „პატივცემულ საზოგადოებას“, მძინარე მზეთუნახავის მსგავსად, ესმის თუ როგორ ახლოვდება ის, ვინც ბოლოსდაბოლოს გამოაღვიძებს მას ხანგრძლივი ძილისაგან.

მეორე ოქროს ხანა

სიცილიაზე 1943 წლის 10 ივლისს მოკავშირეთა გადმოსხმის შემდეგ დაიწყო „პატივცემული საზოგადოების“ მეორე ოქროს ხანა. არსებითად, ასეთი გამოცოცხლება უცაბედად არ მომხდარა, იგი დაიწყო ინგლისელებისა და ამერიკელების მოსვლამდე სამი წლით ადრე. ამის პირველი ნიშნები უკვე 1940 წელს იგრძნობოდა, ე. ი. როცა იტალია ჩაება კონფლიქტში. მეორე მსოფლიო ომმა მოულოდნელი წარმატება მოუტანა მაფიას, რადგან შეზღუდვათა პერიოდები ყოველთვის მოგების წყაროდ იქცევა ხოლმე იმათთვის, ვინც იცის მათი გამოყენება. მაფიამაც, არ მოიკლო ასეთი სიამოვნება. რამდენიმე ხნით მის სპეციალობად შავი ბაზარი იქცა. მაგალითად, ბენზინის ტალონებით მთელი სპეკულაცია მის ხელში გადის. მაგრამ უფრო ნაყოფიერად მოქმედებაც შეიძლება: მიჰყიდოს საკუთარი სამსახური თავის ამერიკის ფილიალს — „კოზა ნოსტრას“. შუამავლობას ვიტო ჯენოვეზე კისრულობს. ალბათ, მუსოლინიმ სწორედ მისი მეოხებით შეძლო ანტიფაშისტი ჟურნალისტის კარლო ტრესკის თავიდან მოშორება, რომლის სტატიებიც ზიანს აყენებდა დუჩეს ამერიკის საზოგადოებრიობის თვალში.

რა თქმა უნდა, მაფია ორ დაფაზე თამაშობს. იგი ხან ამერიკის საიდუმლო ორგანოების მიერ არის მოსყიდული, ხან მათი იტალიელი კოლეგების. როგორც ჩანს, ეს ხელსაყრელია როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის, ისინი მოხარულიც კი არიან, რომ ცრუმაგიერი პირის მეშვეობით ერთმანეთთან მოლაპარაკების საშუალება მიეცათ. სწორედ ამ გზით შემცირდა მინიმუმამდე მაფიის კონტროლის ქვეშ არსებულ ნავსადგურებში ამერიკელთა გემების მიმართ სადივერსიო მოქმედებანი, ხოლო ფაშისტები, თავის მხრივ, ღებულობდნენ საჭირო ცნობებს იმის თაობაზე თუ რა ხდებოდა შეერთებულ შტატებში.

დონ კალო

ამ პერიოდის მაფიას განასახიერებდა დონ კალოჯერო ვიცინი. 1940-1954 წლებში იგი იყო დიდი კაპო და ისეთივე როლს ასრულებდა, როგორსაც 1910-1920 წლებში დონ ვიტო კაშო ფერო. მას დიდება გვიან ერგო წილად, მაგრამ ამან მეტი ბრწყინვალება შესძინა. იგი 1954 წელს გარდაიცვალა არა ციხეში, როგორც მისი წინამორბედი, არც მოუკლავთ ან მოუწამლავთ, არამედ მშვიდად დალია სული თავის საწოლში ზიარების შემდეგ. დაკრძალვა გრანდიოზული იყო. მას ესწრებოდა მრავალი პოლიტიკური მოღვაწე, რამდენიმე პრელატი და „პატივცემული საზოგადოების“ ყველა გამოჩენილი წარმომადგენელი. სამგლოვიარო პროცესიას წინ მიუძღოდა მისი მემკვიდრე დონ ჯენკო რუსო. მიწას მიაბარეს არა ყოფილი მკვლელი, არამედ ოფიციალური, პატივცემული, გამოჩენილი და აღიარებით მოსილი მოღვაწე.

მისი ცხოვრება, ისევე როგორც სხვა გამოჩენილი სიცილიელი „კაპოებისა“ ან ამერიკელი „ბოსებისა“, რომანის მსგავსია. იგი დაიბადა 1877 წლის 24 ივლისს ვილალბაში ღარიბი გლეხის ოჯახში. დედამისი, ტურიდა სკარლატაც გლეხური წარმოშობისა იყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ მისი ძმა მღვდელია და მიღებული იყო კალტანისეტას არქიეპისკოპოსის წრეში, დონ კარლოს ბურჟუაზიულ გარემოსთან უფრო აახლოებდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მას ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ეკლესიასთან, ხოლო მისი ორი ძმა — ჯოვანი და სალვატორე — მღვდლები გახდნენ. მაგრამ პატარა კალოჯეროს სხვა გეგმები ჰქონდა. 14 წლის ასაკში ოჯახის შემარცხვენელი იყო: არც წერა იცოდა და არც კითხვა, მაგრამ ეს მას არ აწუხებდა, რადგან დიდება სურდა არა ზეცაში არამედ მიწაზე, და რაც შეიძლება მალე. რაც შეეხება სწავლას, განათლების მიღებას იგი აპირებდა არა სკოლაში, არამედ სხვა უფრო ეფექტიანი და სწრაფი გზით. იმ პერიოდში ოლქში ბევრი ბანდიტი იყო, რომელთა საგმირო საქმეებზე ლეგენდებს თხზავდნენ. სწორედ მათ შორის იპოვა პატარა კალოჯერომ პირველი მასწავლებლები. 15 წლის იგი ძერვაზის ბანდის წევრია. ერთი წლის შემდეგ ვასალონის ბანდაში გადავიდა. ვასალონი, უმთავრესად, ცნობილი იყო მრისხანებითა და მუდამ ფულით გამოტენილი ჯიბეებით. მალე კალოჯეროს მკვლელობისათვის აპატიმრებენ, მაგრამ მალევე ათავისუფლებენ სწორედ იმ მღვდელი ბიძის ჩარევის წყალობით, რომელიც „მიღებული იყო არქიეპისკოპოსის წრეში“. პირველ ინცინდენტს მრავალი სხვაც მოჰყვა. რამდენი მკვლელობა ჩაიდინა ახალგაზრდა კალოჯერომ, ზუსტად ცნობილი არ არის, სამაგიეროდ ვიცით, რომ ამ მიზეზით დაახლოე-

ბით თხუთმეტჯერ იყო დაპატიმრებული. აპატიმრებდნენ, ასამართლებდნენ, მაგრამ თითქმის ყოველთვის ამართლებდნენ სამხილთა უქმარისობის გამო.

პირველმა მსოფლიო ომმა, ბოლოსდაბოლოს, საკუთარი ფრთებით ფრენის საშუალება მისცა. არმია აპირებდა ცხენების რეკვიზიციას დაბალ ფასებში. ეს გარემოება პირდაპირ განძი აღმოჩნდა მაფიის ახალგაზრდა წევრისათვის, რომელიც დაჯილდოებული იყო წარმოსახვის კარგი უნარით, ხოლო სრულიად მოკლებული — სინდისის ქენჯნას. მან არმიას ცხენების მოშარაგების საქმეში დახმარება შესთავაზა. შემდეგ იგი შეხვდა ჯიშიანი და ჯანმრთელი ცხენების მფლობელებს და ისინი რომ არ შეეწუხებინათ, გარკვეული თანხის საფასურად მფარველობას შეჰპირდა. ბოლოს იმათ მიადგა, ვისაც არმიაში სამსახურებისათვის უვარგისი ცხენები ჰყავდათ და შეისყიდა ისინი რაღაც კაპიკებად. ეს ჯაგლაგები ადვილად რომ გაესაღებინა, რამდენიმე მოპარული შესანიშნავი ცხენი გაურია.

არმია ბოლოსდაბოლოს მიხვდა ამ თაღლითობას. გამოიძახა და აღმოაჩინა კიდეც დამნაშავე, მაგრამ განაჩენის გამოტანა ვერ მოხერხდა რადგან სამხილეები არ იყო, მოწმეები კი დუმდნენ. კალოჯეროსათვის კი ეს დიდების მომტანი გახდა. ახლა მას უკვე უფლება აქვს ატაროს ტიტული დონ კალო. მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით მაინც ერთ-ერთია სხვა მრავალრიცხოვან კაპოთა შორის. მალე იგი თანაბართა შორის გამოირჩა არა მარტო იმით, რომ ცოცხალი გონება ჰქონდა და უმართლებდა კიდეც, არამედ ალღოს წყალობითაც. 1922 წელს კარგი აზრი მოუვიდა — ერთი ახალგაზრდა ფაშისტი, რომელსაც პოლიცია დევნიდა, საკუთარ სახლში დამალა. შემდეგ მან დიდძალი ფული გადასცა მუსოლინის მომხრეებს, რათა დაეფინანსებინათ „ლაშქრობა რომზე". ამის მეოხებით, 1929 წელს, იმ დროს, როცა თვით დონ ვიტო ჩასვეს ციხეში, დონ კალო ხელიდან დაუძვრა პოლკოვნიკ მორის და მაფიის სამეფო რეგენტი გახდა.

ნამდვილ მეფედ კურთხევა მოგვიანებით მოხდა, გვირგვინი კი ამერიკელებმა გადასცეს სიცილიაში მათი გადმოსხმის რამდენიმე დღის შემდეგ, ე. ი. 1943 წელს, როცა იგი ვილალბის მერი გახდა. ამ პოსტზე მისი პირველი აქტი მეტად მოხერხებული აღმოჩნდა. შემოწმების საბაბით შეაღწია კალტანისეტას სასამართლოში, ხელში ჩაიგდო მის მიმართ შექმნილი მთელი დოსიე და მთლიანად გაანადგურა. ამის შემდეგ საფრთხე აღარ ემუქრებოდა და შეეძლო ეკეთებინა რაც სურდა. სწორედ აქედან მოყოლებული დაინტერესდა დონ კალო პოლიტიკით.

რა აირჩიოს: ომისშემდგომი სიცილიის თანამედროვე გმირთან სალვატორე ჯულიანოსთან სეპარატიზმი, საოლქო ავტონომია თუ ქრისტიანული დემოკრატია? რომელ ცხენზე ჩავიდეს? რომელი გაიმარჯვებს? დონ კალოს მერყეობა მთელი მაფიის მერყეობას ნიშნავდა. დაიწყო დაძაბული პარტია. საბედნიეროდ, დონ კალო დიდი გაქანების მოჭადრაკეა. იგი მოქმედებს დინჯად, ფრთხილად, მაგრამ მისი თითოეული სვლა მოწინააღმდეგისათვის ყოველთვის მოულოდნელია. სხვათა შორის, მისი მეთოდი მარტივია. იგი შედგება შორსმჭვრეტელობის, ოპორტუნიზმისა და ცინიზმისაგან. დონ კალომ, რომელმაც კითხვა მაინც ვერ ისწავლა, ცხადია, მაკიაველის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ იგი მისი საუკეთესო მოწაფეა. ლიუჩანოს და ვიტო ჯენოვეზეს ფარული დახმარებით „პატივცემული საზოგადოება" მან მალე ძლევამოსილების მწვერვალზე აიყვანა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ. ნ. ლომთათიძე

ქართველმა იურისტებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა პროკურატურის ორგანოების ერთ-ერთი გამოცდილი მუშაკი, ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორი, სკკპ წევრი 1962 წლიდან, თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ლომთათიძე.

თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი თ. ნ. ლომთათიძემ საქართველოს პროკურატურის ორგანოებში გაატარა. დაამთავრა თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1957 წელს, იგი სტაჟიორგამომძიებლად გაამწესეს ქალაქ თბილისის პროკურატურაში და სწორედ აქედან იწყება მისი საინტერესო საპროკურორო მოღვაწეობაც. 1958-1963 წლებში იგი გამომძიებლად მუშაობდა კიროვის რაიონის პროკურატურაში, შემდეგ რამოდენიმე წელს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი იყო, ხოლო 1967 წლიდან კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს და დაინიშნა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორად. 1974 წელს თ. ნ. ლომთათიძე პირველი მაისის რაიონის პროკურორად გადაჰყავთ, სადაც 1984 წლამდე იმუშავა, 1984 წელს იგი თბილისის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორია, ხოლო 1985 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის კიროვის რაიონის პროკურორი.

კეთილსინდისიერი და მაღალკვალიფიციური მუშაობისათვის თ. ნ. ლომთათიძემ ბევრჯერ დაიმსახურა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, რესპუბლიკის პროკურორის და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების მადლობა, წახალისება, ფულადი ჯილდოები. არაერთხელ მიუღია მას მადლობის ბარათები აგრეთვე იმ ადამიანებისაგან, რომლებიც მართალია დაისაჯნენ, მაგრამ მაინც კმაყოფილნი დარჩნენ პროკურორის სამართლიანობით, გულითადობით, ყურადღებიანობით.

მაღალკვალიფიციური იურისტის, შესანიშნავი მოქალაქის თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ლომთათიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას ხსოვნაში, ვინც კი მას იცნობდა.

საქართველოს სსრ პროკურატურა
ქალაქ თბილისის პროკურატურა
ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია.

გასწორება

ჩვენი ჟურნალის მე-5 ნომრის 49-ე გვერდზე პირველი სვეტის ზემოდან მე-11 და მე-12 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: „გაეტაცებინა ხოლმე მაცდურებას — რაც არ უთვსნია, ის მომკოს. ერთი ამ გარემოებათაგანი“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მეგობრებო!

გილოცავთ ახალ, 1988 წელს!

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1987 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР. Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВА ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76185

ь 36/8